

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი

ციალა ლაგვილავა

გარდაცვალების სემანტიკა ქართულსა და

თურქულში

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

სპეციალობა - ლინგვისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: პროფესორი მამია ფაღავა

ასოცირებული პროფესორი ლილე თანდილავა

ბათუმი

2018

## შინაარსი

შესავალი	4
თავი I. ნაშრომის თეორიული წინამძღვრები	14
§1. კონცეპტის ბუნება და მისი მიმართება ეთნოკულტურასთან	14
§2. ლინგვოპერსონოლოგიაკროსკულტურული კვლევის ახალი ობიექტი და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა	19
§3. კომუნიკაცია და მისი როლი ადამიანთა ურთიერთობაში	26
თავი II. კულტურის საკვანძო კონცეპტები და „სიკვდილ-სიცოცხლე“	30
§1. კულტურის კონცეპტებისათვის	30
§2. „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ როგორც უნივერსალური კონცეპტები	31
2.1. კონცეპტისა და ცნების გამიჯვნისათვის	34
2.2. კონცეპტის ლოკალიზაციის საკითხი	38
2.3. კონცეპტთა ტიპოლოგიის პრობლემა	40
2.4. კონცეპტის სტრუქტურის აღწერის საკითხისათვის	42
§3. კონცეპტები „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ როგორც ენობრივი ცნობიერების სპეციფიკური სახე	46
§4. კონცეპტების „სიკვდილი“, „სიცოცხლე“ აღმნიშვნელი ლექსიკისა და ფრაზე- ოლოგიური ერთეულების კლასიფიკაციისათვის	51
4.1. ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულები	52
§5. სიკვდილ-სიცოცხლისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა კულტურაში	62
5.1. მეტაფორები და შედარებები	70
5.2. სიცოცხლის (ცხოვრება) ნომინაცია	72
5.3. ძილის მეტაფორები	73
5.4. სხვისი მოკვდინება	73
5.5. სიცოცხლის მეტაფორები	76
5.6. სიკვდილის ასოციაციები ქართულსა და თურქულში	77

თავი III „სიკვდილ-სიცოცხლე“ ეთნოენობრივ ცნობიერებაში	91
§1. „სიკვდილისა“ და „სიცოცხლის“ რეპრეზენტაციის ენობრივი საშუალებები	94
§2. ხორცისა და სულის ოპოზიცია სიკვდილ-სიცოცხლის კონცეპტოს ფეროში	100
§3. სიკვდილის აქტის განმახორციელებლის ლექსემები	102
§4. სიკვდილისა და სიცოცხლის ნომინაცია	110
4.1 სიკვდილთან დაკავშირებული ხატოვანი სიტყვა-თქმანი	110
4.2. იდიომები	112
4.3. სიკვდილ-სიცოცხლის ციკლი	112
4.4. ყოფიერების დასასრული	113
დასკვნა	115
გამოყენებული ლიტერატურა	120

**0.1. საკვლევი თემის აქტუალურობა.** ნაშრომში განხილულია ადამიანის გარდაცვალების, „სიცოცხლის შეწყვეტის“, სემანტიკა. სიცოცხლისა და სიკვდილის კონცეპტებს ცენტრალური ადგილი უჭირავს კულტურულ კონცეპტთა შორის. მათი ინტერპრეტაცია ემყარება კოგნიტური, ფსიქოლოგიური, კულტუროლოგიური და ა.შ. შეფასებითი კრიტერიუმების გათვალისწინებას. აღნიშნული კონცეპტებისადმი ინტერესი გამოწვეულია იმით, რომ ისინი წარმოადგენენ კულტურის საკვანძო კონცეპტებს, რომლებიც ლინგვისტურად დღემდე ჯერ კიდევ ჯეროვნად შესწავლას საჭიროებს. მათი ინტერპრეტაცია რთულია, რამდენადაც ინტერდისციპლინურ მიდგომას მოითხოვს.

ეკონომიკური ცხოვრების გლობალიზაციის ცივილიზებული პროცესი უნიფიკაციის, სტანდარტიზაციის, კულტურათა „ვესტერნიზაციის“ პროცესებს ასტიმულირებს. კულტურები აქტიურად ეჯახებიან ერთმანეთს, ეკონტაქტებიან, იკვეთებიან და კონფლიქტშიც შედიან ერთმანეთთან. ამგვარ პირობებში, შესაძლებელია, წარმოიშვას ეთნიკური იდენტობისა და კულტურული თვითკმარობის პრობლემა, ამიტომ განსაკუთრებულ აქტუალურობას კულტურათშორის კომუნიკაციებთან დაკავშირებული საკითხები იძენს.

კულტურულ კონცეპტთა შორის „სიცოცხლესა“ და „სიკვდილს“ ცენტრალური ადგილი უკავია. მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვები და მათში შემავალი ცნებები ეგზისტენციურად მნიშვნელოვანია როგორც ინდივიდისათვის, ასევე, ზოგადად, კაცობრიობისათვის, დღემდე თითქმის არსებობს ამ კონცეპტებისადმი მიძღვნილი მონოგრაფია, მით უმეტეს, შეპირისპირებით პლანში. ამით განისაზღვრება წინამდებარე შრომის აქტუალურობა.

ნაშრომის აქტუალურობა, ჩვენი თვალსაზრისით, იმითაცაა განპირობებული, რომ ადამიანის ეთნომენტალური სამყაროს კვლევა გვაწვდის ინფორმაციას მისი ფასეულობების შესახებ. ეს კი, თავის მხრივ, შესაძლებელს გახდის, მოწესრიგდეს კულტურათშორისი კომუნიკაციების სისტემა. აქტუალურად გვესახება, ენის მეშვეობით, კულტურული სივრცის სემანტიზაციის კვლევის ამოცანაც, რამდენადაც ენა განაპირობებს მისი მატარებლის აზროვნების ტიპს. მეორე მხრივ, ენას, რომელზედაც ხორციელდება აზროვნება, შეუძლია, განსაზღვროს გარესამყაროს შეცნობის საშუალებები.

სადისერტაციო ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია ხალხის ენისა და კულტურის მჭიდრო კავშირის შესწავლის აუცილებლობით, შესაბამისი კულტურის ღირებულებათა ენობრივი გამოხატულების კვლევის მნიშვნელობით თანამედროვე ადამიანის პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

**0.2. კვლევის მიზანსწარმოადგენს** სამყაროს ნაციონალური სურათის ორი ფრაგმენტის (სიცოცხლე და სიკვდილი) კროსკულტურული ანალიზი ქართული და თურქული ენების (საჭიროების შემთხვევაში მოვიხმობთ მასალას სხვა ენებიდანაც) მატარებლების ეთნოენობრივ ცნობიერებაში.

ნაშრომის მიზანია, ჩატარდეს ნებისმიერი ენობრივი და კოგნიტური სამყაროს სურათის ბირთვული კომპონენტების, კონცეპტების - „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“- კომპლექსური ინტერდისციპლინური კვლევა. როგორც აღნიშნეთ, ჩვენი დაკვირვება ვერიფიცირდება ქართული და თურქული ენების მასალაზე. კვლევის ზოგადი ამოცანაა სამყაროს ენობრივი სურათის აღნიშნული ფრაგმენტის მაქსიმალურად სრული რეკონსტრუქცია.

მუშაობის პროცესში დავისახეთ შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

- კონცეპტების- „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“- ენობრივი მანიფესტაციის თავისებურებების დადგენა ქართულსა და თურქულ ენებში;
- მოცემული კონცეპტების ეთნოენობრივი სპეციფიკის გამოვლენა;
- საკვლევი კონცეპტების უნივერსალური და ნაციონალურ-სპეციფიკური თვისებების დადგენა;
- შესაბამისი კულტურების მენტალობის გამომხატველი ნაციონალურ-კულტუროლოგიური ინფორმაციის გადმოცემის ენობრივისაშუალებების სისტემატიზაცია და ანალიზი;
- კონცეპტების- „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“ - ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი, მათი უზუალური კოგნიტური კომპონენტური ზონის გასარკვევად დაკონცეპტთა სტრუქტურის ლოგიკური (რაციონალური) და „სანქციონირებული“ სუბლოგიკური სფეროების გამოვლენა, რომელიც ეფუძნება როგორც ლექსიკონებში დაფიქსირებულ, ასევე, კომუნიკაციის ცალკეულ სფეროებში გამოვლენილ მასალას;

- მითითებული კონცეპტების უნივერსალური და ნაციონალურ-კულტურულ თავისებურებათა განსაზღვრა შესაბამისი კონცეპტოსფეროების ფარგლებში;
- კონცეპტების- „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“ -სინტაგმატიკური დახასიათება იმ უზუალური წარმოდგენების აღმოსაჩენად, რომელიც დგას ამ სახელების მიღმა და შემოფარგლავს მათ სემანტიკურ საზღვრებს.

**0.3. სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლეუკავშირდება როგორც თემის არჩევანს, ასევე, გამოკვლევაში განხილულ მრავალ მოვლენას და შემდეგი ფაქტორებითაა განპირობებული: კონცეპტებთან- „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“- დაკავშირებული სამყაროს ეთნოსპეციფიკური ინტერპრეტაციის მნიშვნელობით კულტურათმორისი კომუნიკაციის ჰარმონიზაციის საკითხი და ამისი მექანიზმების უქონლობით;**

ეთნოენობრივი ცნობიერების პრიორიტეტების ამსახველი ღირებულებითი კრიტერიუმების გამოვლენის აუცილებლობით;

კროსკულტურული ანალიზის მეთოდის სრულყოფის აუცილებლობით.

**0.4. საკვლევი მასალამოკრებილიაქართული დათურქული სემანტიკური, განმარტებითი, იდეოგრაფიული, ასოციაციური, ეტიმოლოგიური, ფრაზეოლოგიური ლექსიკონებიდან, პარემიებისა და აფორიზმების კრებულებიდან, საგაზეთო მასალებიდან, ზეპირსიტყვიერების მასალის ჩანაწერებიდან და, აგრეთვე, გამოვიყენეთ, კროსასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემები.**

კვლევის მნიშვნელოვან ემპირიულ მასალას წარმოადგენს, აგრეთვე, ფრაზეოლოგიზმები და პარემიები, რომელთა შემადგენლობაშიც შედის აღნიშნული ლექსემები ან მათგან ნაწარმოები წარმონაქმნები. ამ შემთხვევაში წინა პლანზე ინაცვლებს კონცეპტუალური ანალიზი, ვინაიდან იგი საშუალებას გვამლევს ეგზისტენციალურ ზმნებთან და დესკრიპტულ ზედსართავებთან სუბსტანტივების (როგორც არათავისუფალი, ასევედამოკიდებული) კომბინატორიკის საფუძველზე, გამოავლინოთ „სიცოცხლისა“ და „სიკვდილის“ „საგნობრივი“ კონოტაციები, რომლებიც იკვეთება რთულ რეპროდუცირებად ენობრივ ერთეულებში (ფრაზეოლოგიზმებსა და პარემიებში).

კონცეპტების -„სიცოცხლე“ და „სიკვდილი“- რეპრეზენტაციის სინქრონული

ანალიზი, რომელიც გვიჩვენებს კონცეპტის თანამედროვე სტრუქტურას (ლექსიკონებისა და დისკურსის მასალაზე), შევსებულია დიაქრონული და შედარებითი ექსკურსებით, რომელთა საფუძველს წარმოადგენენ ეტიმოლოგიური ლექსიკონები და ენციკლოპედიური მასალა.

**0.5. კვლევისმეთოდები.** ნაშრომში გამოვიყენეთ კომპონენტური და კონცეპტუალური ანალიზის მეთოდები. ამ მეთოდების საფუძველზე ვიკვლევთ კონცეპტების „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“-ვერბალურმანიფესტაციებს. ნაშრომში გამოყენებულია შედარებითი მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მოცემული კონცეპტები კროსკულტუროლოგიურ ჭრილში განვიხილოთ და გამოვამჟღავნოთ შესადარებელი კულტურების ენობრივი ცნობიერების სპეციფიკა.

**0.6. ნაშრომისთეორიულიღირებულება**იმით განისაზღვრება, რომ ის გარკვეულწილად აფართოებს და განაზოგადებს კონცეპტუალიზაციისა და კატეგორიზაციის პროცესის თეორიულ კვლევას. ამასთანავე, თეორიული მნიშვნელობა მჭიდროდაა დაკავშირებული პრაქტიკულთან.

**0.7. ნაშრომისსტრუქტურა.** სადისერტაციო ნაშრომი მოიცავს 126 გვერდს, შედგება შესავლის, პარაგრაფებად დაყოფილი სამი თავისა და დასკვნისაგან. ნაშრომს დართული აქვს გამოყენებული ლიტერატურის სია.

**0.8. ნაშრომისაპრობაცია.** სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები, მოხსენებების სახით, წაკითხულ იქნა კონფერენციებსა და თემატურ სემინარებზე.

დისერტაციისთემაზე გამოქვეყნებულია 5 სამეცნიერო სტატია.

**0.9. კონცეპტი საენათმეცნიერო ლიტერატურაში.** საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპს, რომელსაც „ინფორმაციის საუკუნეს“, ხოლო თვით საზოგადოებას „ინფორმაციულ საზოგადოებას“ უწოდებენ, თან ახლავს სამეცნიერო-

კულტურული რევოლუციით გამოწვეული მრავალი პრობლემა, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია ინფორმაციის რაოდენობის მზარდი სიჭარბე და ადამიანის შესაძლებლობების შეზღუდულობა. ამან გამოიწვია ინფორმაციული ნაკადების რეგულირების აუცილებლობა, რის შედეგადაც წარმოიშვა ისეთი მეცნიერული დისციპლინები, როგორებიცაა: ინფორმატიკა, ინფორმოლოგია, კომუნიკაციის თეორია და ა.შ. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ინფორმატიკის კვლევის ძირითადი მიმართულება პირველადი ტექსტების გადამუშავების შედეგად ისეთი მეორადი ტექსტების მიღებაა, რომლებიც ტექსტების უკიდეგანო სივრცეში თავისებურ კომპასებად გვევლინება და საინფორმაციო-საძიებო სისტემის (რომელზეც დაფუძნებულია თვით ინტერნეტიც) ბაზას ქმნის, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის მექანიზმების შესწავლას. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ კულტურა, პირველ რიგში, დაკავშირებულია სელექციის პრობლემასთან და, რიგი ავტორების აზრით (ი. ლოტმანი, ა. აგრანატი და სხვა) წარმოადგენს მასში არსებული ვერბალური და არავერბალური ტექსტების ერთობლიობას, უაღრესად აქტუალურია ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის, ანუ საზოგადოების ინფორმაციული მომსახურების უზრუნველყოფისათვის. უკანასკნელ ხანებში შეინიშნება კონცეპტუალიზაციის პრობლემებისადმი მკვეთრად გამოხატული ინტერესი (იხ. ფოქსის, კარასიკის, ციმერმანის, სტერნინის, დემიანკოვის და სხვათა შრომები), რაც აისახა სხვადასხვა ემპირიულ მასალაზე დაფუძნებულ კვლევებში. ვ. კარასიკისა და ი.სტერნინის აზრით, „ჩვენ შეგვიძლია თვალი მივადევნოთ მეცნიერების ახალი სფეროს, კონცეპტოლოგიის ჩამოყალიბებას, რომელიც მიზნად ისახავს ლინგვისტური საშუალებებით ასახული კონცეპტების ენაშიაღწერას“ (Карасик, Стернин, 2007:5-6).

ავტორები აღნიშნავენ, რომ, მიუხედავად პრობლემასთან დაკავშირებულ აზრთა არაერთგვაროვნებისა და კვლევის განსხვავებული მეთოდებისა, აღნიშნული მიმართულებების წარმომადგენლები ერთხმად აღიარებენ, რომ ენობრივ მონაცემებზე დაფუძნებული კონცეპტების შინაარსობრივი ანალიზი საკმაოდ მდიდარსა და სარწმუნო მასალას იძლევა კონცეპტების აღწერისათვის (ფანჯიკიძე, 2005:5-6).

ამასთანავე, ზოგიერთი მკვლევარი აუცილებლად მიიჩნევს კვლევაში



კონკრეტული ენის მატარებლების ჩართვასაც.

„ინდივიდის სამეტყველო აქტივობის შედეგად ყალიბდება ენა:

1. როგორც ფუნქციური ორიენტირების საფუძველი;

2. როგორც აღწერითი მოდელი, ანუ ნორმატიულ-პრესკრიფციული ნიშნების სისტემა“ (ბერიძე, 2009: 8).

ამგვარად, მკვლევარი კონცეპტს ენობრივ (სისტემურ) მასალაზე დაყრდნობით შეისწავლის. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიღებული შედეგები ყოველთვის ზუსტად არ ასახავს პიროვნების ცნობიერებაში მიმდინარე პროცესებს, „რაც გამორიცხავს ლინგვისტის მეტაენობრივი საქმიანობის პროდუქტების პირდაპირ მექანიკურ გადატანას ინდივიდის სამეტყველო მექანიზმის ფუნქციონირების კანონზომიერების აღწერისას“ (ბერიძე, 2009:9).

შესაბამისად, ლინგვისტური ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემების ვერიფიკაციისთვის, აუცილებელია მივმართოთ ენის მატარებელს. ნებისმიერ კულტურაში არსებული სამყაროს ენობრივი ხატის აღწერა კონცეპტების კვლევასთანაა დაკავშირებული და თანამედროვე ენათმეცნიერებაში ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებადაა აღიარებული. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს კონცეპტების ტიპოლოგიური ინტერპრეტაციისა და მათი კლასიფიკაციის სხვადასხვა მცდელობა.

აზროვნების პროცესში რეალური სინამდვილე ადამიანის ცნობიერებაში აირეკლება, როგორც დაგროვილი ცოდნა ამ სინამდვილის შესახებ, რომლის რეპრეზენტაციაც ხდება ენის მატერიალურ ფორმებში. ენა უზრუნველყოფს ადამიანის აზროვნების ისეთი ფორმებით ოპერირებას, რომელთა ექსპლუატაცია ვერბალური ფორმების სემანტიკაში ხორციელდება. ამგვარად, აზროვნება არამარტო არსებობს რეპრეზენტაციის ფორმებში, არამედ მისი რეალიზაცია ხდება კონკრეტულ ვერბალურ ფორმებში.

გონებრივი და ენობრივი სტრუქტურების შეფარდებისა და სინამდვილის შემეცნებაში მათი როლის შესწავლამ საშუალება მისცა ტ. ა. ფესენკოს, სხვა მკვლევარების მსგავსად (ნ. ი. ჟინკინი, ი. ს. სტეპანოვი და სხვა), მოეხდინა „აზრის შუალედური ენის“ პოსტულირება, რომელიც, როგორც „მენტალური კონსტრუქციების ენა“ „შუალედური კოდის“ სახით უნივერსალურ საგნობრივ კოდსა და რეალურ

მეტყველებას შორის გვევლინება და ვერბალურ ნიშნებში აზრობრივი კოდის შინაარსის „ტრანსკოდირებას“ ახორციელებს” (Степанов, 2001: 30).

მის ერთ-ერთ სტრუქტურულ კომპონენტად ტ. ა. ფესენკო მიიჩნევს კონცეპტს, რომელიც ადამიანის მენტალურ რეალობაში არსებობს, როგორც ცოდნისა და ინფორმაციის ერთიანობა რეალურ სამყაროში გამოვლენილ ვითარებებთან, ემოციებთან, ასოციაციებთან და ა.შ. კონტექსტში. „მისი, როგორც მენტალური წარმონაქმნის, აღქმა საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ კონცეპტუალური სისტემის მატარებლის მენტალური სამყაროს რეკონსტრუირება და გამოვავლინოთ მისი ეთნომენტალური მახასიათებლები“ (Фесенко, 1999:12).

ი. ს. სტეპანოვის მსგავსად, ჩვენ ვახდენთ კონცეპტის, როგორც ადამიანის ეთნოკულტურული სამყაროს ფრაგმენტის ინტერპრეტაციას მის მენტალურ სამყაროში. ინტერპრეტაციულ რეჟიმში ვერბალური მნიშვნელობების სისტემა შეეფარდება ენის მატარებლის სოციო და ეთნოკულტურულ კომპეტენციას, რომლის კონცეპტუალური შიგთავსი ერის მენტალიტეტის ერთ-ერთი განმსაზღვრელი თვისებაა. სინამდვილის ფრაგმენტის ინტერპრეტაცია კონცეპტუალურ სისტემაში არის, უპირველეს ყოვლისა, გარკვეული სამყაროს ან „სამყაროს სურათის“ შესახებ ინფორმაციის კონსტრუირება. უდავოა, რომ საბაზო კონცეპტების შინაარსი ბევრად უფრო მოცულობითია, ვიდრე ერთგვაროვანი ენობრივი არსების შინაარსი, ვინაიდან მათი გაცნობიერება მოიცავს მთელ იდეოგრაფიულ სფეროს. იდეოგრაფიულად ორგანიზებული ენობრივი გამონათქვამების კონცეპტუალურ სისტემასთან უდავო კავშირის არსებობა საშუალებას გვაძლევს, განვიხილოთ ვერბალური იდეოგრაფიული ორგანიზაცია რეპრეზენტაციის კონცეპტუალური მოდელის სახით, რომელიც მოიცავს სამყაროს შესახებ ცოდნასა და იმ ღირებულებებს, რომელიც დაგროვებულია მოცემული სოციუმის მიერ (Степанов, 2001:35).

კონცეპტების განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს „კულტურის კონცეპტები“ (ჩვენს შემთხვევაში, კონცეპტები „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“). ვერბალური საშუალებებით გამოხატულ თითოეულ კონცეპტს მნიშვნელობებით დეტერმინირებული საკუთარი სემანტიკური ფორმა აქვს, რომელიც ხასიათდება ეთნოკულტურული განპირობებულობით, ვინაიდან მასში გამოსახულია ყველა: კონოტაციური, მოდალური, ემოციური, ექსპრესიული, პრაგმატული და სხვა

შეფასებები. „კულტურის კონცეპტები“, ან სხვა ტერმინოსისტემაში „კულტურის საკვანძო კონცეპტები“, წარმოადგენს სამყაროს სურათის ბირთვულ ერთეულებს, რომლებსაც ეგზისტენციალური მნიშვნელობა გააჩნია, როგორც ცალკეული ენობრივი პიროვნებისთვის, ისე მთელი ლინგვოკულტურული ერთობისთვის მთლიანობაში. კონცეპტები, დ. ს. ლიხაჩოვის თქმით, „ჩნდებიან ადამიანის გონებაში არა მარტო როგორც მინიშნებები შესაძლო მნიშვნელობებზე, არამედ როგორც ადამიანის საპასუხო რეაქცია წინა ენობრივ გამოცდილებაზე მთლიანობაში – პოეტური, პროზაული, მეცნიერული, სოციალური, ისტორიული და ა.შ.. „კულტურის უნივერსალურ კატეგორიებს“ (დრო, სივრცე, მოძრაობა) უპირისპირდება „ნაციონალური კულტურის კატეგორიები“, რომლებიც მნიშვნელოვან მდგომარეობას იკავებს ერის კოლექტიურ ენობრივ ცნობიერებაში“ (Лихачев, 1997: 35).

კოლექტიური ენობრივი ცნობიერების კვლევის პრობლემა, რომელიც ენაში დამკვიდრებულ გარკვეულ კანონზომიერებებს გამოხატავს სიტყვებისა და წინადადებების ორგანიზაციაში, ჩვენ განვიხილეთ უნივერსალური კონცეპტების – „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“ – საფუძველზე, რომლებშიც მჭიდვანდება ნაციონალური სამყაროს სურათების სპეციფიკა. კონცეპტები „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“ საკვლევ ლინგვოკულტურებში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. რუსული ენის ასოციაციური ლექსიკონის მონაცემთა მიხედვით, „რუსულ ენობრივ ცნობიერებაში მნიშვნელობით ის მესამე ადგილზე დგას კონცეპტების, „ადამიანი“ და „სახლი“, შემდეგ, ხოლო არმსტრონგისა და კიშის მონაცემების მიხედვით, ინგლისურ მენტალობაში ის მეხუთე ადგილზეა კულტურის საკვანძო კონცეპტთა შორის“ (Караулов, 2002: 54).

ენის ფილოსოფიის, ლინგვოკულტუროლოგიისა და კოგნიტური ლინგვისტიკის დებულებანი სხვადასხვა მენტალურ სტრუქტურაში ფიქსირებულ მონაცემთა ენობრივი მექანიზმებით განსაზღვრავენ რეპრეზენტაციის პრინციპებს და, ამასთანავე, სამყაროს კატეგორიზაციისა და კონცეპტუალიზაციის პროცესებს. ნებისმიერი ენის კონცეპტოსფეროში კონცეპტები „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“ ცენტრალურ ადგილს იკავებს კულტურის კონცეპტებს შორის, ვინაიდან მათში შემავალი ცნებები ეგზისტენციალურად მნიშვნელოვანია როგორც ცალკეული ადამიანისთვის, ისე კაცობრიობისთვის, ზოგადად. ამ კონცეპტებისადმი მიძღვნილი

ნაშრომები, მით უფრო შეპირისპირებით პლანში, საკმაოდ მწირია. მონოლინგვურ გამოკვლევებს შეიძლება მივაკუთვნოთ ნ.ნოვიკოვას შრომა „კონცეპტუალური დიადის – „სიკვდილი-სიცოცხლე“ – რეალიზაციის შესახებ ფრაზეოლოგიურ ერთეულებში, პარემიოლოგიასა და აფორისტიკაში(Новикова, 2003: 229-234).სლავი ხალხების წარმოდგენები სიკვდილის შესახებ განხილულია ს. ტოლსტაიას ნაშრომშიც.

რუსული ენის მასალაზეა აგებული ხო სონ ტეს გამოკვლევა, რომელშიც ავტორი აღნიშნულ კონცეპტებს, როგორც რუსული ენობრივი სამყაროს ფრაგმენტებს განიხილავს. კონცეპტის ინდივიდუალურ მხატვრულ ცნობიერებაში რეპრეზენტაციის პრობლემას უკავშირდება ო. ჩუმაკის ნაშრომი (Чумаков,2004).

კონცეპტების –„სიცოცხლე დასიკვდილი“- ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზისხვადასხვა ჟანრის ტექსტში საშუალებას გვაძლევს,სიცოცხლისა და სიკვდილის ფენომენი ყოფიერების, სამეცნიერო და მხატვრული ცნობიერების პრიზმაში დავინახოთ, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს ტექსტებში ამ ცნებითი კატეგორიების მანიფესტაციის თავისებურებას (კომბინატორიკას). მხატვრულ ტექსტებში და ექსპერიმენტის მონაცემებზე დაყრდნობით, ო. ვოლკომოროვა ცდილობს კონცეპტუალური წყვილის –„სიკვდილი – სიცოცხლე“- გააზრებას (Волкоморова, 2001).

ენობრივი ცნობიერება, რომელიც განსაზღვრული კონცეპტების სახით კულტურის ძირითად ცნებებსაფიქსირებს, სამყაროს ერთიანი, სრული სურათის სახით წარმოაჩენს. მიუხედავად „სამყაროს მატერიალური საფუძვლების ერთიანობისა“, ამ უკანასკნელის აღქმა სხვადასხვა კულტურის მიერ სხვადასხვანაირად ხდება, რაც რეალობის ენობრივ ფორმებში მანიფესტაციის სპეციფიკაშიც გამოიხატება. მენტალიტეტის გაგება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ენობრივი ცნობიერების ბაზაზე.

კონფლიქტური სიტუაციები, რომელთა უმეტესობა განსხვავებული კულტურის წარმომადგენლებთან ურთიერთობაშიჩნდება, დაკავშირებულია კომუნიკანტთა ნაციონალურ-კულტურული თავისებურებების იგნორირების ფაქტორთან. საინტერესოა, რომ უკანასკნელ ხანებში წარმოშობილი მიმართულება – „ლინგვო-კონფლიქტოლოგია“ – მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს შესაძლო კონფლიქტური

სიტუაციების წარმოშობა და შეიმუშაოს პრაქტიკული რეკომენდაციები მათი თავიდან არიდებისთვის. ამის პირველ და აუცილებელ პირობად მიიჩნევა შესაბამისი ერის მენტალიტეტის ცოდნა (ბერიძე, 2009).

თავისი ბუნებით ადამიანის აზრი გულისხმობს, ერთი მხრივ, მისგან დამოუკიდებელ მატერიალურ სამყაროს, რომელსაც იგი გამოსახავს, მეორე მხრივ კი – მისი გამოხატვის ვერბალურ საშუალებებს. „ბუნებრივი ენა არ ფლობს აზრის დაბადების ფუნქციას; იგი არის ენის მატარებლის აზრის სტრუქტურის გამოვლენის საშუალება და გონების რეკონსტრუქციის გასაღები“ (Фесенко, 2001: 59).

სინამდვილის ფრაგმენტის ინტერპრეტაცია კონცეპტუალურ სისტემაში არის, უპირველეს ყოვლისა, გარკვეული სამყაროს ან „სამყაროს სურათის“ შესახებ ინფორმაციის კონსტრუირება. უდავოა, რომ საბაზო კონცეპტების შინაარსი ბევრად უფრო მოცულობითია, ვიდრე ერთგვაროვანი ენობრივი არსისა, ვინაიდან მათი გათვითცნობიერება ვრცელდება მთელ იდეოგრაფიულ სფეროზე. „იდეოგრაფიულად ორგანიზებული ენობრივი გამონათქვამების კონცეპტუალურ სისტემასთან უდავო კავშირის არსებობა საშუალებას გვაძლევს, ვერბალური იდეოგრაფიული ორგანიზაცია განვიხილოთ რეპრეზენტაციის კონცეპტუალური მოდელის სახით, რომელიც მოიცავს ყველა ცოდნას სამყაროს შესახებ, მთელ ფასეულობათა გამოცდილებას და დაგროვებულია მოცემული სოციუმის მიერ. ამასობაში, კონცეპტუალური მოდელი, თითქოს, „გახსნილად“ ინარჩუნებს აზრს მომავალი შესაძლებლობებისთვის. „პრაქტიკულად, ნებისმიერი კონცეპტი შეიძლება ითარგმნოს ერთი ენიდან მეორეზე და რეპრეზენტირებულ იქნეს სხვა ენობრივი „შეფუთვით“. ამ დროს მთარგმნელებმა უნდა მოახდინონ ენის მატარებლის მთელი „კოგნიტური შინაარსის“ ტრანსკოდირება“ (Попова, 2001: 44).

## თავი I. ნაშრომის თეორიული წანამძღვრები

### §1. კონცეპტის ბუნება და მისი მიმართება ეთნოკულტურასთან

ანტროპოცენტრული პარადიგმის მიერ ადამიანის პირველ ადგილზე დაყენება ეფუძნება ენის როლის, როგორც ადამიანის მთავარი მაკონსტრუირებლის, აღიარებას. ყველა სააზროვნო პროცესში შეჭრით ენა ქმნის ახალ მენტალურ

სივრცეებს და ადამიანი უშუალო დაკვირვების სფეროს მიღმაგამოჰყავს. იგი ასახავს ადამიანის აზრის მოძრაობას, აშენებს შესაძლო სამყაროებს, აფიქსირებს აზრის დინამიკასა და, ენობრივი რესურსებით, მისი წარმოდგენის საშუალებებს. კომუნიკაციური ლინგვისტიკის ძირითად მიმართულებებს შორის, რომლებიც ანტროპოცენტრული პარადიგმის ჩარჩოებში ყალიბდება, საჭიროა აღინიშნოს ლინგვოკულტუროლოგია, ლინგვისტური პრაგმატიკა, კოგნიტური ლინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა, ეთნოფსიქოლინგვისტიკა და სხვა. თუ ლინგვოკულტუროლოგიას აინტერესებს ენა, როგორც კულტურის ფენომენი, რომელიც სამყაროს ხედვის რეალიზაციას ნაციონალური ენის პრიზმის მეშვეობითახდენს, კოგნიტური ლინგვისტიკა „ინფორმაციის“ კატეგორიითა და ადამიანის აზროვნების მიერ მისი დამუშავების შედეგად მიღებული „ცოდნის სტრუქტურის“ კატეგორიითაპერიერებს, რომელიც ადამიანის გონებაში და ენობრივ ფორმებში რეპრეზენტირდება. თუ კოგნიტური ლინგვისტიკა,კოგნიტოლოგიის სფეროს სხვა მიმართულებებთან ერთად, ცდილობს უპასუხოს კითხვას იმის შესახებ, რა პრინციპითაა ორგანიზებული ადამიანის გონება, როგორ შეისწავლის ის სამყაროს, თუ რა მონაცემებით ყალიბდება ცოდნა სამყაროს შესახებ, როგორ იქმნება მენტალური სივრცეები, კულტუროლოგიის მთელი ყურადღება გადატანილია კულტურაში ადამიანის არსებობაზე და მის ენაზე, რაც შემდეგი საკითხების ანალიზს მოითხოვს: როგორს ხედავს ადამიანი სამყაროს, როგორია მეტაფორისა და სიმბოლოს როლი კულტურაში, როგორია ცნობიერების როლი კულტურის რეპრეზენტაციაში და ა. შ.

ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკასთან დაკავშირებულია ისეთი დისციპლინაც, როგორიცაა ეთნოფსიქოლინგვისტიკა. იგი წარმოადგენს მიმართულებას, რომელიც სამეტყველო აქტივობას ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის ჭრილში განიხილავს და იკვლევს, აგრეთვე, ენობრივი ცნობიერებისა და კომუნიკაციის ეთნოფსიქოლინგვისტურ დეტერმინირებას.

ადამიანი, როგორც ენის მატარებელი, გარკვეული კულტურის მატარებელადგვევლინება.ის განსაზღვრული სოციუმის წარმომადგენელია, რაც განაპირობებს მის ეთნოლინგვოსოციალურ სტატუსს. საჭიროა აღინიშნოს, რომ სხვა კულტურის გაგების გზა ანტროპოცენტრული პარადიგმის სფეროზეგადის. კონფლიქტური სიტუაციები, რომელთა უმეტესობა ინოფონებთან

ურთიერთობაში ჩნდება, დაკავშირებულია კომუნიკანტთა ნაციონალურ-კულტურული თავისებურებების იგნორირების ფაქტორთან.

საინტერესოა, რომ უკანასკნელ წლებში ჩამოყალიბებული მიმართულება „ლინგვოკონფლიქტოლოგია“ მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს შესაძლო კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობა და შეიმუშაოს მათი თავიდან აცილებისთვის საჭირო პრაქტიკული რეკომენდაციები. ამის პირველი და აუცილებელი პირობაა ამა თუ იმ ხალხის მენტალიტეტის ცოდნა. ენობრივი ცნობიერება, რომელიც განსაზღვრული კონცეპტების სახით კულტურის ძირითად ცნებებს აფიქსირებს, სამყაროს ერთიანი, სრული სურათის სახით წარმოადგენს. საჭიროა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად „სამყაროს მატერიალური საფუძვლების ერთიანობისა“, ამ უკანასკნელს სხვადასხვა კულტურა სხვადასხვანაირად აღიქვამს, რაც რეალობის ენობრივი ფორმებში მანიფესტაციის სპეციფიკაშიც გამოიხატება. ვვარაუდობთ, რომ მენტალიტეტის გაგება შესაძლებელია შესაბამისი ენობრივი ცნობიერების ბაზაზე. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს კონცეპტები „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, გავარკვიოთ ენობრივი ცნობიერების სპეციფიკა.

თავისი ბუნებით, აზრის ფენომენი გულისხმობს, ერთი მხრივ, ადამიანისგან დამოუკიდებელ მატერიალურ სამყაროს, რომელსაც იგი ასახავს, მეორე მხრივ კი — მისი გამოხატვის ვერბალურ საშუალებებს.

აზროვნების პროცესში რეალური სინამდვილე ადამიანის ცნობიერებაში აირეკლება, როგორც დაგროვილი ცოდნა იმ სინამდვილის შესახებ, რომლის რეპრეზენტაციაც ხდება ენის მატერიალურ ფორმებში. ენა უზრუნველყოფს ადამიანის აზროვნების ისეთი ფორმებით ოპერირებას, რომელთა ექსპლუატაცია ხდება ვერბალური ფორმების სემანტიკაში. ამგვარად, აზროვნება არამართო არსებობს რეპრეზენტაციის ფორმებში, არამედ მისი რეალიზება ხდება კონკრეტულ ვერბალურ ფორმებში. გონებრივი და ენობრივი სტრუქტურების შეფარდებისა და სინამდვილის შემეცნებაში მათი როლის შესწავლამ ტ. ფესენკოს, სხვა მკვლევრების მსგავსად (ნ.ი. ჟინკინი, ი.ს. სტეპანოვი და სხვა), საშუალება მისცა, მოეხდინა „აზრის შუალედური ენის“ პოსტულირება, რომელიც, როგორც „მენტალური კონსტრუქციების ენა“, გვევლინება „შუალედური კოდის“ სახით უნივერსალურ საგნობრივ კოდსა და

რეალურ მეტყველებას შორის და ვერბალურ ნიშნებში აზრობრივი კოდის შინაარსის „ტრანსკოდირებას“ ახორციელებს. მის ერთ-ერთ სტრუქტურულ კომპონენტად ტ.ფესენკო მიიჩნევსკონცეპტს, რომელიც არსებობს ადამიანის მენტალურ რეალობაში, როგორც ცოდნისა და ინფორმაციის ერთობა რეალურ სამყაროში არსებულ აქტუალურ ან საქმეთა სავარაუდო ვითარების, ემოციების, განცდების, ასოციაციების და ა.შ. კონტექსტში. მისი, როგორც მენტალური წარმონაქმნის, აღქმა საშუალებას გვაძლევს, კონცეპტუალური სისტემის მატარებლის მენტალური სამყაროს რეკონსტრუირება მოვახდინოთ და გამოვავლინოთ მისი ეთნომენტალური მახასიათებლები (ბერიძე, 2009:55-60).

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობების გაფართოებასთან დაკავშირებით, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს კულტურათა დიალოგის თემა. კულტურულ ანთროპოლოგიაში სხვადასხვა კულტურისურთ-ერთქმედებას ინტერკულტურული კომუნიკაცია ეწოდა. ინტერკულტურული კომუნიკაცია წარმოადგენს დიალოგს განსხვავებულ კულტურათა რეპრეზენტანტებს შორის, რომლებიც თანაარსებობენ განსაზღვრულ სივრცულ-დროით კონტინუუმში. ბუნებრივია, კომუნიკანტები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები არიან და დიალოგის საშუალებით ცდილობენ მიაღწიონ ურთიერთგაგებას, რომლის ადეკვატურობაც დეტერმინირებულია შესაბამისი კულტურების აქსიოლოგიით. ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესში ვლინდება როგორც ზოგადკულტურული, ასევე, ეთნოსპეციფიკური და ლინგვოპერსონოლოგიური სპეციფიკა.

უცხო ენაზე კომუნიკაცია აკულტურაციის პროცესის შემადგენელი ნაწილია, რომლის ეფექტურობაც მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კომუნიკაციური სტრატეგიების სწორად გააზრებასა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ჩვენ ინტერკულტურულ კომუნიკაციას განვიხილავთ, როგორც „მოლაპარაკე ცნობ-იერებათა“ დიალოგს, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს განსხვავებული კულტურების წარმომადგენელთა კომუნიკაციური სტრატეგიების რეალიზაცია. ინტერკულტურული კომუნიკაციის პროცესი ენობრივ პიროვნებათა დიალოგია, რომელთაც სამყაროს განსხვავებული ხედვა აქვთ, ხოლო კომპრომისის ძიებაში ხდება თვალსაზრისთა დაახლოება საკომუნიკაციო ენის ლინგვოკულტუროლოგიურ რესურსებზე ორიენტირებით. თანამედროვე ლინგვისტიკაში, ინტერკულტურული



კომუნიკაციის თვალსაზრისით, ენობრივი პიროვნების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს, გამოვავლინოთ როგორც ენობრივი, ასევე კომუნიკაციის პროცესში დაშვებული სხვა სახის შეცდომების ბუნება. მსგავსი სახის შეცდომების ანალიზი და განზოგადება ინტერკულტურული კომუნიკაციის ჰარმონიზაციის მექანიზმის შესწავლას უწყობს ხელს და, ამა თუ იმ ზომით, ასახავს ენობრივი პიროვნების ლინგვისტურ და კულტურულ სამყაროს, რადგანაც მასში რეალიზდება არა მხოლოდ ენის, არამედ სოციოკულტურული და კოგნიტური სისტემებიც. ეს საკითხი აქტუალური და მნიშვნელოვანია, რადგანაც ინტერკულტურული ურთიერთობა, რომელზედაც ხშირ შემთხვევაში დამოკიდებულია მშვიდობიანი თანაარსებობის პროცესი, შეიძლება წარიმართოს როგორც პოლიტიკურ და დიპლომატიურ, ასევე, ყოფით, პიროვნულ, არაფორმალურ ურთიერთობათა დონეზე. კულტურათშორისი კომუნიკაცია, ბუნებრივია, ხორციელდება კონკრეტული პიროვნებების მეშვეობით, ამდენად, პიროვნულ ფაქტორს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ამ პროცესის შესწავლაში.

ყოველი კონკრეტული ენობრივი პიროვნება ხასიათდება გარკვეული ინდივიდუალური თვისებებით. ამასთანავე, იგი სოციალიზაციის პროდუქტია. ყოველივე ეს აისახება ენობრივი სტრუქტურების მისეულ არჩევანსა და კომბინატორიკაში, რომელიც დეტერმინირებულია სამყაროს ინტრაკულტურული ხატით. ინტერკულტურული ურთიერთობის დროს ხდება სწორედ სამყაროს ხატების ინტერაქცია, რაც თავისთავად წარმოადგენს საინტერესო და აქტუალურ საკითხს თანამედროვე ლინგვისტიკაში. ინტერკულტურულ კომუნიკაციაში მონაწილე ენობრივ პიროვნებებზე დაკვირვებით, მათი, როგორც სპეციფიკური კომუნიკანტების, შესწავლის გზით, ჩვენ შეგვიძლია გამოვიკვლიოთ ინტერკულტურული კომუნიკაციის პრაქტიკული მხარე. როგორც ცნობილია, გასული საუკუნის დასასრულისათვის ნიშანდობლივია თვისობრივად ახალ სამეცნიერო პარადიგმაზე გადასვლა, რამაც ლინგვისტიკის ინტერესთა ორბიტაში მოაქცია თანამედროვე საზოგადოებაში ინფორმაციის აღქმისა და გადაცემის პრობლემატიკასთან დაკავშირებულ მოვლენათა ფართო წრე.

ანტროპოცენტრისტულმა პარადიგმამ პირველი რიგის ამოცანად წამოაყენა ენის შესწავლა მისი კავშირების მთელი მრავალფეროვნების გათვალისწინებით. სემანტიკასა და სინტაქტიკას შეენაცვლა პრაგმატიკა, რამაც განაპირობა ლინგვისტიკის

ინტერესთა სფეროში კომუნიკაციის პროცესის მონაწილე ენობრივ პიროვნებათა ინტერაქციული ურთიერთქმედების შესწავლა, რომლის დროსაც მათი სამეტყველო ინტენციები ვლინდება. ენობრივი ნიშნების უკან დგას ადამიანი, რომელიც მათი საშუალებით ცდილობს, მიაღწიოს გარკვეულ მიზანს, გამოიწვიოს მსმენელთა (კომუნიკანტთა) სასურველი რეაქცია. აღნიშნული პრობლემატიკიდან გამომდინარე, პოპულარული ხდება ისეთი სამეცნიერო დისციპლინები, როგორებიცაა: სამეტყველო აქტების თეორია და ლინგვისტური პრაგმატიკა. პირველი გვთავაზობს კომუნიკაციური სიტუაციის ორიგინალურ მოდელს. კომუნიკაციური აქტის ტრადიციულ ცნებით აპარატს (ადრესანტი, ადრესატი, გამონათქვამი, გარემოებანი და ა.შ.). სამეტყველო აქტების თეორია ამდიდრებს სამეტყველო აქტს მიზნისა და შედეგის კატეგორიებით. სამეტყველო აქტი განიხილება, როგორც, ენობრივი ნიშნების გამოყენების გზით, მიზნის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება. რაც შეეხება ლინგვისტურ პრაგმატიკას, ის, ფაქტობრივად, ინტერაქციულ ფაქტორს ეყრდნობა და ენობრივი ნიშნის გამოყენების პრაგმატული მექანიზმების თავისებურებებს აანალიზებს.

ენობრივი პიროვნების წინა პლანზე წამოწევამ, რაც ანტროპოცენტრისტული პარადიგმის ჩამოყალიბების შედეგია, კულტურული იდენტობის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. რამდენადაც ენობრივი პიროვნება ყალიბდება ამა თუ იმ კულტურის ჩარჩოებში, მეცნიერებმა მიზნად დაისახეს იმ ენობრივი ფაქტორების შესწავლა, რომლებიც „ენობრივი პიროვნების“ „კულტურულ პიროვნებად“ ქცევას უწყობს ხელს. აღნიშნული კუთხით მნიშვნელოვანია ისეთი ლინგვოკულტურული ნიშნების შესწავლა, როგორებიცაა ლინგვოკულტურემები, სხვა ტერმინოსისტემებში — „კონცეპტები“, „ლინგვოკულტურული სტერეოტიპები“, „ლოგოპისტემები“ და ა.შ.. ამ უკანასკნელთა სპეციფიკა ისაა, რომ ისინი ლინგვისტურისა და ექსტრალინგვისტურის ერთიანობას წარმოადგენენ და შეიცავენ როგორც ენის, ასევე, კულტურის სემანტს. ლინგვოკულტურემა წარმოადგენს ერთგვარ კოდს, თავისებურ მატრიცას, რომელიც ასახავს აზროვნების წესს, წარმართავს მენტალური და ენობრივი რეპრეზენტაციების შინაარსსა და ფორმას.

იმის მიუხედავად, რომ სამყაროს კულტურული ხატი უფრო მდიდარია, ვიდრე ენობრივი ხატი, ნათელია, რომ სწორედ ენაში რეალიზდება და თაობიდან თაობას

გადაეცემა სამყაროს კულტურის ხატი. ენა თითქოს იმორჩილებს სამყაროს აღქმისა და შემეცნების პროცესს მისი მატარებლების მიერ. სწორედ კულტურათა ურთიერთქმედებასთანაა დაკავშირებული თანამედროვე სამყაროს ფუნდამენტური პრობლემები, რომელთა გადაჭრის საშუალებას ვხედავთ კულტურულ ღირებულებათა ურთიერთგათვალისწინების პროცესში.

ჩვენი კვლევისაქტუალურობა თანამედროვე ლინგვისტიკისათვის განპირობებულია დისკურსში ენობრივი ერთეულების ფუნქციონირების, კომუნიკაციის პროცესში გამოხატული შინაარსისა და ფორმის ასიმეტრიულობის შესწავლის მნიშვნელობით. სამეტყველო აქტის პრაგმალინგვისტური ინტერპრეტაცია ითვალისწინებს როგორც ლინგვისტურ, ასევე, ექსტრალინგვისტურ პარამეტრებს, რაც შესაძლებლობას გვაძლევს, გავაანალიზოთ მათი გავლენა ენობრივი ერთეულების ფუნქციონირებაზე.

## **§2. ლინგვოპერსონოლოგია — კროსკულტურული კვლევის ახალი ობიექტი და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა**

აღვნიშნავთ, რომ ენობრივი პიროვნების შესწავლა – ლინგვოპერსონოლოგია პირველ ნაბიჯებს დგამს(თუ არ ჩავთვლით რამდენიმე სტატიას). მეტიც, იგი არასოდეს ყოფილა კროსკულტურული კვლევის ობიექტი, რაც, ბუნებრივია, ზრდის ჩვენი კვლევის მნიშვნელობას. კვლევის პროცესში მიღებული შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კომუნიკაციის თეორიის, ლინგვისტური პრაგმატიკის, ენათმეცნიერების ზოგადი საკითხებისა და სამეტყველო აქტების ტიპოლოგიური ინტერპრეტაციისათვის.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა კომუნიკაციის პრობლემების კვლევისას მისი შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობაში მდგომარეობს. მისი დებულებები, შეიძლება, გახდეს სპეცკურსებისა და სპეცემინარების შინაარსის ნაწილი ისეთ დარგებში, როგორცაა ლინგვოკულტუროლოგია, სამეტყველო აქტების თეორია, ტექსტის ლინგვისტიკა, კოგნიტური ლინგვისტიკა და ა.შ. ნაშრომში თავმოყრილი ემპირიული მასალა და მისი ანალიზი, შეიძლება, ეფექტიანად იქნეს

გამოყენებული ენათმეცნიერების, თარგმანმცოდნეობის სალექციო კურსებში, კულტურათმშორისი კომუნიკაციის პრაქტიკაში, ტერმინოლოგიის კვლევასთან დაკავშირებულ სპეცკურსებში, ლექსიკონების შედგენისას.

ენა არის კულტურის სარკე, მასში გამოსახება არა მხოლოდ ადამიანის გარშემო არსებული რეალური სამყარო, არამედ ერის საზოგადოებრივი თვითშემეცნება, მისი მენტალიტეტი, ეროვნული ხასიათი, ცხოვრების სტილი, ტრადიციები, ჩვეულებები, მორალი, ღირებულებები, თვალთახედვა. ენა არის კულტურის მატარებელი, მისი გადამცემი; სწორედ ენის საშუალებით გადაეცემა თაობებს ეროვნული კულტურის მიღწევები. უფრო მეტიც შეიძლება ვთქვათ, ბავშვი, ითვისებს რა დედაენას, მასთან ერთად ითვისებს წინა თაობების კულტურულ გამოცდილებას.

ენა, ასევე, შეიძლება მოვიაზროთ, როგორც კულტურის იარაღი, ერთგვარი ინსტრუმენტი. ის აყალიბებს ადამიანის, ენის მატარებლის პიროვნებას, თავს ახვევს მას ენაში ჩადებულ სამყაროს ხატს, მენტალიტეტს, ადამიანების მიმართ დამოკიდებულებას და ა.შ.. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ენა არ არსებობს კულტურისაგან დამოუკიდებლად. ენა გვევლინება ძლიერ იარაღად, რომლის მეშვეობითაც ენობრივი კოლექტივის მიერ კულტურის, ტრადიციების შენახვისა და გადაცემის გზით ხდება ეთნოსის ფორმირება“ (Попова, 2001:85).

უკანასკნელწლებში მსოფლიოში მომხდარმა სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ცვლილებებმა მიგრაციის დონის მომატება გამოიწვია, რასაც შედეგად კულტურათა კონფლიქტის შემთხვევათა მატებამოჰყვა. ამავე დროს, სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა და ცივილიზებული და მშვიდობისმოყვარე ხალხების ერთმანეთთან ურთიერთობის სურვილმა, ლინგვისტიკისათვისაც აქტუალური გახადა ინტერკულტურული კომუნიკაცია და მასში მონაწილე პიროვნებები. ურთიერთობა მხოლოდ ვერბალური პროცესია როდია, მისი ეფექტურობა, ენის ფლობის გარდა, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე.

სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა შორის ეფექტური კომუნიკაციისათვის ენობრივი ბარიერის გადალახვა სრულიად არ არის საკმარისი. ამისათვის საჭიროა კულტურული ბარიერის დაძლევა. აღნიშნავენ, რომ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა კონტაქტის სიტუაციაში ენობრივი ბარიერი არ წარმოადგენს ერთადერთ წინააღმდეგობას ურთიერთგაგებისათვის. კომუნიკანტების

კულტურათა გარკვეული კომპონენტების ეროვნულ-სპეციფიკურ თავისებურებებს შეუძლია გაართულოს ინტერკულტურული ურთიერთობის პროცესი. კონკრეტული კულტურის წარმომადგენლებს, რომელთაც გააჩნიათ ეროვნულ-სპეციფიკური ელფერი, შეიძლება მივაკუთვნოთ, სულ მცირე, შემდეგი კომპონენტები:

**ტრადიციები**(ან კულტურის მყარი ელემენტები), ასევე, წეს-ჩვეულებები (ტრადიციები კულტურის „სოციონორმატიულ“ სფეროში) და რიტუალები (ასრულებენ მოცემულ საზოგადოებაში გაბატონებულ ნორმატიულ მოთხოვნებთან დამაკავშირებელ ფუნქციებს);

**ყოფითი კულტურა**, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ტრადიციებთან, რის შედეგადაც მას ხშირად უწოდებენ ტრადიციულ-ყოფით კულტურას; ყოველდღიური ქცევა (ზოგიერთი კულტურის წარმომადგენელთა ჩვევები, ზოგ სოციუმში მიღებული ურთიერთობის ნორმები), ასევე, ამასთან დაკავშირებული მიმიკური და პანტომიმური (კინესთეტიკური) კოდი, რომელსაც იყენებენ ზოგიერთი ლინგვოკულტურული საზოგადოების წევრები;

**სამყაროსეროვნულიხატი** (სურათი), რომელიც ასახავს ამა თუ იმ კულტურის წარმომადგენელთა მიერ გარესამყაროს სპეციფიკურ აღქმას, აზროვნების ეროვნულ თავისებურებს;

**მხატვრულიკულტურა**, რომელიც ასახავს ამა თუ იმ ეთნოსის კულტურულ ტრადიციებს.

სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება, აგრეთვე, თვით ნაციონალური ენისა და კულტურის მატარებელი. ინტერკულტურულ ურთიერთობაში უნდა გავითვალისწინოთ კომუნიკანტთა ნაციონალური ხასიათის თავისებურებები, მათი ემოციურობისტიპი, სპეციფიკური აზროვნება. ე. სეპირის მიხედვით, ყოველი კულტურული სისტემა და ყოველი ცალკეული საზოგადოებრივი ქცევა აშკარად ან ფარულად მოიცავს კომუნიკაციას.

ს.ტერმინასოვას აზრით, „აუცილებელია ენის მატარებლის სამყაროს ხატის (და არა ენის) სიღრმისეული და დეტალური კვლევა ფართო ეთნოგრაფიული გაგებით, რომელიც მოიცავს მისი ცხოვრების სტილის, ეროვნული ხასიათის, მენტალიტეტის და ა.შ. ანალიზს. სიტყვათა გამოყენებას მეტყველებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ის მნიშვნელოვნად განისაზღვრება მოცემულ ენაზე მოსაუბრე სამეტყველო

კოლექტივის სოციალური და კულტურული ცოდნით. ენა არ არსებობს კულტურის გარეშე, ანუ სოციალურად განპირობებული პრაქტიკული უნარებისა და იდეების გარეშე, რომლებიც ახასიათებს ჩვენი ცხოვრების სტილს. ენობრივი სტრუქტურების საფუძველს სოციოკულტურული სტრუქტურები წარმოადგენს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ, თუ ინტერკულტურულ კომუნიკაციაში, ზოგადად, ენობრივი ბარიერის არსებობა აშკარა და ნათელია, კულტურული ბარიერი აშკარა ხდება მხოლოდ ჩვენი კულტურის სხვა კულტურასთან უშუალო შეხებისას. ხშირად ამ გამოცდილებას ახასიათებენ, როგორც საოცარს, უცნაურს, უსიამოვნოსა და შოკისმომგვრელსაც კი (აქედან გამომდინარეობს ტერმინი „კულტურული შოკი“). ეს ხდება იმიტომ, რომ საკუთარი კულტურის ფარგლებში ინდივიდს ექმნება მყარი ილუზია გარესამყაროს, ცხოვრების, მენტალიტეტის და ა.შ. შესახებ, როგორც ერთადერთი შესაძლებელი ვარიანტის, და, მეტიც, ერთადერთი მისაღები ვარიანტის შესახებ” (Терминасова, 2008). უცნაურია, მაგრამ ადამიანების უმეტესობას არ ესმის, რომ ისინი საკუთარი კულტურის პროდუქტებად რჩებიან იმ იშვიათ შემთხვევებშიც კი, როდესაც მათ ესმით, რომ სხვა კულტურის წარმომადგენლების ქცევა განპირობებულია ამ უკანასკნელთა კულტურით. იმავე მეცნიერის აზრით, „მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანები გადიან საკუთარი კულტურის ფარგლებს გარეთ და დგებიან სხვა მსოფლმხედველობის, სამყაროს აღქმის და ა.შ. წინაშე, შესაძლებელია მათ დაინახონ კულტურათა განსხვავება და კულტურათა კონფლიქტიც კი“ (Терминасова, 2008:77).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინტერკულტურულ კომუნიკაციაში კულტურული ბარიერი ენობრივ ბარიერთან შედარებით ბევრად უფრო საშიშია. ხშირად იგი თითქოს უხილავია და ფაქტის წინაშე ვდგებით, როდესაც პრობლემა გვექმნება. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ კულტურული შეცდომები ბევრად უფრო მტკივნეულად აღიქმება, ვიდრე ენობრივი შეცდომები. სახელმძღვანელოებში არ არის მოცემული მზა წესები და რეცეპტები. მიუხედავად იმისა, რომ კულტურული შეცდომების დაშვება ადვილია და, სავარაუდოდ, ასეთი შეცდომები ადამიანს ადვილად უნდა ეპატიებოდეს, პრაქტიკიდან გამომდინარე, ინტერკულტურულ კომუნიკაციაში საკომუნიკაციო ენის მატარებლები გულდიად და არაკრიტიკულად ხვდებიან უცხოელების მიერ დაშვებულ ენობრივ შეცდომებს,

თუმცა კულტურულმა შეცდომებმა შეიძლება მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინოს ურთიერთობაზე.

ენისა და რეალობის, ენისა და კულტურის ურთიერთობა და ურთიერთქმედება მეტად მნიშვნელოვანია ჩვენს კვლევაში. ამ პრობლემური საკითხების იგნორირება ხშირად დაკავშირებულია წარუმატებელ ინტერკულტურულ კომუნიკაციასთან. როგორც ცნობილია, ენა გარესამყაროს სარკეა, ის ასახავს, ირეკლავს რეალობას და ქმნის ამ ენაზე (როგორც ურთიერთობის საშუალებაზე) მოსაუბრე ყოველი ენისა და ყოველი ერის, ეთნიკური ჯგუფის, სამეტყველო კოლექტივის სპეციფიკურ, უნიკალურ სამყაროს ხატს. თითოეული სიტყვის უკან დგას რეალური სამყაროს რომელიმე საგანი ან მოვლენა. ენა ასახავს ყველაფერს: გეოგრაფიას, კლიმატს, ისტორიას, ცხოვრების პირობებს. ფაქტია, რომ ენასა და მის მატარებელ ადამიანს შორის არის მჭიდრო კავშირი. ენა ხომ ადამიანებს შორის ურთიერთობის საშუალებაა და დაკავშირებულია იმ სამეტყველო კოლექტივის განვითარებასთან, რომელიც ამ ენას იყენებს როგორც ურთიერთობის საშუალებას. ენის საზოგადო ბუნება ვლინდება მისი ფუნქციონირების დროს (ბილინგვიზმი, მულტილინგვალიზმი, ენების სწავლება და ა.შ.), ასევე, თვით ენის სტრუქტურაში (გრამატიკა, ლექსიკა და ა.შ.).

რაც შეეხება ადამიანს, რომელიც დგას ენასა და რეალურ სამყაროს შორის, იგი აღიქვამს და შეიმეცნებს სამყაროს გრძნობათა ორგანოების მეშვეობით და ამის საფუძველზე ქმნის საკუთარ წარმოდგენას სამყაროზე. საკუთარ გონებაში, ფიქრისა და აზროვნების პროცესის შემდეგ, იგი საკუთარ აზრებს ენობრივი კოლექტივის სხვა ადამიანებს ენის საშუალებით გადასცემს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რეალობასა და ენას შორის დგას აზროვნება. ენა, როგორც აზრის გამოხატვისა და მისი ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის საშუალება, მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნებასთან. ენისა და აზროვნების ურთიერთმიმართება ურთულესი საკითხია, რომელსაც იკვლევს ლინგვისტიკა, ფილოსოფია და სხვა დისციპლინები.

სიტყვა ასახავს არა თვით რეალურ საგანს, არამედ მის ხატს, რომელიც გამოწვეულია მისი აღქმით, ამ საგანზე შეხედულებით. გზა რეალური სამყაროდან ცნებამდე და შემდგომ სიტყვიერ გამოხატულებამდე სხვადასხვა ერისათვის სხვადასხვაა, რაც განპირობებულია ისტორიით, გეოგრაფიით, ცხოვრების პირობებითა და, შესაბამისად, მათი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებით.

ამრიგად, ენა, აზროვნება და კულტურა ისე მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული, რომ თითქმის ერთ მთლიანობას ქმნის. ამ სამი კომპონენტიდან არც ერთს არ შეუძლია ფუნქციონირება (და, მაშასადამე, არც არსებობა) დანარჩენი ორის გარეშე.

ადამიანის გარესამყაროს აქვს სამი ფორმა: სამყაროს რეალური სურათი (ხატი); სამყაროს კულტურული ხატი; სამყაროს ენობრივი ხატი.

**სამყაროს რეალური ხატი** არის ობიექტური მოცემულობა, ეს არის გარესამყარო ადამიანის ირგვლივ. სამყაროს კულტურული ხატი არის რეალური სურათის ასახვა ცნებების საშუალებით, რომლებიც ყალიბდება ადამიანის გრძნობათა ორგანოებით მიღებული და მის აზროვნებაში გამოვლილი შეხედულებების საფუძველზე.

**სამყაროს ენობრივი ხატი** რეალობას ასახავს სამყაროს კულტურული ხატის საშუალებით. ამაზე ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საუბრობდნენ გერმანელი ფილოლოგები.

დღესდღეობით მიღებულია, რომ **სამყაროს კულტურული ხატი** და **ენობრივი ხატი** მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და ურთიერთქმედებს. სხვადასხვა ლინგვისტური მიმდინარეობის ყველა მცდელობა, მოეწყვიტათ ენა რეალობიდან, წარუმატებელი აღმოჩნდა ერთი მარტივი მიზეზის გამო: მხედველობაში უნდა მიიღებოდეს არა მხოლოდ ენობრივი ფორმა, არამედ — შინაარსი. შინაარსი, სემანტიკა, ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობა, სიტყვები — ეს არის ხმოვანი (ან გრაფიკული) გამოხატულება რეალური სამყაროს საგნისა ან მოვლენისა. ენობრივი სემანტიკა ხსნის გზას ენიდან რეალური სამყაროსკენ. ეს მაკავშირებელი ძაფი, ფაქტობრივად, ის კულტურული წარმოდგენებია კულტურული სამყაროს საგნებსა და მოვლენებზე, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ენობრივი კოლექტივისათვის ზოგადად და, კერძოდ, ამ ენის მატარებელი ინდივიდისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ხალხებს, ერებს სამყაროს განსხვავებული ენობრივი ხატებიაქვთ. ეს გამოწვეულია იმით, რომ გზა არაენობრივი რეალობიდან ცნებამდე და შემდეგ სიტყვიერ გამოხატვამდე, ვერბალიზაციამდე, მათი ისტორიის, სპეციფიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი აზროვნების გამო, არ არის ერთნაირი ყველა ერისათვის. ეს გამოიხატება რეალობის კატეგორიზაციაში, ხოლო მისი მატერიალიზება ხდება ლექსიკაში, გრამატიკაში.



სამყაროს ეროვნული კულტურული ხატი პირველადია, იგი უფრო სრული, მდიდარი და ღრმაა, ვიდრე ენობრივი. ენაში რეალიზდებასამყაროს ეროვნული კულტურული ხატი, რომელიცთაობებსგადაეცემა. ენა ვერ აფიქსირებს ყველაფერს, მაგრამ შეუძლია აღწეროს ყველაფერი.

მაგრამ ენა მხოლოდ პასიურ რეჟიმში როდი ასახავს ყველაფერს.ენის მეშვეობით (კულტურასთან და აზროვნებასთან ურთიერთქმედების დროს) ხდება ენის მატარებელი ადამიანის ფორმირება, როგორც პიროვნებისა, როგორც მოცემული სოციოკულტურული საზოგადოების ნაწილისა, ხდება მისი ფასეულობათა სისტემის, მორალის, ქცევის, ადამიანებისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

ენაში ასახული სამყარო ამ ენაზე მეტყველი ერის კოლექტიური ქმნილებაა და ყოველი შემდგომი თაობა, მშობლიურ ენასთან ერთად, იღებს კულტურის სრულ კომპლექტს,ეროვნული ხასიათის ელემენტებს, მსოფლმხედველობას, მორალს და ა.შ.

ენა ასახავს სამყაროს და ახდენს ენის მატარებლის ფორმირებას. ენა სარკეა და, ამავე დროს, ინსტრუმენტი, ანუ ასრულებს პასიურ ფუნქციას (ასახვა) და აქტიურ ფუნქციას (შექმნა). ეს ფუნქციები რეალიზდება ურთიერთობის, კომუნიკაციის პროცესში, რომლის მთავარ საშუალებას წარმოადგენს ენა.

ენა არა მარტო ასახავს ადამიანის სამყაროსა და მის კულტურას, არამედ მას კულტურის შენახვისა და შემდეგი თაობებისათვის გადაცემის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია. ამიტომ ითვლება, რომ ენა ასრულებს მნიშვნელოვან, გადამწყვეტ როლს პიროვნების, ეროვნული ხასიათის, ეთნოსისა და ერის ჩამოყალიბებაში. ეროვნული კულტურისა და პიროვნების ურთიერთმიმართების შესახებ ბევრი დაწერილა კულტუროლოგების, ფსიქოლოგების, სოციოლოგების მიერ. ერთნი თვლიან, რომ დაბადებისას ადამიანს არ აქვს ეროვნება, მისი ეროვნება ყალიბდება გარკვეულ სოციალურ-ეროვნულ გარემოში და სწორედ აქ, აღზრდის პროცესში, შეითვისებს ბავშვი ნაციონალურ კულტურას.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ის უდიდესი როლი, რომელსაც თამაშობს ენა (რა თქმა უნდა, კულტურასთან ერთად) ადამიანის აღზრდაში. ს.ტერმინასოვას აზრით, „პიროვნება – ეს არის ენისა და კულტურის პროდუქტი. დაბადებიდანვე ადამიანი ენისა და კულტურის მეშვეობით იღებს წარმოდგენას სამყაროსა და საზოგადოების შესახებ, რომლის ნაწილსაც ის წარმოადგენს. იგი ეცნობა და იზიარებს ცხოვრებისა

და ქცევის წესებს, ფასეულობებს და ა.შ.“ (Терминасова, 2008:87).

ნაციონალური, ეროვნული ხასიათი, რომელიც დღესაც რჩება ყველაზე პოპულარულ ტერმინად, წარმოადგენს ეთნიკურ წარმოდგენას, „სხვა ერის სიტყვიერ პორტრეტს“. ერის ფსიქოლოგიური წყობა წარმოადგენს „ერის სულიერი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენის გარკვეულ ერთობლიობას“. პირველი, რაც მოგვდის აზრად, როდესაც საქმე ეხება ამა თუ იმ ერის ნაციონალურ ხასიათს, არის სტერეოტიპები, რომლებიც მოცემულ ერთანასოცირდება. სტერეოტიპი განისაზღვრება, როგორც სქემატური, სტანდარტული სახე ან წარმოდგენა სოციალურ მოვლენასა ან ობიექტზე, ჩვეულებრივ, ემოციური შეფერილობით და გამოირჩევა მდგრადობით. იგი გამოხატავს რაიმე მოვლენის მიმართ ადამიანის პირველად დამოკიდებულებას, რომელიც ჩამოყალიბებულია სოციალური პირობებისა და წინა გამოცდილების გავლენით.

### §3. კომუნიკაცია და მისი როლი ადამიანთა ურთიერთობაში

„მისი უდიდებულესობა კომუნიკაცია“— როგორც მას უწოდებს ს. ტერმინასოვა, მართავს ცხოვრებას, განვითარებას, ადამიანების ქცევას, სამყაროსა და საკუთარი თავის, როგორც სამყაროს ნაწილის აღქმას და ყოველი ცდა, რომ გავიაზროთ ადამიანთა შორის კომუნიკაცია, გაგება იმისა, თუ რა უშლის და რა უწყობს ხელს კომუნიკაციას, არის სრულიად გამართლებული, ვინაიდან ურთიერთობა არის საყრდენი, საფუძველი ადამიანის არსებობისა“ (Терминасова, 2008: 89-90).

ტერმინი „კომუნიკაცია“ (ლათ. communicatio) სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა მეოცე საუკუნის დასაწყისში და თანამედროვე ფსიქოსოციოლოგიურ ლიტერატურაში შემდეგნაირად განიმარტება:

1) მატერიალური და სულიერი სამყაროს ნებისმიერ ობიექტებს შორის კავშირის საშუალება;

2) ადამიანის მიერ ადამიანისთვის ინფორმაციის გადაცემის პროცესი (წარმოდგენების, იდეების, განწყობის, გრძნობების და ა.შ. გაცვლა-გამოცვლა ადამიანურ ურთიერთობებში);

3) საზოგადოებაში ინფორმაციის გადაცემა და გაცვლა მასში არსებულ

სოციალურ პროცესებზე ზემოქმედების მიზნით.

პირველი განსაზღვრება დაკავშირებულია კომუნიკაციის საშუალებების დიფერენციაციასთან და სისტემატიზაციასთან, მეორე — ინტერპერსონალური ზეგავლენის საკითხებთან, მესამე — მასობრივი კომუნიკაციის პრობლემებთან. თუმცა, თითოეულ მათგანში კომუნიკაცია გამოდის, როგორც დამაკავშირებელი ელემენტი ინდივიდუალური და სოციალური ინფორმაციის ურთიერთქმედებაში. როგორც აღვნიშნეთ, კომუნიკაცია — ეს არის ადამიანისთვის საზოგადოებაში არსებობის ერთ-ერთი აუცილებელი და სპეციფიკური პირობა. კომუნიკაცია, ფსიქოლოგთა აზრით, ერთდროულად არის ურთიერთობა, ქმედება და პროცესი. კომუნიკაციის ამოცანა, როგორც წესი, დაკავშირებულია კომუნიკაციის სუბიექტის ორიენტირებულ, დაგეგმილ მოქმედებასთან და, ასევე, მოიცავს მეტყველების აღქმის განმსაზღვრელ პერცეფციულ მიზანს. ეს პროცესი, უმეტესად, მიზანმიმართული, ამორჩევითი და სიტუაციიდან გამომდინარეა, რადგანაც კომუნიკაციას ახასიათებს ორმხრივობა. სწორედ ამიტომ სუბიექტი, კონკრეტული კომუნიკაციური სიტუაციის შეფასების შედეგად, წყვეტს, თუ რა იქნება მისი პერცეფციული მიზანი.

კომუნიკაციას, ასევე, უწოდებენ მოვლენებს შორის მიზანმიმართულ, სიგნალთა გადაცემით გამოხატულ უნივერსალური კავშირისა და საზოგადოებაში ინფორმაციის ცირკულირების ერთ-ერთ ფორმას. ასევე, იგი ითვლება „აქსიალურ“ (ზუსტად მიმართულ) და „რეტიალურ“ (მასმედიის საშუალებები) ქმედებად.

კონსტრუქტივიზმის სკოლის წარმომადგენლები კომუნიკაციას განიხილავენ, როგორც ინტერაქციის ერთ-ერთ კერძო კატეგორიას, სადაც სწორედ ინტენციაა საწყისი პუნქტი კომუნიკაციის პროცესში, გამოხატავს რა ადამიანების შინაგან მდგომარეობას. რა თქმა უნდა, კომუნიკაციის სტრატეგიის არჩევისას ყოველი ინდივიდი, საკუთარი შინაგანი მდგომარეობის გარდა, ითვალისწინებს საკუთარ შეხედულებას სხვათა შინაგან მდგომარეობაზე. როგორც ცნობილია, კომუნიკაციის პროცესს ახასიათებს ყველა მონაწილის მიერ საკუთარი „მეს“ გამოხატვის სურვილი და ის, რომ ეს განზრახვა სხვათა მიერ იქნეს აღქმული.

კომუნიკაცია, ეს არის პროცესი, სადაც ჩართულია, სულ ცოტა, ორი მოქმედი პირი: ადრესანტი და ადრესატი. ლინგვისტთა კვლევის ობიექტი გახდა ენის გამოყენების აქტუალურობა სოციალურ კონტექსტში. ე.ტარასოვმა გამოყო

კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. მან აღნიშნა, რომ ინდივიდების ურთიერთობას სისტემურია და არაქაოტური. სრულიად მართებულად მივიჩნევთ მის აზრს იმის თაობაზე, რომ „კომუნიკაციას ინდივიდები ახდენენ სოციალური ურთიერთობების რეალიზებას, რომლებიც ზღუდავს ქცევას და მას ორგანიზებულსა და სისტემურ ხასიათს ანიჭებს“ (Караулов, 2002: 42). აქედან გამომდინარე, სამეტყველო აქტები ხორციელდება სოციალური ურთიერთობების სტრუქტურაში, ინტერპერსონალური კომუნიკაცია აწესრიგებს სოციალურ ურთიერთობებს, ანუ მას სოციალური ხასიათი აქვს.

არსებობს კიდევ უამრავი სხვა განსაზღვრება ტერმინისა „კომუნიკაცია“, მაგრამ ყველა თანხმდება მის მკვეთრად გამოხატულ სოციალურ ხასიათზე. ა. ლეონტიევის აზრით, „კომუნიკაცია არის არა მხოლოდ ადამიანთა ურთიერთობა საზოგადოებაში, არამედ, ასევე, და, უპირველეს ყოვლისა, ადამიანებს, როგორც საზოგადოების წევრებს, შორის“ (Толстая, 1999: 50).

კომუნიკაცია არის სოციალურად განსაზღვრული პროცესი ადამიანთა შორის აზრთა და გრძნობათა გაზიარებისა. ეს, პირველ რიგში, ვერბალური კომუნიკაციის მეშვეობით რეალიზდება. ვ. კონეცკაია თვლის, რომ კომუნიკაცია არის სოციალურად განპირობებული პროცესი ინფორმაციის გადაცემისა ინტერპერსონალური და მასკომუნიკაციის მეშვეობით, სხვადასხვა გზისა და საშუალების გამოყენებით (ვერბალური, არავერბალური და ა.შ.) (Чумаков, 2004: 94-98).

გარდა იმისა, რომ აღიარებულია კომუნიკაციის საზოგადოებრივ-სოციალური სახე, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს მის, როგორც ერთიანი სისტემისა და მიზანმიმართული, მოტივირებული პროცესის აღიარებაზე. თავის მხრივ, ეს პროცესები ახდენს სოციალური ურთიერთობების აქტუალიზებას, რომლის დროსაც გამოიყენება სხვადასხვა სპეციფიკური საშუალება, პირველყოვლისა—ენობრივი.

კომუნიკაციური აქტივობა არ არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი და იზოლირებული სხვა აქტივობებისგან. კომუნიკაციაში, როგორც ადამიანური აქტივობის განსაკუთრებულ პროცესში, ურთიერთქმედებს ორი მხარე: ლინგვისტური და სოციალური, რადგანაც ნებისმიერ გამონათქვამს ურთიერთობის კონკრეტულ სიტუაციაში გააჩნია წინაპირობების საკმაოდ ფართო ფონი, რომელიც გავლენას ახდენს ქმედების ორგანიზაციაზე და ეყრდნობა ინდივიდის ფსიქიკურ და

პრაქტიკულ ქმედებას საზოგადოებაში.

კომუნიკაციაში ვლინდება მონაწილე სუბიექტების თვისებები, რის გამოც ის იძენს სოციალურ და ემოციურ შეფერილობას და, პიროვნების მოტივაციური სფეროს გავლით, ზემოქმედებს შემეცნების პროცესის დინამიკაზე. ამას გარდა, საზოგადოებრივი ურთიერთობები იქმნება და ვითარდება ინდივიდების უშუალო მონაწილეობით. ამ გაგებით, კომუნიკაცია წარმოგვიდგება, როგორც ადამიანის მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების შეთვისების საშუალება. კომუნიკაციური აქტივობა სოციალურ მოღვაწეობასთან, აქტივობასთან მჭიდრო კავშირში უნდა განვიხილოთ, ხოლო კომუნიკაცია — როგორც სოციალური ურთიერთქმედების ფორმა, რომლის პროცესშიც ხდება წარმოდგენების, იდეებისა და ინტერესების ურთიერთგაცვლა.

ზოგჯერ კომუნიკაცია განიხილება, როგორც ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე, (ინტერაქციულთან და პერცეფციულთან ერთად) და განისაზღვრება, როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობის დამყარებისა და განვითარების რთული, მრავალმხრივი პროცესი, რომელიც განპირობებულია ერთობლივი ქმედების მოთხოვნებით და მოიცავს ინფორმაციის გაცვლას, ურთიერთქმედების ერთიანი სტარტეგიის გამომუშავებას, სხვა, მეორე, ადამიანის აღქმასა და გაგებას.

## **თავი II. კულტურის საკვანძო კონცეპტები და „სიკვდილ-სიცოცხლე“**

### **§1. კულტურის კონცეპტებისათვის**

სიკვდილ-სიცოცხლის კონცეპტები, კულტურის სემიოტიკურ სივრცეში, ენობრივ მექანიზმებთან და შესაბამის კონცეპტოსფეროსთან მიმართებაში განიხილება .

ვერბალურ ნიშნებში აზრობრივი კოდის შინაარსის „ტრანსკოდირების“ ერთ-ერთ სტრუქტურულ კომპონენტს კონცეპტი წარმოადგენს, რომელიც ადამიანის მენტალურ რეალობაში არსებობს, როგორც ცოდნისა და ინფორმაციის ერთობა აქტუალური ან სავარაუდო საქმეთა ვითარების (რეალურ სამყაროში ემოციების, განცდების, ასოციაციების და ა.შ.) კონტექსტში. მისი, როგორც მენტალური წარმონაქმნის აღქმა, საშუალებასგვაძლევს მოვახდინოთ კონცეპტუალური სისტემის მატარებლის მენტალური სამყაროს რეკონსტრუირება და დავახასიათოთ მისი ეთნომენტალობა.

ი. სტეპანოვის მსგავსად (Степанов,1996:29), ჩვენ ვახდენთ კონცეპტის, როგორც ადამიანის ეთნოკულტურული სამყაროს ფრაგმენტის, ინტერპრეტაციას მის მენტალურ სამყაროში. ინტერპრეტაციულ რეჟიმში ვერბალური მნიშვნელობების სისტემა შეეფარდება ენის მატარებლის სოციო და ეთნოკულტურულ კომპეტენციას, რომლის კონცეპტუალური შიგთავსი წარმოადგენს ერის მენტალიტეტის ერთ-ერთ გადამწყვეტ თვისებას. სინამდვილის ფრაგმენტის ინტერპრეტაცია კონცეპტუალურ სისტემაში არის, უპირველეს ყოვლისა, გარკვეული სამყაროს ან „სამყაროს სურათის“ შესახებ ინფორმაციის კონსტრუირება. უდავოა, რომ საბაზო კონცეპტების შინაარსი ბევრად უფრო მოცულობითია, ვიდრე ერთგვაროვანი ენობრივი არსების შინაარსი, ვინაიდან მათი გაცნობიერება მოიცავს მთელ იდეოგრაფიულ სფეროს. იდეოგრაფიულად ორგანიზებული ენობრივი გამონათქვამების კონცეპტუალურ სისტემასთან უდავო კავშირის არსებობა საშუალებასგვაძლევს, განვიხილოთ ვერბალური იდეოგრაფიული ორგანიზაცია რეპრეზენტაციის კონცეპტუალური მოდელის სახით, რომელიც მოიცავს სამყაროს შესახებ ცოდნასა და იმ ღირებულებებს, რომლებიც მოცემული სოციუმის მიერაა დაგროვილი.

კონცეპტების განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს „კულტურის კონცეპტები“ (ჩვენს შემთხვევაში, კონცეპტები „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“). როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითოეულ კონცეპტს, გამოხატულს ვერბალური საშუალებებით, აქვს საკუთარი სემანტიკური ფორმა, დეტერმინირებული მნიშვნელობებით, რომელიც ხასიათდება ეთნოკულტურული განპირობებულობით, ვინაიდან მასში გამოსახულია ყველა: კონოტაციური, მოდალური, ემოციური, ექსპრესიული, პრაგმატიკული და სხვა შეფასებები. „კულტურის კონცეპტები“, ან

სხვა ტერმინოსისტემაში, „კულტურის საკვანძო კონცეპტები“, წარმოადგენს სამყაროს სურათის ბირთვულ ერთეულებს, რომლებსაც გააჩნიათ ეგზისტენციალური მნიშვნელობა, როგორც ცალკეული ენობრივი პიროვნებისთვის, ისე მთელი ლინგვოკულტურული ერთობისთვის მთლიანობაში. კონცეპტები, დ. ს. ლიხაჩოვის თქმით, „ჩნდებიან ადამიანის გონებაში არა მარტო როგორც მინიშნებები შესაძლო მნიშვნელობებზე, არამედ როგორც ადამიანის საპასუხო რეაქცია წინა ენობრივ გამოცდილებაზე მთლიანობაში – პოეტური, პროზაული, მეცნიერული, სოციალური, ისტორიული და ა.შ.. „კულტურის უნივერსალურ კატეგორიებს“ (ისეთი როგორიცაა დრო, სივრცე, მოძრაობა) უპირისპირდება „ნაციონალური კულტურის კატეგორიები“, რომელიც მნიშვნელოვან მდგომარეობას იკავებს ერის კოლექტიურ ენობრივ ცნობიერებაში“ (Лихачев, 1997:281–287).

## **§2. „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“, როგორც უნივერსალური კონცეპტები**

კოლექტიური ენობრივი ცნობიერების კვლევის პრობლემა, რომელიც გამოხატავს ენაში დამკვიდრებულ გარკვეულ კანონზომიერებებს სიტყვებისა და წინადადებების ორგანიზაციაში, ჩვენ განვიხილეთ უნივერსალური კონცეპტების, „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“, საფუძველზე, რომლებშიც მქდავენდება ნაციონალური სამყაროს სურათების სპეციფიკურობა. ნებისმიერი ენის კონცეპტოსფეროში კონცეპტები „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“ კულტურის კონცეპტებს შორისცენტრალურ ადგილს იკავებს, ვინაიდან მათში შემავალი ცნებები ეგზისტენციალურად მნიშვნელოვანია, როგორც ცალკეული ადამიანისთვის, ისე კაცობრიობისთვის ზოგადად (Чумаков, 2004: 282-286).

ანტროპოცენტრული პარადიგმის მიერ ადამიანის დაყენება პირველ ადგილზე ეფუძნება ენის, როგორც ადამიანის მთავარი მაკონსტრუირებელი მახასიათებლის, როლის აღიარებას. სააზროვნო პროცესში შეჭრით ენა ქმნის ახალ მენტალურ სივრცეებს და გამოჰყავს ადამიანი უშუალო დაკვირვების მიღმა. იგი გამოსახავს ადამიანის აზრის მოძრაობას, აშენებს შესაძლო სამყაროებს, აფიქსირებს აზრის დინამიკას და მისი წარმოდგენის საშუალებებს ენობრივი რესურსების მეშვეობით.

კომუნიკაციური ლინგვისტიკის ძირითად მიმართულებებს შორის, რომლებიც

ანტროპოცენტრული პარადიგმის ჩარჩოებში ყალიბდება, საჭიროა აღინიშნოს ლინგვოკულტუროლოგია, ლინგვისტური პრაგმატიკა, კოგნიტური ლინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა, ეთნოფსიქოლინგვისტიკა და სხვა.

თუ **ლინგვოკულტუროლოგიას** აინტერესებს ენა, როგორც კულტურის ფენომენი, რომელიც ახდენს სამყაროს ხედვის რეალიზაციას ნაციონალური ენის პრიზმის მეშვეობით, კოგნიტური ლინგვისტიკა ოპერირებს „ინფორმაციის“ კატეგორიით და ადამიანის აზროვნების მიერ მისი გადამუშავების შედეგად მიღებული „ცოდნის სტრუქტურის“ კატეგორიით, რომელიც ადამიანის გონებასა და ენობრივ ფორმებში რეპრეზენტირდება.

თუ **კოგნიტური ლინგვისტიკა** სხვა მიმართულებებთან ერთად, რომლებიც ქმნიან კოგნიტოლოგიას, ცდილობს უპასუხოს კითხვას, თუ რა პრინციპითაა ორგანიზებული ადამიანის გონება, როგორ შეისწავლის ის სამყაროს, თუ რა მონაცემები ყალიბდება სამყაროს შესახებ ცოდნად, როგორ იქმნება მენტალური სივრცეები, კულტუროლოგიის მთელი ყურადღება გადატანილია კულტურაში ადამიანის არსებობაზე და მის ენაზე, რაც შემდეგი საკითხების გადაწყვეტას მოითხოვს: როგორს ხედავს ადამიანი სამყაროს; როგორია მეტაფორისა და სიმბოლოს როლი კულტურაში; როგორია ფრაზეოლოგიზმების როლი კულტურის რეპრეზენტაციაში და ა. შ.

ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკასთანადაკავშირებული ისეთი დისციპლინაც, როგორცაა **ეთნოფსიქოლინგვისტიკა**. იგი სამეტყველო საქმიანობას ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკის ჭრილში განიხილავს და იკვლევს, აგრეთვე, ენობრივი ცნობიერებისა და კომუნიკაციის ეთნოფსიქოლინგვისტურ დეტერმინირებას.

თავისი ბუნებით, აზრის ფენომენი გულისხმობს, ერთი მხრივ, ადამიანისგან დამოუკიდებელ მატერიალურ სამყაროს, რომელსაც იგი ასახავს, მეორე მხრივ კი — მისი გამოხატვის ვერბალურ საშუალებებს.

როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, არსებობს პირველადი საბაზო კონცეპტები, რომელთაგანაც შემდგომ წარმოიშობა სხვა დანარჩენები. ყველაზე მნიშვნელოვანი კონცეპტები თვით კონცეპტუალურ სივრცეს აწესრიგებს და მისი სემანტიკისას ძირითად რუბრიკებს წარმოადგენს. კონცეპტუალური სისტემის



ძირითად კონსტიტუენტებს წარმოადგენს აღქმის ობიექტი და მისი ნაწილები: ცვალებადობა (მოდრაობა და ობიექტთან ურთიერთქმედება), ადგილი (სივრცე), დრო და ობიექტთა და მოქმედებათა ნიშნები. სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის ფარგლებში განხორციელებული მრავალრიცხოვანი მცდელობის მიუხედავად (მათ შორის, წმინდა ლინგვისტურ), ტერმინის, „კონცეპტი“, განსაზღვრების პრობლემა ჯერაც აქტუალურია, თუმცა, უნდა გამოიყოს უნივერსალური მახასიათებელი, რომელსაც ყველა აღიარებს, აბსოლუტური ანტროპოცენტრულობა, რაც სუბიექტის (კოლექტიურ თუ ინდივიდუალურ) ცნობიერებას უკავშირდება.

როგორც ვთქვით, ანტროპოცენტრიზმი წარმოადგენს თანამედროვე მეცნიერების განვითარების ძირითად მიმართულებას. ადამიანი ხდება კოორდინატთა გადაკვეთის ცენტრში, რომელიც განსაზღვრავს თანამედროვე ლინგვისტიკის საგანს, ამოცანებს, მიზნებს, ღირებულებრივ ორიენტირებს. თავის მხრივ, თვით ენაა ანტროპოცენტრისტული. ადამიანის არსებობის ფაქტორი „თავს იჩენს ენის ფუნქციონირების მთელ სივრცეში, თუმცა განსაკუთრებით ჩანს ლექსიკასა და სინტაქსში, სიტყვათა სემანტიკაში, წინადადების სტრუქტურასა და დისკურსის ორგანიზაციაში“ (Бабушкин, 1996:134).

„ლინგვისტური კვლევების არეალში ტერმინის, „კონცეპტი“, შემოტანა შესაბამისი მსოფლმხედველობრივი ცვლილებების შედეგია, რომელმაც არსის, როგორც აბსტრაქტული ფენომენის (რომელიც გამონათქვამს ავტორისა და ადრესატისგან განცალკევებით განიხილავს) გაგება ჩაანაცვლა მისი, როგორც ადამიანში და ადამიანისთვის არსებული არსით“ (Степанов, 1996: 119).

დღეს ადამიანის შემეცნებითი აქტივობის განმსაზღვრელი და მარეგულირებელი პრინციპების განხილვის გარეშე შეუძლებელია ენათმეცნიერების მთავარ კითხვებზე პასუხის გაცემა. თანამედროვე კოგნიტივისტები თვლიან, რომ ენა უნდა განიხილებოდეს არა როგორც ავტონომიური წარმონაქმნი, არამედ როგორც სისტემა, რომელიც ადამიანთან დაკავშირებულ სხვა სისტემებთან კორელირებს. ენის კოგნიტივისტური ინტერპრეტაციის საფუძველს წარმოადგენს მისი, როგორც აზრის გამოხატვის, შენახვის, ცოდნის ორგანიზაციისა და გაცვლის საშუალების გააზრება. ენა წარმოადგენს ადამიანის შინაგან სამყაროში ჩახედვის საშუალებას, გარესამყაროს ფანჯარას. აქედან გამომდინარე, კოგნიტური ლინგვისტიკის მიზანია, ენის

საშუალებით შევადწინოთ ცოდნის სხვადასხვა ფორმის სტრუქტურაში, აღვწეროთ მათი კავშირი ენასთან და, შეძლებისდაგვარად, მოვახდინოთ ამგვარი სტრუქტურების კავშირებისა და შინაარსის მოდელირება, რითაც, შესაძლოა, ინტელექტის ზოგადი თეორიის განვითარებაში გარკვეული წვლილი შევიტანოთ. ამასთანავე, ლინგვისტები ცდილობენ, კომპლექსურად მიუდგნენ პრობლემის გადაწყვეტას, სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის ძალისხმევით, გაერთიანებით, შეიმუშაონ დაშვებათა ზოგადი სისტემა (ასსუმპციონს) და, ახალ სამეცნიერო მიღწევებზე დაყრდნობით, კრიტიკულად გადაამუშაონ ამ მიმართულებით ადრე დაგროვილი ცოდნა.

## 2.1. კონცეპტისა და ცნების გამიჯვნისათვის

მიუხედავად მრავალრიცხოვანი მცდელობისა, ჯერ კიდევ მრავალი პრინციპული პრობლემა გადაუჭრელია. ერთ-ერთი ამგვარი პრობლემა კონცეპტისა და ცნების გამიჯვნაა. აქ ორგვარი მიდგომა იკვეთება. პირველი პოზიციის მომხრენი ამ ორ ცნებას აიგივებენ. ამგვარი გაგება კონცეპტის თეორიის ერთ-ერთი ავტორის, ფილოსოფოს ასკოლდოვ-ალექსეევის თვალსაზრისს უკავშირდება, რომელიც კონცეპტს, როგორც ცნობიერების აქტს, მენტალურ წარმონაქმნს განიხილავს, რომელიც აზროვნების პროცესში ჩაანაცვლებს ერთგვაროვანი საგნებისა და მოვლენების რიგს. მის ძირითად ფუნქციად ავტორი სუბსტიტუციურ ფუნქციას მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინის „კონცეპტი“ გაგება ფილოსოფიასა და ენათმეცნიერებაში დიდ მსაგავსებას ამჟღავნებს, არ შეიძლება, ვისაუბროთ მათ იგივეობრიობაზე (Залевская).

ფილოსოფიაში კონცეპტი (ლათ. *conceptus* – ‘ცნება’) გაგებულია, როგორც „ცნების შინაარსი, მისი აზრობრივი შევსება, მისი გამოხატვის კონკრეტულ-ენობრივი ფორმისგან დამოუკიდებლად. კონცეპტი მისი შემადგენელი ნაწილების გადაკვეთის წერტილი, აზრის ხატია“ (Терминасова, 2008: 503-504).

ცნებითი ხასიათის ცოდნა კონცეპტის შემადგენელი ნაწილია. აღნიშნავენ: „სხვადასხვა ადამიანის ფსიქიკაში ერთსა და იმავე სახელს (სიტყვას), შესაძლოა, სხვადასხვა მენტალური წარმოდგენა შეესაბამებოდეს... მოცემული ენის ერთისა და

იმავე სიტყვის უკან სხვადასხვა ადამიანის ცნობიერებაში შეიძლება სხვადასხვა კონცეპტი იდგეს“ (Степанов, 1996:130).

სხვადასხვა ადამიანის ცნობიერებაში ერთი და იგივე დასახელების კონცეპტების არსებობა არ შეიძლება აიხსნას კონცეპტისა და ცნების გაიგივების გზით, რის გამოც ენათმეცნიერებაში წარმოიშვა კონცეპტისა და ცნების ურთიერთდამოკიდებულების განსხვავებული ინტერპრეტაცია, რომლის თანახმადაც, კონცეპტი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე მისი ალტერნანტი.

ვ. კარასიკი კონცეპტს, როგორც მრავალგანზომილებიან მენტალურ წარმონაქმნს განიხილავს და აღნიშნავს, რომ ის სამ განზომილებას მოიცავს:

❖ **ხატოვანს** (გრძნობის ორგანოების საშუალებით აღქმულსა და ჩვენს მესხიერებაში ასახულს მხედველობით, სმენით, ტაქტილურ, გემოვნებით მახასიათებლებს);

❖ **ცნებითს** („კონცეპტის ენობრივი ფიქსაცია, მისი აღნიშვნა, აღწერა, დეფინიცია, თვისობრივი სტრუქტურა, სხვა კონცეპტებსა და კონცეპტუალურ რიგთან შეპირისპირება“) და

❖ **ღირებულებრივს** (ამ ფსიქიკური წარმონაქმნის მნიშვნელობა ინდივიდისა და კოლექტივისათვის) (Карасик, 2002: 37; 38; 52).

კონცეპტის სტრუქტურის სირთულეზე მიუთითებს ი. სტეპანოვიც: „ერთი მხრივ, მას მიეკუთვნება ყველაფერი, რაც ცნების აგებულებას შეეხება. მეორე მხრივ კი, კონცეპტის სტრუქტურაში შედის ყველაფერი, რაც მას კულტურის ფაქტად აქცევს: საწყისი ფორმა (ეტიმოლოგია), შინაარსის ძირითად ნიშნებამდე შეკუმშული ისტორია, თანამედროვე ასოციაციები, შეფასებები და ა.შ.“ (Степанов, 1996).

ბევრი მეცნიერი აცნობიერებს „ცნებისა“ და „კონცეპტის“ დუბლეტურ ხასიათს და ცდილობს გამიჯნოს ისინი. ასე მაგალითად, ს. ვორკაჩოვი, განაზოგადებს რა კონცეპტთან დაკავშირებულ შეხედულებებს ლინგვისტიკაში, მიდის შემდეგ დასკვნამდე: „კონცეპტარის კოლექტიური ცოდნის/ ცნობიერების ერთეული (რომელიც უმაღლეს სულიერ ფასეულობებთან აგზავნის/ აკავშირებს), რომელსაც ენობრივი გამოხატულება გააჩნია და კულტურული სპეციფიკითაა აღნიშნული“ (Воркачев, 2000:221).

ამ განსაზღვრებაში ზოგადი ხასიათისაა სახეობრივი ნიშანი, იდეალურ

სფეროსთან კავშირი. გვაროვნული განსხვავებები კი (ცოდნის /ცნობიერების ფორმა/ლოგიკური / რაციონალური / ფსიქოლოგიური / ხატოვანი) ნეიტრალიზდება და მათ ადგილს ვერბალიზება და ეთნოკულტურული მარკირებულობაიკავებს.

ლექსემა „კონცეპტის“ ტერმინოლოგიზაციასთან დაკავშირებით სტეპანოვი აღნიშნავს, რომ ის გამოწვეულია „სემანტიკური ერთეულების კავშირით ენობრივ პიროვნებასთან, რაც მათი „ეთნოკულტურული ავტორიზაციის მოთხოვნილებას უკავშირდება“(Степанов, 1996:22). ვ.კოლესოვის აზრით, „ცნება კონცეპტთან მიახლოებაა, ესაა კონცეპტის გამოვლინება მისი ერთ-ერთი შინაარსობრივი ფორმით“ (Колесов, 2004: 11).

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში კონცეპტის თეორიას მრავალი შრომა მიემდგნა, მეცნიერებმა ჯერ ვერ შეიმუშავეს ამ მოვლენისადმი და მისი ანალიზისადმი ერთიანი მიდგომა. ამ ტერმინის დამკვიდრების პროცესი საკმაოდ დაწვრილებით აქვს განხილული ა. რუდაკოვას. ტერმინთან დაკავშირებულ შეხედულებებს შორის გამოყოფთ შემდეგ ინტერპრეტაციებს: „კონცეპტი არსის მრავალგანზომილებიანი მთლიანობაა“, „კონცეპტი არსებობის შინაარსობრივი კვანტია“, „კულტურის გენია“, „მნიშვნელობის თავისებური პოტენციაა“, „კულტურის – ადამიანის ცნობიერებაში ის, რა სახითაც კულტურა შედის ადამიანის მენტალურ სამყაროში – „სააზროვნო ოპერაციის ემბრიონია“(Рудакова, 2014: 23).

ი. სტეპანოვი კონცეპტის გამოყოფის პროცედურას უკავშირებს წინადადებებს, მათ ნომინალიზაციას, ზოგადი და კონკრეტული მნიშვნელობის არსებით სახელებს მათი გამოყენების კონტექსტის გათვალისწინებით. ამგვარ პროცედურას ის „კონცეპტუალურ ანალიზს“, უწოდებს, რომლის მიზანია „უკეთ განსაზღვროს კონცეპტები“(Степанов, 1996:27).

კონცეპტს განიხილავენ, როგორც „ментальное образование полевой структуры с инвариантной, коллективно выработанной и понятиино структурированной, оформленной ядерной частью и индивидуальной ассоциативно-мерцающей периферииной“. მნიშვნელოვანია, რომ ცნებითი ხასიათის ცოდნასთან ერთად მოიცავს ხატოვან და ღირებულებრივ შემადგენელ ნაწილებს.

დღესდღეობით არსებობს რამდენიმე კონცეპტუალური მიმართულება:

- ◆ **ფსიქოლოგიური** — კონცეპტი წარმოიშობა სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობისა და პირადული და ხალხური გამოცდილების შეჯერების შედეგად;
- ◆ **ლოგიკური** — კონცეპტის შინაარსი მეცნიერული და „გულუბრყვილო“ ცოდნის დაპირისპირებისას ვლინდება;
- ◆ **ფილოსოფიური** — კონცეპტი ენაში ასახული ეროვნული მენტალობის ძირითადიერებულია;
- ◆ **ლინგვოკულტუროლოგიური** — კონცეპტიადამიანის მენტალურ სამყაროში კულტურის ძირითადიერებულია, რომელსაც რთული სტრუქტურა აქვს, ხოლო ძირითადი კონცეპტები კულტურის კონსტანტებს წარმოადგენენ. ვ. მასლოვა და ბ. ვორობიოვი გვთავაზობენ ტერმინს „ლინგვოკულტურემა“ დამიიჩნევენ, რომ „ენა არათუ დაკავშირებულია კულტურასთან, არამედ ამოზრდილია მისგან და მისი გამომხატველია“. აღნიშნული მიდგომა ენის ყველა პლასტის (დიალექტების, არგოს, ფრაზეოლოგიზმების, პარემიების და სხვ.) შესწავლას გულისხმობს (Маслова, 2004: 17-21; филол. словарь, 2001: 76-78).
- ◆ **ინტეგრაციული მიმართულება** — კონცეპტს განიხილავს, როგორც კოლექტიურ ცნობიერებაში ასახულ მრავალგანზომილებიან კულტურულად ღირებულ სოციო-ფსიქოლოგიურ წარმონაქმნს, რომელიც ენაში პოულობსასახვას;
- ◆ **ლინგვოანტროპოლოგიური მიმართულება** — კვლევის საფუძვლად მიიჩნევენ ადამიანს, მისი სხვადასხვა ჰიპოსტასიდან გამომდინარე;
- ◆ **კოგნიტური** — ძირითად მიზნად ისახავს, „ენის დაუფლების მეშვეობით შეაღწიოს ცოდნის სხვადასხვა სტრუქტურის ფორმებში და აღწეროს ენასა და მათ შორის არსებული კავშირები“ (Курякова, 1999: 121).

აღსანიშნავია, რომ ყველა აღნიშნული მიდგომა ერთ წერტილში იკვეთება — ადამიანის მენტალობასა და კულტურაში (რომლებიც განუყოფელია) და, საბოლოოდ, ინტეგრაციულ მიდგომამდე დაიყვანება, რომელიც ითვალისწინებს კონცეპტის ყველაზე მნიშვნელოვან მახასიათებლებს.

## 2.2. კონცეპტის ლოკალიზაციის საკითხი

მნიშვნელოვანი პრობლემაა კონცეპტის ლოკალიზაციის საკითხი. მკვლევართა

ნაწილი კონცეპტს კონცეპტოსფეროს ნაწილადგანიხილავს, სხვები— სამყაროს კონცეპტუალური სურათის, ზოგი —სამყაროს ენობრივი სურათის, ზოგი — მენტალობის, დანარჩენები კი (ვ. კარასიკი) —ენობრივი ცნობიერების შემადგენელად. ჩვენ კონცეპტს განვიხილავთ, როგორც სამყაროს კონცეპტუალური სურათის (კონცეპტოსფეროს) ნაწილს. უფრო ზუსტი იქნება ითქვას, რომ მის ვერბალიზებულ ნაწილს, რომელიც წარმოდგენილია სამყაროს ენობრივ სურათში (ენის სემანტიკურ სივრცეში) (Стернин, 2001: 37-38).

ჩვენთვის კონცეპტის სამუშაო განსაზღვრება ასეთია: კონცეპტი ველის პრინციპით ორგანიზებული კოგნიტური წარმონაქმნია, რომელიც მასთან დაკავშირებულ ცნებებს, ცოდნას, წარმოდგენებს, ასოციაციებს, განცდებს აერთიანებს როგორც კოლექტიურ ცნობიერებით გამომუშავებულ ცნებით კატეგორიების საფუძველზე სტრუქტურირებულ ბირთვს, ასევე, ინდივიდუალურასოციაციებთან დაკავშირებულ პერიფერიას.

კონცეპტი მოიცავს ვერბალიზებულ და არავერბალიზებულ ნაწილებს. ვერბალიზებული ნაწილი შეიძლება სხვადასხვა ემპირიული წყაროს ანალიზის (განმარტებითი, ეტიმოლოგიური, ფრაზეოლოგიური, ენციკლოპედიური, ასოციაციური, პარემიოლოგიური ლექსიკონები და ექსპერიმენტების შედეგად მიღებული მონაცემები) პროცესში აღვწეროთ. ამასთანავე, მნიშვნელოვანია კონკრეტული პიროვნების მიერ შექმნილი ტექსტები, რომლებიც კონცეპტის ინდივიდუალური ვარიანტების შესახებ გვაძლევს წარმოდგენას, რომელიც ენობრივ ფაქტს არ წარმოადგენს და მეტყველების სფეროთი შემოიფარგლება.

აზროვნების პროცესში რეალური სინამდვილე ადამიანის ტვინში აირეკლება, როგორც დაგროვილი ცოდნა ამ სინამდვილის შესახებ, რომლის რეპრეზენტაციაც ხდება ენის მატერიალურ ფორმებში. ენა უზრუნველყოფს ადამიანის ისეთი აზრების ფორმებით ოპერირების დონეებს, რომელთა ექსპლუატაცია ვერბალური ფორმების სემანტიკაში ხორციელდება. ამგვარად, აზროვნება არამარტო აზრის ფორმებშიარსებობს, არამედ მისი რეალიზება ხდება კონკრეტულ ვერბალურ ფორმებში.

ი. სტეპანოვის მსგავსად, „სიკვდილისა“ და „სიცოცხლის“ კონცეპტებს განვიხილავთ, როგორც ადამიანის მენტალურ სამყაროში ასახულ ეთნოკულტ-

ურული სამყაროს ფრაგმენტებს. ინტერპრეტაციულ რეჟიმში ვერბალური მნიშვნელობების სისტემა შეეფარდება ენის მატარებლის სოციო და ეთნოკულტურულ კომპეტენციას, რომლის კონცეპტუალური შიგთავსი წარმოადგენს ერის მენტალიტეტის ერთ-ერთ განმსაზღვრელ თვისებას.

სინამდვილის ფრაგმენტის ინტერპრეტაცია კონცეპტუალურ სისტემაში არის, უპირველეს ყოვლისა, გარკვეული სამყაროს ან „სამყაროს სურათის“ შესახებ ინფორმაციის კონსტრუირება. როგორც აღვნიშნეთ, საბაზო კონცეპტების შინაარსი ბევრად უფრო მოცულობითია, ვიდრე ერთგვაროვანი ენობრივი არსების შინაარსი, ვინაიდან მათი გაცნობიერების არეალი ვრცელდება მთელ იდეოგრაფიულ სფეროზე, რომელიც მოიცავს კატეგორიის სხვადასხვა გამოსახულებას. იდეოგრაფიულად ორგანიზებული ენობრივი გამონათქვამების კონცეპტუალურ სისტემასთან უდავო კავშირის არსებობა საშუალებას გვაძლევს ვერბალური, იდეოგრაფიული ორგანიზაცია რეპრეზენტაციის კონცეპტუალური მოდელის სახით განვიხილოთ, რომელიც წარმოადგენს ყველა სახის ცოდნას სამყაროს შესახებ, ღირებულებათა მთელ სისტემას, გამოცდილებას, რომელიც დაგროვილია მოცემული სოციუმის მიერ. კონცეპტუალური მოდელი არ არის ჩაკეტილი სისტემა და „ღია“ მომავალი შესაძლებლობებისთვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითოეულ კონცეპტს გააჩნია მნიშვნელობით დეტერმინირებული საკუთარი სემანტიკური ფორმა, რომელიც ხასიათდება ეთნოკულტურული განპირობებულობით, ვინაიდან მასში ასახულია ყველა: კონოტაციური, მოდალური, ემოციური, ექსპრესიული, პრაგმატული და სხვა შეფასება.

„კულტურის კონცეპტები“, ან სხვა ტერმინოსისტემაში, „კულტურის საკვანძო კონცეპტები“, წარმოადგენს სამყაროს სურათის ბირთვულ ერთეულებს, რომლებსაც გააჩნია ეგზისტენციალური მნიშვნელობა, როგორც ცალკეული ენობრივი პიროვნებისთვის, ასევე, მთელი ლინგვოკულტურული ერთობისთვის ზოგადად. ლიხაჩოვის თქმით, კონცეპტები ადამიანის გონებაში ჩნდებიან არა მარტო როგორც შესაძლო მნიშვნელობებზე მინიშნებები, არამედ როგორც ადამიანის საპასუხო რეაქცია წინა ენობრივ გამოცდილებაზე, ზოგადად, პოეტურ, პროზაულ, მეცნიერულ, სოციალურ, ისტორიულ და ა.შ.

თანამედროვე კონცეპტოლოგიაში ფართო გამოყენება ჰპოვა კონცეპტის

ინტეგრაციულმა ანალიზმა, რომლის თანახმადაც, კონცეპტი განისაზღვრება როგორც კულტურით განპირობებული რთული სტრუქტურულ-სემანტიკური, უპირატესად, ლექსიკური საშუალებებით ვერბალიზებული წარმონაქმნი, რომელიც ცნებით კატეგორიას ეფუძნება, მოიცავს ხატოვან სახესა და შეფასებას და რეფლექსიისა და კომუნიკაციის პროცესში ადამიანის სუბიექტურ დამოკიდებულებაში ვლინდება. კონცეპტის სპეციფიკურ სახეს მხატვრული კონცეპტი წარმოადგენს, რომლის ძირითადი მახასიათებლებიაესთეტიურობა, ასოციაციურობა, დიალოგურობა, ინდივიდუალური ინტერპრეტაციების შესაძლებლობა, მხატვრული სახეების ფართო პალიტრა.

### 2.3. კონცეპტთა ტიპოლოგიის პრობლემა

მნიშვნელოვნად მიგვაჩნია კონცეპტთა ტიპოლოგიის პრობლემა, რომელიც იმ რელევანტურ თვისებასეყრდნობა, რომელსაც კლასიფიკაცია ეფუძნება. არსებობის სფეროდან გამომდინარე, კონცეპტები იყოფა საერთოეროვნულ, ჯგუფურ და ინდივიდუალურ კონცეპტებად. აღნიშნულ კლასიფიკაციას ტიპოლოგიურად უკავშირდება კონცეპტების დაყოფა ნიციონალურადმარკირებულ და —უნივერსალურად. კონკრეტული კონცეპტის ნაციონალური მარკირებულობის ხარისხის შეფასება ხორციელდება სიტყვით, სხვა ენის საშუალებებით გამოხატული საბაზო კულტურული კონცეპტის ინტერპრეტაციისას. სიტყვა-ეკვივალენტის არსებობა სხვა ენებში საშუალებას გვაძლევს, ვისაუბროთ კონცეპტის უნივერსალობაზე, ხოლო ამგვარი კორელაციის უქონლობა მეტყველებს მის უნიკალობასა და კონკრეტულ კულტურასთან კავშირზე. თუკი შესაძლებელია, კონცეპტი აღწერითი გზით წარმოვადგინოთ, მაშინ ის ორივე ჯგუფის თვისებებს მოიცავს.

ა. ბაბუშკინი თავის კლასიფიკაციას კონცეპტში მოცემულ ინფორმაციის ტიპზე დაყრდნობით აგებს (Бабушкин, 1996:92). ის გამოყოფს აზრობრივ სურათებს: ჰიპერონიმებს, ფრეიმებს, ინსაიტებს, სცენარებს, სკრიპტებს, კალიდოსკოპურ კონცეპტებს.

აზროვნების სხვადასხვა ტიპზე დაყრდნობითა და ცნობიერებაში მისი პრეზენტაციის ფორმიდან გამომდინარე, ა. ბაბუშკინი გამოყოფს სამ ძირითად ტიპს:



- ◆ წარმოდგენები (საგანთა და მოვლენათა განზოგადებული გრძნობად– ემპირიული სახეები);

- ◆ გეშტალტები (კომპლექსური, ერთიანი ფუნქციონალური სტრუქტურები), რომლებიც აწესრიგებს ცნობიერებაში არსებულ ცალკეულ მოვლენათა მრავალფეროვნებას;

- ◆ ცნებები, რომლებიც წარმოადგენს საგნების ძირითადი, განმსაზღვრელი ნიშნების ასახვის შედეგს.

ასკოლდოვ-ალექსეევი გვთავაზობს შემეცნებითი და მხატვრული კონცეპტების გამიჯვნას: „შემეცნებითი კონცეპტებისაგან მხატვრული კონცეპტების ყველაზე არსებითი განმასხვავებელი ნიშანი, მაინც, მისი შესაძლებლობების გაურკვევლობაა. შემეცნებით კონცეპტებში ეს შესაძლებლობები რეალური სინამდვილის შესაბამის მოთხოვნებს ან ლოგიკის კანონებს ექვემდებარება. მხატვრული კონცეპტის ელემენტების კავშირი კი ლოგიკისთვის და რეალური პრაგმატიკისთვის სრულიად უცხო მხატვრულ ასოციაციურობას ემყარება“ (Аскольдов, 1997: 266).

პოეტური ტექსტის გაგების გასაღებსწორედ მხატვრული კონცეპტები წარმოადგენს. მხატვრულ ტექსტში კონცეპტი იქმნება ინდივიდუალური ინტერპრეტაციების გავლენის შედეგად კონვენციონალური მნიშვნელობის შეცვლით. მას დიალოგური ხასიათი აქვს.

კონცეპტში არსებული სემანტიკური შრეებისა და მათი ურთიერთმიმართებების მიხედვით, პოპოვა და სტერნიჩი (Попова, Стернин, 2001:32) განარჩევენ ერთდონიან, მრავალდონიან და სეგმენტურ კონცეპტებს:

- ◆ ერთდონიანი კონცეპტები მხოლოდ გრძნობით ბირთვს, ანუ მხოლოდ ერთ საბაზო შრეს შეიცავს;

- ◆ მრავალშრიანი კონცეპტი რამდენიმე კოგნიტურ შრეს მოიცავს, რომლებიც ერთმანეთისგან აბსტრაქციის სხვადასხვა ხარისხით განსხვავდება და საბაზო შრეზე არის განლაგებული;

- ◆ სეგმენტური კონცეპტი წარმოადგენს საბაზო გრძნობით შრეს, რომელიც აბსტრაქციის ხარისხის თვალსაზრისით თანაბარი რამდენიმე სეგმენტითაგარემოცულია.

ენობრივი ობიექტივაციის თვალსაზრისით, კონცეპტები იყოფა ვერბალურ

(მათთვის არსებობს გამოხატვის რეგულარული ენობრივი საშუალებები) და არავერბალური/ფარული (რომლებიც არ არის ვერბალიზებული ან რაიმე კონკრეტულ ამოცანასთან დაკავშირებითაა ვერბალიზებული).

ადამიანის ცნობიერებაში სამყაროს მოდელირება კონცეპტების საშუალებით (კოლექტიური ცნობიერების დისკრეტული სემანტიკური ერთეულები, რომელთა საშუალებით აისახება და ვერბალური სახით ინახება რეალური და ირეალური სამყაროს მოვლენები ეროვნული ენის მატარებელთა კოლექტიურ ცნობიერებაში) ხორციელდება. სამყაროს ენობრივი სურათიეპოქისთვის დამახასიათებელ აზროვნების წესს, კაცობრიობის მიერ შემუშავებულ და ენისა და კულტურის ნაციონალურ იდიოსფერებში არსებულ სულიერ ღირებულებებსა და ზოგად ღირებულებრივ იერარქიას წარმოადგენს, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების დეკლარირებული მიზნებისა და სასიცოცხლო ამოცანების განხორციელებას შეესაბამება.

#### **2.4. კონცეპტის სტრუქტურის აღწერის საკითხისათვის**

კონცეპტის სტრუქტურის ამომწურავი აღწერა შეუძლებელია, ვინაიდან მისი შინაარსობრივი, სახეობრივი ნაწილი რაციონალურზე ფართოა და ღია სტრუქტურას წარმოადგენს, რომელიც ყოველთვის შეიძლება ახალი სახეებით გამდიდრდეს. გარკვევით შეიძლება ითქვას, რომ სახელის ლექსიკოგრაფიულად ფიქსირებული შინაარსობრივი სივრცე ნაკლებად არის შემოფარგლული, ვიდრე მის უკან მდგარი კონცეპტუალური სივრცე. ამასთანავე, სახელის სემანტიკური სტრუქტურის ელემენტები კონცეპტის სემანტიკურ სტრუქტურაში შედის.

კონცეპტის ნიშნების კონფიგურაცია არ არის მკაცრად განსაზღვრული, უფროინდივიდუალურია. ის დამოკიდებულია ადამიანის ცნობიერებაში კონცეპტის ფორმირების პირობებზე. კონცეპტის შინაარსი თანდათანობით ახალი კონცეპტუალური მახასიათებლების ხარჯზე ივსება, რომლებიც სამყაროს შესახებ ახალ ინფორმაციას ასახავენ. კონცეპტის ორკომპონენტიანი მოდელები მის სტრუქტურაში ინვარიანტულსა და ვარიანტულ ნაწილებს გამოყოფენ. კონცეპტის ინვარიანტი ამ

კულტურაში ჩამოყალიბებულ და ტრადიციებზე გაზრდილი ენის ყველა მატარებლისთვის საერთო შინაარსს წარმოადგენს. ვარიანტული ნაწილი კი ინდივიდის პერსონალური გამოცდილების შედეგია და, შესაბამისად, ინდივიდუალური.

კონცეპტის ინტერპრეტაციისას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი პოპულარობა მოიპოვა კონცეპტის სამკომპონენტო მოდელმა. ვ. კარასიკი და ს. ვორკაჩევი მიუთითებენ კონცეპტის სტრუქტურაში ცნებითი, ხატოვანი და ღირებულებრივი კომპონენტების გამოყოფის აუცილებლობაზე (Карасик, 2002:52; Воркачев, 2001: 230).

კონცეპტის ცნებითი კომპონენტი, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს ინფორმაციას საგნის განმსაზღვრელი თვისებების, კონცეპტის ენობრივი ფიქსაციის, მისი აღნიშვნის, აღწერისა და დეფინიციის შესახებ. ის მოიცავს შემდეგი სახის საინფორმაციო კომპლექსებს:

- ✓ ყოველდღიურ ცოდნას, რომელიც განსხეულებულია ენობრივ დეფინიციებში (დენოტატი), ენობრივ ცნობიერებაში ასახულ წარმოდგენებს რეფერენტთა კლასის შესახებ გამოხატავს და სამყაროს ნაციონალურ ხატს შეესაბამება;
- ✓ სამეცნიერო ცოდნისა და ზოგადი ერუდიციის ელემენტებს;
- ✓ სტერეოტიპულ და პროტოტიპულ სტრუქტურებს.

ეს უკანასკნელი განიმარტება, როგორც იდეალიზებული ეტალონური ნიმუში, როგორც ტიპური წარმოდგენა სამყაროს ობიექტზე სახელად „სინამდვილე“, რომელშიც გამოიყოფა ამ წარმოდგენის ძირითადი ნიშნები და ჩვეულებრივი დეტალები.

კონცეპტის ხატოვანი კომპონენტი ახდენს ენობრივ ცნობიერებაში კოგნიტური მეტაფორების განსხეულებას, რაც აბსტრაქტული შინაარსის წვდომას უწყობს ხელს. აბსტრაქტული ცნებების უკან ინდივიდუალური სახეები დგას, რომლებიც საშუალებას იძლევა, „რთული საგნები (მოვლენები) ფიზიკურად აღქმად, კონკრეტულ რეალებთან დაახლოების, გათანაბრების საშუალებით გააცნობიეროს (აღიქვას)“ (Болдырев, 2001: 102).

კონცეპტის ღირებულებრივი კომპონენტი მიმართულია ადამიანის სულიერი ცხოვრებისკენ. ის განაპირობებს კონცეპტის შინაგან აღქმას, მის ემოციურ-შეფასებით მუხტს, რაც საშუალებას იძლევა, გამოიყოს შინაარსობრივი პრიორიტეტები და ღირებულებრივი დომინანტები, რომლებიც ენის მეშვეობით დაცული კულტურის

ტიპს ქმნის. ღირებულებრივი დამოკიდებულების გამომხატველია შეფასებითი პრედიკატები „კარგი“, „ცუდი“, „საინტერესო“, „დამღლელი“ და ა.შ.

კონცეპტის ბირთვს შეადგენს გარკვეულ ინდივიდუალურ გამოცდილებაზე დაფუძნებული მგრძნობელობითი ხატი, რომლის გარშემო თავს იყრის ნაკლებად აბსტრაქტულიდან მეტად აბსტრაქტულისაკენ მიმართული საბაზო ფენები.

პერიფერიაზე გვაქვს კონცეპტის საინტერპრეტაციო ველი, რომელიც მისი სხვადასხვა ნიშნისა და ენის მატარებელთა სხვადასხვა კატეგორიის წარმომადგენელთა შეფასებებს შეიცავს. ამა თუ იმ კონცეპტუალური მნიშვნელობის პერიფერიული პოზიცია მიუთითებს არა კონცეპტუალური ნიშნის მნიშვნელობაზე კონცეპტის გააზრების პროცესში, არამედ ბირთვიდან მისი დაშორების ხარისხზე კონკრეტულობისა და წარმოსახვითი ხატის ხელშესახებობის თვალსაზრისით.

კონცეპტის სტრუქტურაში სამი შემადგენელი ელემენტის არსებობა განაპირობებს კონცეპტისა და ენის კავშირს, რომელიც მის ობიექტივიზაციას ახდენს, განაპირობებს კულტურის, როგორც ეროვნულ ღირებულებათა სისტემისა და ადამიანის ცნობიერების გააზრების სპეციფიკას.

კონცეპტი, როგორც მენტალური წარმონაქმნი, პრაქტიკულად არასდროს ბოლომდე არ ვერბალიზდება ენაში, ამიტომ მისი ობიექტივიზაციისას ყურადღება მხოლოდ მის ცალკეულ დეტალებზეა გადატანილი. კონცეპტის თეორიულ პრობლემებზე მომუშავე ლინგვისტთა უმეტესობა იზიარებს მოსაზრებას, რომ მისი ენობრივი ექსპლიკაციის მთავარ საშუალებას სიტყვა წარმოადგენს, რომელიც მის ვერბალიზაციას ახორციელებს. გარკვეული კონცეპტის გამომხატველი სიტყვა, რომელიც ყველაზე სრულად და ადეკვატურად გამოხატავს კონცეპტის შინაარსს, ენობრივი კონცეპტის სტატუსს იძენს. უნდა ითქვას, რომ სიტყვა კონცეპტის ენობრივი ფიქსაციის ერთადერთი საშუალება არ არის. ენაში, რეპრეზენტაციის თავისებურებიდან გამომდინარე, **კონცეპტები იყოფა ლექსიკურ (ერთი ლექსემით გამოხატულ), ფრაზეოლოგიურ (ლექსემათა შეხამებით გამოხატულ) და ნებისმიერი სიგრძის ტექსტებით გამოხატულ ტიპებად.**

კონცეპტის, როგორც სამყაროს ინდივიდუალურ-ავტორისეული სურათის, ინტერპრეტაციას, მხატვრული ტექსტის სპეციფიკის დადგენაში, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. მხატვრული კონცეპტები, ისევე, როგორც ეროვნული ენის

კონცეპტები, ენობრივი ნიშნებით ვერბალიზდება, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ მზა ლექსემებს, ფრაზეოლოგიზმებს, თავისუფალ შესიტყვებებს კი არ იყენებს, არამედ მისი რეპრეზენტაციისთვის ხშირად მთელი ტექსტებიც კი გამოიყენება.

ადამიანი, როგორც ენის მატარებელი პიროვნება, წარმოადგენს არა განზოგადებულ ცნებას, არამედ იგი არის გარკვეული კულტურის მატარებელი, განსაზღვრული სოციუმის წარმომადგენელი, რაც განაპირობებს მის ეთნოლინგვო-სოციალურ სტატუსს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სხვა კულტურის გაგების გზა გადის ანტროპოცენტრული პარადიგმის სფეროზე. კონფლიქტური სიტუაციები, რომელთა უმეტესობა ჩნდება ინოფონებთან ურთიერთობაში, დაკავშირებულია კომუნიკანტთა ნაციონალურ-კულტურული თავისებურებების იგნორირების ფაქტორთან. საინტერესოა, რომ ცოტახნის წინ გაჩენილი მიმართულება „ლინგვო-კონფლიქტოლოგია“ მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს შესაძლო კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობა და შეიმუშაოს მათი თავიდან აცილებისთვის საჭირო პრაქტიკული რეკომენდაციები. ამის პირველი და აუცილებელი პირობაა ამა თუ იმ ხალხის მენტალიტეტის ცოდნა. ენობრივი ცნობიერება, რომელიც, განსაზღვრული კონცეპტების სახით, კულტურის ძირითად ცნებებსაფიქსირებს, სამყაროს ერთიანი, სრული სურათის ფორმით წარმოადგენს. საჭიროა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად „სამყაროს მატერიალური საფუძვლების ერთიანობისა“, ამ უკანასკნელის აღქმა სხვადასხვა კულტურის მიერ სხვადასხვანაირად ხდება, რაც რეალობის ენობრივ ფორმებში მანიფესტაციის სპეციფიკაშიც გამოიხატება.

ა. გურვეჩის მიხედვით, კულტურის კონცეპტები შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად: „კოსმიურ“, ანუ ფილოსოფიურ კატეგორიებად, რომლებსაც იგი უწოდებს „კულტურის უნივერსალურ კატეგორიებს“ (ისეთი, როგორცაა დრო, სივრცე, მოძრაობა) და სოციალურ კატეგორიებად, ე.წ. „კულტურის კატეგორიებად“ (როგორცაა თავისუფლება, სამართალი, სამართლიანობა, შრომა, სიმდიდრე, საკუთრება). მითითებული კლასიფიკაციის განხილვისას ვ. ა. მასლოვა გვთავაზობს კიდევ ერთი ჯგუფის – „ნაციონალური კულტურის კატეგორიის“ – დამატებას (ზოგიერთი კულტურისთვის ეს არის თავისუფლება, ხვედრი, ინტელიგენტურობა, ეკლესიურობა და ა.შ.) (Маслова, 2004:16).

კონცეპტების სიღრმისეული ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ კულტურულ-სპეციფიკური კონცეპტები ნებისმიერ ენაში ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ერთი შეხედვით გვეჩვენება. მაგალითის სახით ვ. ა. მასლოვას მოჰყავს კონცეპტი «картошка» – „კარტოფილი“. რუსებისთვის «сидеть на одной ~ картошке» – „მხოლოდ კარტოფილზე ყოფნა“ – წარმოადგენს მწირი საკვების ეტალონს, ბელორუსებისთვის კი ეს არის ჩვეული ნაციონალური საკვები, რომელიც მათთვის მეორე პურია და ზოგჯერ პირველზე მნიშვნელოვანიც (Маслова, 2004:18).

### **§3. კონცეპტები „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“, როგორც ენობრივი ცნობიერების სპეციფიკური სახე**

ვვარაუდობთ, რომ მენტალიტეტის გაგება შესაძლებელია შესაბამისი ენობრივი ცნობიერების ბაზაზე. ამასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს კონცეპტები „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“, რომლებიც გვაძლევენ საშუალებას, გავარკვიოთ ენობრივი ცნობიერების სპეციფიკა.

„სიკვდილისა“ და „სიცოცხლის“ კონცეპტების გამოყენება მხატვრულ ნაწარმოებებში მნიშვნელოვნადაა განპირობებული მწერლის/პოეტის შემოქმედების თავისებურებებით, მისი ცხოვრებისეული გამოცდილებითა და სხვა ფაქტორებით.

სიტყვა „სიცოცხლის“ ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად, მაგალითად, რუსულ ენაში იკვეთება საწყისი მნიშვნელობა: „жить/тип жизни“, „живот“, часть тела“, „имущество“, „существование“, „бытие“, „состояние“, „время/период (от рождения до смерти)“, „действительность“, „деятельность“, „движение“. ეს უკანასკნელი სქემა საფუძვლად დაედო საბაზო მეტაფორას „жизнь – движение“ და განვითარდა „жизнь – путь“, რაც საკმაოდ პოპულარული გახდა პოეტურ დისკურსში. ასევე პოპულარული გახდა სიკვდილისა და ნგრევის კორელაციური წყვილი (Степанов, 2001).

მნიშვნელობები – ბიოგრაფია, საზოგადოებრივი ცხოვრება, არსებობის წესი, ენერგია, ყველაზე ძვირფასი, ცოცხალი არსება/ადამიანი ნაწარმოებია პირველადი მნიშვნელობიდან. კონცეპტების „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“, სემანტიკური სტრუქტურების შეპირისპირებითი ანალიზი გვაჩვენებს, რომ კონცეპტს „სიცოცხლე“

გაცილებით უფრო მდიდარი სემანტიკური სტრუქტურა აქვს, ვიდრე — კონცეპტს „სიკვდილი“.

სიტყვაში განსხვავებულია ხალხის ყველა წარმოდგენა მასში ასახული სამყაროს ფრაგმენტის შესახებ. მაგ. კონცეპტები „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ ენაში წარმოდგენილია სახელის ლექსიკური მნიშვნელობების კომპლექსით, მეორე მხრივ, პარემიოლოგიურ-ფრაზეოლოგიური შემადგენლითა და კულტურაში დაფიქსირებული და პოტენციური სამეტყველო ნაწარმოებებით.

კონცეპტის სტრუქტურაზე გავლენას ახდენს შეფასებები, პრეზუმპციები, მოვლენასთან დაკავშირებული მოლაპარაკეთა ცნობიერების სტერეოტიპები, რომლებიც ენობრივ ცნობიერებაში ამ სახელზე პროეცირდება და მის სინტაქტიკაში, ნიშნის კომბინატორიკაში ვლინდება (კრიტიკა). სიტყვის მნიშვნელობის პრაგმატული მხარე ასახავს ცნობიერების მიერ სახელის მიღმა მყოფი მოვლენის კულტურულ ღირებულებას ლექსიკური მნიშვნელობის შეფასებით; ექსპრესიული კომპონენტები განსაზღვრავენ „სიკვდილისა“ და „სიცოცხლის“ ნიშნობრივ პრაგმატიკას.

ცნებები, „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“, რეალური სამყაროს ფენომენები, თავისი დენოტატიური სტატუსით, ანუ მათ მიერ აღნიშნული სინამდვილის ხასიათის მიხედვით, აბსტრაქტულ სუბსტანტიებს წარმოადგენს და ანტონიმურ მიმართებაში იმყოფება. უნდა აღინიშნოს, რომ ანტონიმთა სემანტიკური სიმეტრია სრულიად არ ნიშნავს მათ პრაგმატიკულ თანაბარზომიერებას. თუ კონცეპტებს „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ კოგნიტურ პლანში განვიხილავთ, უნდა გავაცნობიეროთ, რომ მათ უკან მდგომი მოვლენები სრულიად განსხვავებულ მიმართებაშია ინდივიდუალურ გამოცდილებასთან. ეს განსხვავება კარგად დაინახა და ჩამოაყალიბა მ. მონტენმა: „რაც შეეხება სიკვდილს, მისი შეგრძნება ჩვენ არ შეგვიძლია. ჩვენ მას მხოლოდ გონებით ვწვდებით, რადგან სიცოცხლისგან მას მხოლოდ წამი აშორებს“. ნათქვამი კარგად დასტურდება კონცეპტების „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ კომბინატორიკით: „ფიქრი სიკვდილ-სიცოცხლეზე, მაგრამ სიცოცხლეზე — საკუთარზე, სხვისაზე და ზოგადად, სიკვდილზე კი — მხოლოდ სხვისაზე და ზოგადად; აღწერა (დაკვირვებაც კი) სიკვდილ-სიცოცხლისა, მაგრამ სიცოცხლისა — საკუთარის, სხვისი ანდა ზოგადად, სიკვდილისა კი — მხოლოდ სხვისა; გახსენება სიცოცხლისა — საკუთარის ან სხვისა, სიკვდილისა კი — მხოლოდ სხვისა“ (Филос. словарь, 2001).

ავტორს მოჰყავს აღნიშნული ცნებების განმარტება სხვადასხვა ლექსიკოგრაფიული წყაროდან. ოჟეგოვისა და შვედოვასლექსიკონი: „სიცოცხლე“: 1. ორგანიზმში მიმდინარე მოვლენების ერთობლიობა, მატერიის არსებობის განსაკუთრებული ფორმა. 2. ადამიანის, ცხოველის, ყველა ცოცხალის ფიზიოლოგიური არსებობა. 3. ამგვარი არსებობის დრო, მისი წარმოშობიდან ბოლომდე, ან მის რომელიმე პერიოდში. 4. საზოგადოების ან ადამიანის მოქმედება ამა თუ იმ გამოვლინებაში. 5. რეალური სინამდვილე. 6. გამოცოცხლება, აქტივობის, ენერჯის გამოვლინება“.

„სიკვდილი“: 1. ორგანიზმის ცხოველმოქმედების შეწყვეტა. 2. დასასრული, რაიმე სახის მოქმედების სრული შეწყვეტა. 3. ძალიან, წარმოუდგენლად ძალიან ბევრი საშინელება“.

ავტორი ადარებს აღნიშნულ მასალას გერმანული განმარტებითი ლექსიკონების მასალას და ასკვნის:

თუ განვაზოგადებთ ორივე ენის განმარტებითი ლექსიკონების ბაზაზე მოპოვებულ მასალის შეპირისპირების შედეგებს, სიტყვა „სიცოცხლეში“ ჩადებული ინვარიანტული მნიშვნელობაა „ზოგადად არსებობა“, „როგორც არსებობა მოძრაობასა და განვითარებაში“, ასევე, „როგორც მატერიის არსებობის განსაკუთრებული ფორმა“. ამგვარი ფორმულირება შეესაბამება პოზიციას, რომლის მიხედვითაც სიტყვა „მატერიალ“ იმპლიციტურად შეიცავს სემებს „საყოველთაო“ და „მოძრაობა“. ავტორი ეყრდნობა სუბსტანტივ „ცხოვრების“ განმარტებას და გამოყოფს შემდეგ ძირითად სემებს: „ფორმა“, „მოძრაობა“, რომელთაგანაც მჭიდროდაა დაკავშირებული „დრო“, „ცნობიერებისგან დამოუკიდებლობა“, სულიერება, რომელიც იმპლიციტურად უპირისპირდება ფიზიოლოგიურ მდგომარეობას, „ადამიანი“ (პრაქტიკულად, ყველა მნიშვნელობა, რომელიც ნაწარმოებია სიტყვა „ცხოვრებისგან“, მისი საქმიანობით განისაზღვრება, თუმცა სიცოცხლის ფილოსოფიური განმარტება ყოველივე ცოცხალს მოიცავს. ასევე, ანტროპოცენტრისტულია სიცოცხლის ხარისხისა და სიცოცხლის, როგორც მოცემულობის, დაპირისპირება); თურქული ენის დიდ ლექსიკონში:

„სიცოცხლე“– „hayat“: 1.Canlı, sağ olma durumu(=ცოცხალად, ჯანმრთელად ყოფნის მდგომარეობა). 2. Yaşam(=ცხოვრება). 3. Hayat biçimi, içinde yaşanılan şartların bütünü, yaşantı(=ცხოვრების სტილი, წესი, ცხოვრების ყველა საარსებო პირობა, განვლილი



ცხოვრება). 4. Meslek(=პროფესია, ერა, ეპოქა,საქმე, სიცოცხლე).5.Geçimşartlarının bütünü(=ყველა საარსებო პირობა). 6. Canlılığı gösteren hareket, kaynaşma(=სიცოცხლის გამომხატველი ქმედება, დუდილი).7. Din. Yazgı(=რელიგია, რწმენა.ბედისწერა, შორსჭვრეტა, წინასწარ განსაზღვრა, ბედი, უფლის ნება). 8.Yaşamayı sağlayanşartların bütünü(=სიცოცხლის უზრუნველსაყოფად ყველანაირი პირობა ერთად).9. Bir kimsenin tarihsel biyografisi, hayat öyküsü, hayat hikayesi(=ვინმეს ისტორიული ბიოგრაფია, ცხოვრებისეული ამბავი /ისტორია, ცხოვრების აღწერა).

**„სიკვდილი“-„ölüm“:** 1.Bir insan, bir hayvan veya bitkide hayatın tam ve kesin olarak sona ermesi, ahiret yolculuğu, ebedi uyku, emrihak, irtihal, memat, mevt, vefat(=ადამიანის, ცხოველის ან მცენარის სიცოცხლის (არსებობის) შეწყვეტა; საიქიოში გამგზავრება, მარადიული ძილი; სიკვდილი,წინაპრებთან წარდგომა; სიკვდილი ანუ სხვა სამყაროში გადაბარგება; სიცოცხლის საპირისპირო მდგომარეობა – სიკვდილი, სულის სხეულიდან გაცლა, გარდაცვალება).2. ölme biçimi(=სიკვდილის ფორმა, სახე, ვითარება).3.İdam cezası(=სიკვდილით დასჯა).4. ölmesi istenen canlı için kullanılan bir söz(=სიტყვა, რომელსაც იყენებენ სულიერის მიმართ, ვისი სიკვდილიც სწადიათ//სასიკვდილე, მოსასპობი).5. Sona erme, yok olma, ortadan kalkma(ამოწურვა, დამთავრება, დასრულება, განადგურება, გაქრობა).(Türk Dil Kurumu, Türkçe Sözlük, 11.baskı, Ankara 2011-1068;1847).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში:

**„სიცოცხლე“:** 1. მატერიის არსებობისა და მოძრაობის ფორმა. 2. ცოცხალი არსების, ორგანიზმის მდგომარეობა დაბადებიდან სიკვდილამდე, ფიზიოლოგიური არსებობა, ცოცხლად ყოფნა, — ცხოვრება. 3. გადატ. ძვირფასი, საყვარელი არსება, სიხარულისა და ბედნიერების მომნიჭებელი. 4. ხალისი, სიმხნევე, ეშხი.

**„სიკვდილი“:** სიცოცხლის შეწყვეტა,— მოკვდომა (ორგანიზმისა).(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1990-894; 887).

„სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ კულტურის უნივერსალურ კონცეპტებს წარმოადგენს, რომელთაც უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს როგორც სამყაროს ენობრივ სურათში, ასევე, მწერლის შემოქმედებაში;

ძირითადი ენობრივი მასალა, რომელიც ლექსელების, „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“, ვერბალიზაციასახდენს, იგივე ფუძიდან ნაწარმოები სიტყვებია

(„მაცოცხლებელი“, „სიცოცხლის მიმნიჭებელი“; „canlandırıcı“, „hayat verici“; „животворный“; „უკვდავი“, „ölmez“- „бессмертный“ и др.), მათი სინონიმები და ანტონიმები და სემანტიკური კომპონენტების მატარებელი სიტყვები („საფლავი“, „სამარე“, „tabut“, „mezar“- „гроб“, „могила“ და სხვა);

ზაბოლოცკის პოეზიაში კონცეპტი „სიცოცხლე“ რეპრეზენტირებულია, როგორც: „სიცოცხლე, როგორც უსასრულო მეტამორფოზების ჯაჭვი“, „სიცოცხლე, როგორც სულის ისტორია“, „სიცოცხლე, როგორც ყოფიერების გაუვალი ხატი“, „სიცოცხლე, როგორც ბუნების არსებობა“, „სიცოცხლე, როგორც სანთელი“. მათი ვერბალიზაცია ტრადიციული მყარი სიმბოლოების მეშვეობით ხორციელდება, როგორცაა, სიცოცხლე — სანთელი; ჩამომდნარი სანთლის აღქმა, როგორც სიკვდილის მოახლოებაზე მინიშნება. ასევე, ინდივიდუალურ საავტორო საშუალებებით: დეტალების გამომსახველი ანაფორებით, მეტაფორებით, მეტამორფოზებით, ექსპრესიული სინტაქსური კონსტრუქციებით, ოკაზიონალური ლექსიკური სიტყვათშერთებით და სხვა.

კონცეპტი „სიკვდილი“ პოეტის შემოქმედებაში ინტერპრეტირდება, როგორც: „სიკვდილი, როგორც სხვა არსებობაში გადასვლა“, „სიკვდილი, როგორც დამანგრეველი ძალა“, „სიკვდილი, როგორც დავიწყება“; „სიკვდილი, როგორც გეომეტრიული ფიგურა ან არქიტექტურული ნაგებობა“, „სიკვდილი, როგორც სიცოცხლის გამოუვალი დასასრული“, „სიკვდილი, როგორც სიყვარულით დატანჯვა“, „სიკვდილი, როგორც ძალადობა“, „სიკვდილი, როგორც შორეული მხარე“, „სიკვდილი, როგორც ადამიანისა და ბუნების სულიერი გარჯის გამოხატულება“, „სიკვდილი, როგორც სულის დაღუპვა“.

აქაც ადგილი აქვს როგორც ტრადიციულ, ასევე, ინდივიდუალურ, საავტორო ინტერპრეტაციებს. ავტორი ეყრდნობა კონცეპტის ინტეგრაციულ განმარტებას, რომლის თანახმადაც ის წარმოადგენს კულტურით განპირობებულ რთულ სტრუქტურულ-შინაარსობრივ, უპირატესად, ლექსიკურად ვერბალიზებულ მთლიანობას, რომელიც ცნებით საფუძველს ეყრდნობა, შეიცავს სახესა და შეფასებას და რეფლექსიისა და კომუნიკაციის პროცესში შესაბამის ქცევის იწვევს.

ნებისმიერი კონცეპტის კვლევის დროს გასათვალისწინებელია, როგორც კონცეპტის მანიფესტაცია ენაში, ასევე, მისი აქტუალიზაციის ხარისხი მატარებელთა

ენობრივ ცნობიერებაში, რაც, თავის მხრივ, ლინგვისტურ მეთოდებთან ერთად, ფსიქოლინგვისტურ ექსპერიმენტებს მოიაზრებს.

#### **§4. კონცეპტების– „სიკვდილი“, „სიცოცხლე“–აღმნიშვნელი ლექსიკისა და ფრაზეოლოგიური ერთეულების კლასიფიკაციისათვის**

ლექსიკოგრაფიული წყაროების ანალიზისა და ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტების ერთობლივი მონაცემები კონცეპტების – „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“ –ტრანსლინგვისტური და ინტრალინგვისტური ნიშნების არსებობას ავლენს.

კონცეპტის, „სიცოცხლე“, ტრანსლინგვისტურნიშნებს მიეკუთვნება „ცხოვრების გამოცდილება“ „სიკვდილის გარდუვალობა“ და „ღირსეული სიკვდილი ბრძოლაში“. რუსულ ენაში მისი ინტრალინგვისტური ნიშანი არის „ადვილი, უზრუნველი ცხოვრება“, „უქმად ცხოვრება“ („легкая, беззаботная жизнь“ {жить как птица небесная; не жизнь, а малина), „праздная жизнь“ {бить баклуши; валять ваську}).

თურქულ ენაში ამ კონცეპტის ძირითადნიშნებს მიეკუთვნება „წარმატება და გამდიდრება“, „დამოუკიდებლად ცხოვრება, საკუთარი შეხედულებების თანახმად“. ქართულ ენაში — „ძალა, სიმხნევე, ხალისი, მოძრაობა“.

რუსულ ენაში კონცეპტის „სიკვდილი“ ინტრალინგვალურ ნიშანს წარმოადგენს „სიკვდილის შიში“, თურქულში — „სიკვდილის რიტუალები“, ქართულში — „მარადიული ცხოვრება“.

კონცეპტების, „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“, ასახვა ქართულენოვან და თურქულენოვან მატარებელთა ენობრივ ცნობიერებაში მიგვანიშნებს მათ უმნიშვნელო განსხვავებულობაზე ენებში, რაც, როგორც ჩანს, აღნიშნული კონცეპტების უნივერსალურობითაიხსნება.

კონცეპტების, „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“, ბირთვი და პერიფერია, ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტის მონაცემთა საფუძველზე, სტრუქტურირებულია შემდეგნაირად: „დადებითი — (ბირთვი), — უარყოფითი (პერიფერია)“.

ლექსიკოგრაფიულ წყაროებში, კონცეპტის „სიცოცხლე“ გამომხატველი ფრაზეოლოგიზმების შემადგენლობაში რაოდენობრივად პრევალირებენ უარყოფითი ნიშნები, მატარებელთა შეფასებებში კი — დადებითი. ვარიანტულობა ინფორმატ-

ორთა რეაქციებში უფრო ხშირად შეიმჩნევა იმ ნიშნებში, რომლებიც პერიფერიასმიეკუთვნებიან.

#### 4.1. ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულები

ქართულენოვან და თურქულენოვან რესპონდენტთა მიერ კონცეპტის „სიცოცხლე“ ნიშნების შეფასება უფროერთგვაროვანია, ვიდრე კონცეპტი „სიკვდილისა“.

ცხადია, რომ გამოცდილება სიცოცხლის შესახებ წარმოდგენის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელია, რამაც ასახვა პოვა ქართული და თურქული ენების ფრაზეოლოგიაში:

– ცხოვრებაში შესვლა (დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყისი)–Hayataatılmak, hayatına girmek.

– ცხოვრების ადამიანი (რომელიც ფებს უწყობს ცხოვრებას) –hayat adamı.

– ცხოვრებაში გატარება –hayata geçirmek.

– (თავის რჩენა) სიცოცხლის მოხვეჭა –hayatını kazanmak.

– სიცოცხლის გალევა –hayatını yaşamak.

– სიცოცხლის ფასი –hayat pahalılığı.

– ცხოვრების ინტერესი გაედვიდა –hayata doğdu.

– სიცოცხლე გაწირა –hayatını koydu.

– (ვინმეს) სიცოცხლის გადარჩენა –hayatını kurtarmak.

– სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი – hayat memmat meselesi.

– ბრძოლა არსებობისთვის – hayat mücadelesi.

– სასიცოცხლო სივრცე – hayat sahası.

– ცხოვრების დონე – hayat seviyesi.

– სიცოცხლის დაზღვევა – hayat sigortası.

– ცხოვრების პირობები –hayat şartları.

– ცხოვრების გემოს გაგება – hayatın tadını görmek.

– ცხოვრებისეული გამოცდილება – hayat tecrübesi.

– სიცოცხლის ხანგრძლივობა – hayat uzunluğu.

– (ვინმეს) სიცოცხლის გახანგრძლივება – hayatını uzatmak.

- მთელი ცხოვრების მანძილზე – bütün hayatında.
- ღამის ცხოვრება – gece hayatı.
- ყოველდღიური ცხოვრება – günlük hayat.
- პირადი ცხოვრება – özel/hususi hayat.
- ერთად ცხოვრება – ortak hayat.
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში – umumişhayat.
- ცხოვრებისაკენ მობრუნება(მოაბრუნებს) – yeniden hayata kavuşturmak.
- ცხოვრების გაზაფხული, ახალგაზრდობა – hayatın baharı.
- ცხოვრებას თვალები დაუხუჭა(გარდაიცვალა) – hayata gözlerini yumdu(kapadı).
- სიცოცხლე და სიკვდილი გაურკვეველია, ვის სიცოცხლესა და სიკვდილზე არანაირი ცნობა არაა(უგზო-უკვლოდ დაკარგული ჯარისკაცი) – hayat ve mematı meçhul, hayat ve mematından haber alınmayan(asker).
- ცხოვრება მიდის, სიბერე რჩება – hayatı gidip bayatı kalıyor.
- ერთხელ მოვდივართ ამ ქვეყნად–annem beni bir kere doğurdu.
- ბედნიერ საათზე დაბადებული–eşref saatte doğmuş.
- ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული–kadır gecesi doğmuş.
- ბედნიერი სიცოცხლე –uğuru açık.

კონცეპტ „სიკვდილის“ ტრანსლინგვისტურინიშნებია „სიკვდილის გარდუვალობა“ და „ღირსეული სიკვდილი ბრძოლაში“. სიკვდილის გარდაუვალობის აღიარება მკვეთრადაა წარმოდგენილი ქართული და თურქული ენების ანდაზებსა და აფორიზმებში:

- Anadan doğmak ölmek içindir(ადამიანი იბადება,რათა მოკვდეს) – შდრ.ყველანი სიკვდილის შვილები ვართ; პოეტ.: ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა იწრო, ვერცა კლდოვანი;от смерти ни отмолишься, ни открестишься; сколько не жить, а смерти не отбыть (не миновать).
- Dün öleni dün gömerler(=გუმინ გარდაცვლილსმაშინვე /იმ დღესვე მარხავენ)– ზედმეტი გლოვაც მიუღებელია –Есть время плакать, есть и веселиться.
- Hasta yatan ölmez eceli gelen ölür / yatan ölmez, eceli yeten ölür (=მწოლიარეავადმყოფი კი არ კვდება, კვდება ის, ვისი დროც/აღსასრული

დგება)სიცოცხლის გორგალი თუ არ დაღვია, ის არ კვდება; აღსასრული ვისაც დაუდგება, ის კვდება– Прежде смерти не умрешь.

- Her inleyen ölmez – ყველა, ვინც კვნესის, არ კვდება – не всяк умирает, кто хворает.
- Kel ölür sırma saçlı olur, kör ölür badem gözlü olur (=მელოტი კვდება, ოქროსთმიანი ხდება, ბრმა კვდება—ნუმისთვალეა.)მკვდარზე ცუდს არ ამბობენ.–შდრ.О мертвых – или хорошо или – ничего; Сдохшая корова бывает молочной.
- İnsan bir kere ölür / İnsan iki kere ölmez / ölümden sonra bir ölüm daha yok– ადამიანი ერთხელ კვდება/ ადამიანი ორჯერ არ კვდება/ სიკვდილის შემდეგ კიდევ ერთი სიკვდილი აღარაა.

სიკვდილის გარდაუვალობა:

- Ecele çare bulunmaz –სიკვდილს გამოსავალი არა აქვს.
- Kimse kimsenin çukurunu (mezarını) doldurmaz –სხვის საფლავს არავინ ავსებს.
- Mezar taşı ile övünülmez – საფლავის ქვით არ ტრაბახობენ.
- Rahat ararsan mezarda – სიმშვიდე საფლავშია(ცხოვრება მღელვარეა).
- Adamı parasız mezara bile götürmezler – კაცი უფულოდ საფლავამდეც არ მიჰყავთ.
- Zengin ölürse mezarına taş dikilir, züğürdе çalı nişan ederler – მდიდარი თუ კვდება, საფლავის ქვას უდგამენ, ღარიბს ეკლით მონიშნავენ.
- Namussuz yaşamaktansa namuslu ölüyü yeğdir(=უნამუსოდ ცხოვრებას, ნამუსიანად სიკვდილი ჯობს)–სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი.
- Yarın ölecekmiş gibi ibadet et, hiç ölmeyecekmiş gibi çalış – თითქოს ხვალ უნდა მოკვდე, ისე ილოცე, თითქოს არასდროს მოკვდები, ისე იმრომე.

კვლევის შედეგების მიხედვით, აღინიშნება კონცეპტების ასახვის სიახლოვე ქართულსა და თურქულ ენებში.

სიცოცხლის ველი პროცესუალურად დაკავშირებულია დაბადების, ცხოვრებისა

და დასასრულის ეტაპებთან, რაც შესაბამისი ენობრივი ერთეულებით დასტურდება.  
სიცოცხლის (ცხოვრების ) დასაწყისს უკავშირდება:

- დაბადება,სულის ჩადგმა, სულისდგომა (სულდგმული) – doğmak, doğurmak, doğuş.
- სულდგმულობს (ისულდგმულა, უსულდგმულია) – canın taşıyıcısıinsan.
- სულდგმულობა – yaşam, ömür;ihya etmek, yeniden diriltmek, yeni yaşama gücü kazandırmak.
- ცოცხალი –canlı, diri- Живои.
- შერცხვენა(ცოცხლად დამარხვა) – diri diri gömmek –Заживо похоронить.
- დაბადება – doğmak –Родиться.
- ახალშობილი – yeni doğmuş –Новорожденный.
- ჩასახვა – gebe kalma –Зачатие.
- წარმოშობა – köken, asıl – Происхождение.

ცხოველებსა და მცენარეებში დაბადება სპეციალური ლექსემებით გამოიხატება:

- დაყრა (ბევრის დაბადება ცხოველებში) – çoğaltmak.
- მცენარეებში (ამოიყარა, ამოიკვირტა, ამოხეთქამიწიდან) – tomurcuklanmak.
- აყვავებული – çiçek açılmış, çiçekli.

სიცოცხლის ტიპების დახასიათებები საკმაოდ მრავალფეროვანია:

- სისხლსავსე ცხოვრება–yoğun hayat, dolu hayat – Полный жизни.
- სიცოცხლის ძარღვი (ცხოვრების ძაფი) – tarı hayat –Нить жизни.
- ცხოველქმედი, ცხოველმოქმედი, ცხოველი (ცოცხალი, ენერგიული) – hayati etkinliği olan,etkin, faal.
- ცხოველმყოფელი, მაცოცხლებელი, სულის ჩამდგმელი – hayat verici, can verici.

მრავალფეროვანია სიცოცხლესთან დაკავშირებული ქმედებებიც:

- (სიცოცხლის ) მეორედ დაბადება – yeniden diriltmek.
- ცხოვრების თავიდან დაწყება, სანსარა, ცხოვრების ჩარხი, ცხოვრების

ორომტრიალი, განახლება – hayat dolaşımı.

– აღორძინება – yeniden doğmak.

– აღდგომა – diriltmek, canlandırmak.

– ყოფნა, არსებობა – olmak, bulunmak, varoluş.

– სიკვდილი, ცხოვრებიდანწასვლა – hayattan ayrılmak, ölmek – Отклонение жизни в другую сторону, смерть.

– სარისკოა, მომაკვდავია; ბეწვზე კიდია – ölmesine ramak/kıl kalmak – Висеть на волоске.

– ზღვრამდე მიღწევა – yaşlılıktan kamburlaşmak.

– განწირული, დღედალეული – ölmeye mahkum, ömrü kısa.

– გამოაცოცხლო, სიცოცხლეს დაუბრუნო – diriltmek.

ცხოვრება, როგორც მოძრაობა:

– დღის სინათლის ნახვა – gün ışığına çıkmak.

– ცხოვრების ცოდნა – hayatı bilmek.

– ცხოვრებისეული გამოცდილების ქონა – hayat tecrübesini bilmek.

– დაბადება, ამ ქვეყნად გაჩენა – doğurmak, doğum yapmak; dünyaya gelmek – Родить, появиться на свет.

– შეაბიჯო (შეხვიდე) ცხოვრებაში – hayata atılmak/girmek.

სიცოცხლეს ძვირფასია:

– ყველაფერს გავცემ წყნარი სიცოცხლის სანაცვლოდ – rahat hayat için her şey veririm.

– შეიძლება სიცოცხლის ფასად დაგიჯდეს – hayat pahalılığını ödeyebilirsin, hayatla ödeşmek.

– (თავიდანვე გამართლებული, განაღდებული სიცოცხლე) პერანგიით დაბადება(იღბლიანი)– kadir gecesini doğmak, eşref saatte doğmak – родиться в рубашке.



შესაძლებელია ახალი სულის ჩაბერვა, ახალი სიცოცხლის მინიჭება:

–ჩაბერო ახალი ცხოვრება, გაცოცხლება,მკვდრეთით აღდგენა – diriltmek,canlandırma– вдохнуть новую жизнь; воскрешать.

ცხოვრების სტილი შეიძლება საკმაოდ განსხვავებული და მრავალფეროვანი იყოს:

– (ცხოვრობენ) როგორც კატა და ძაღლი, მუდმივი კამათი, ჩხუბი– kedi ile köpek gibidirler– (живут) как кошка с собакой, вечные ссоры .

–ძალღური ცხოვრება – köpek hayatı – собачья жизнь.

– იცხოვრო საცოდავი ცხოვრებით, ძალღური ცხოვრებით – perişan bir yaşama– вести жалкое существование, „собачью жизнь“.

– მოუწამლო ვინმეს ცხოვრება – (birine) yaşamı zehir etmek–отравить жизнь кому-либо.

– გამოცოცხლდე, გონს მოხვიდე (გულყრის შემდეგ) –kendine gelmek, ayılmak.

– ეს ცხოვრება შესაძლებელია ადამიანმა საკუთარი ან სხვისი ნებით მიატოვოს (ეფემ.). მიატოვო ეს წარმავალი სამყარო, მოკვდე (ბიბლ.) – fani dünya, alemi terketmek/ayırılmak–покинуть этот бренный мир, умереть (библ.).

– გადაარჩინო საკუთარი ცხოვრება – kendi hayatını/canını kurtarmak –спасти свою жизнь.

– შესაძლოა ადამიანმა სიცოცხლისთვის იბრძოლოს (მეტ-ნაკლები წარმატებით) და მაღალი მიზნის გამო დათმოს კიდევ: გამართო სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლა– ölüm kalım savaşı.

– ცხოვრება მშვენიერია, თუ ადამიანი არ ეცემა სულით – hayatın tadını görmek/çıkarmak/tatmak, ömür sürmek – жизнь прекрасна, если человек не падает духом.

– ცხოვრება შედგება წვრილმანებისგან (ცხოვრების წვრილმანები) – kıvrı zıvır/ufaklar – жизнь состоит из мелочи (мелочи жизни).

– სულისდაღევა, უკანასკნელად ამოისუნთქვა, გარდაცვალება – son nefesi vermek,vefat etmek, ölmek.

– გაწირო საკუთარი ცხოვრება, გაწირო ცხოვრება –canını feda etmek, can baş vermek // koymak–отдать свою жизнь, пожертвовать жизнью.

– საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად მოწყობა – köşeyi dönmek; bağımsız olarak/kendi/tek başına hayatını kurmak – самостоятельно строить свою жизнь.

– ცხოვრების წირი – yaşam tarzı/biçimi/şekli.

საკვლევ კულტურებში უარყოფითი დამოკიდებულებაა უზნეო და უმიზნო ცხოვრების მიმართ:

– უწესო ცხოვრება, ცხოვრების გაფლანგვა – ahlaksız yaşamak, hayatını yaktmak/yırtmak–вести беспутную жизнь, прожигать жизнь.

– სიხარული უბედურების შემდეგ – yaşama sevinci/iyi günler.

– უმიზნო სიცოცხლე; სიცოცხლე სიცოცხლისთვის – yaşam için yaşam karşılığı, yaşama hakkı.

ყველა კულტურა ერთხმად აღიარებს სიცოცხლის ხანმოკლეობას:

– სიცოცხლე ხანმოკლეა (შდრ. ქართული „წუთისოფელი“) – kısa, ölümlü dünya.

სიცოცხლე შესაძლებელია თავდებად გამოიყენოს ადამიანმა:

– თავს ვდებ, თავს მოვიჭრი – kalıbını basmak; kefil olmak.

სიცოცხლე შეიძლება აღდგომა-აღდგინების ფორმით არსებობდეს:

– გაცოცხლება, ცხოვრებისკენმობრუნება – diriltmek, hayata dönmek, nefes üflemek–оживить, вернуться к жизни.

სიცოცხლე შესაძლოა გადაარჩინო ან ძვირად დაუსვა ადამიანს:

– დაემუქრო ვინმეს ცხოვრებას– tehdit etmek; tehlikeye düşürmek; gözdağı vermek.

– ძვირად გაყიდო საკუთარი ცხოვრება – hayatını pahalıya satmak.

ცხოვრებას ეტყვიან ან არ ეტყვიან სამდურავს:

– ასეთია ცხოვრება, რას იზამ – yaşam budur işte– такова жизнь, ничего не поделаешь.

– ცხოვრების დამთავრება თვითმკვლელობით, საკუთარი თავის ხელყოფა, თავის მოკვლა – intihar etmek, kendini öldürmek –покончить жизнь самоубийством, наложить на себя руки.

– უბედურ დღეზე გაჩენილი –mutsuz, bedbaht; talihsiz.

– ცხოვრების გაფლანგვა, მოვლენებით აღსავსე ცხოვრების გატარება – hayatını

yakmak/ömrünü tüketmek– прожигать жизнь, вести бурный образ жизни.

– ცხოვრება გარისკო– ölümü göze almak, canını ortaya koymak, hayatını tehlikeye atmak.

– მოკლა ვინმე –canını almak, sıkboğaz etmek,cana kıyma, öldürmek.

სიცოცხლე უშუალო კავშირშია იმედთან:

–სანამ ვსუნთქავ, ვიმედოვნებ – insanı ümit,deveyi hamut yaşatır,umutsuz yaşanılmaz.

სიცოცხლე სულთანაა უშუალო კავშირში:

–სულის დაღევა, სიკვდილი–canı çıkmak,canından geçmek/olmak,canını vermek.

სიცოცხლე შეფასდება ეთიკური პრინციპებით:

–ცხოვრებისეულად სამართლიანი, თითქოს ცოცხალი– doğrucu,haksever; doğru; gerçekçi, hakiki.

–ეს შემთხვევა ცხოვრებიდანაა, ძალიან ცოცხლად აღწერილი –bu olay gerçek; canlı,diri –Этот случай из жизни, очень живо описанный.

–სინათლის (სამყაროს) დანახვა, ცხოვრების გაგება (აღქმა) – hayatı anlamak, gün ışığına çıkmak; hayatı (derinlemesine) kavramak, hayatı çözmek.

სიცოცხლე ასპარეზია, სადაც ადამიანი საკუთარ ადგილს ეძებს:

–საკუთარი ადგილის პოვნა ცხოვრებაში– haddini bilmek/bulmak.

ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე:

–ცხოვრებაში ყველაფერი ხდება– dünyanın ucu uzun.

–იცხოვრო იმით, რასაც ბედი გამოგიგზავნის; რითაც მდიდრები ვართ, იმას სიხარულით გაგიზიარებთ–kaderi,bahtını denemek; (buğday ekmeğin yok ise arpa unun da mı yok?).

–„სიცოცხლის ხაზი“ (რომელსაც ქირომანტები პოულობენ ხელის გულზე) – hayat çizgisi.

მნიშვნელოვანია სენტენციები სიცოცხლეზე:

–სწავლა სიბერემდეო(არ ცოდნა,არ ცოდვასო)(ანდ.) – Bilmemek ayıp değildir, sormamak ayıptır–Век живи - век учись.

– თვითონაც იცხოვრე, სხვასაც არ შეუშალო – yaşamınla başkasının hayatını bozma.

– ცხოვრება ფუფუნებაში, ლაღი ცხოვრება –saltanat sürmek, lüks içinde yaşamak –жить в роскоши, жить припеваючи.

– იცხოვრე არა იმისთვის, რომ ჭამო, არამედ იმისთვის ჭამე, რომ იცხოვრო– yemek için yaşama, yaşamak için ye!

– იკვებო ჰაერით, იკვებო ცის მანანით– kudret helvası ile beslenmek, aç ve susuz bırakmak.

– ცხოვრების სარჩოს გამომუშავება, საარსებო წყაროს გამომუშავება – hayatı geçinmek,ekmeğini çıkarmak –зарабатывать на жизнь, зарабатывать средства к существованию.

ცხოვრება ხშირად განიხილება, როგორც ბრძოლა:

–სამკვდრო- სასიცოცხლო ბრძოლა – ölüm kalım savaşı.

–ბრძოლა არსებობისათვის – varolma savaşı; varkalma/yaşama savaşı.

– ოფლით ლუკმის მოპოვება – alının teriyle yaşamak.

–წელზე ფეხის შედგმა; წელში გატეხა – belini bükmek.

–მწუხარებამ წელში გატეხა – elemden beli büküldü.

– ცხოვრების ომში ჩაბმა, ცხოვრებასთან ომის გამოცხადება– bir şey kaybetmemek için savaş vermek/savaş vermeden bir şeye sahip olmamak; öldüresye dövmek; savaşmak.

სუნთქვა უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია, როგორც სიცოცხლის ატრიბუტი:

სუნთქვა, როგორც სიცოცხლის ნიშანი:

– ისუნთქო, ამოისუნთქო – nefes almak/vermek.

– სული დალიო, საბოლოოდ ამოისუნთქო, მოკვდე – son nefesini vermek– Испустить дух, испустить последний вздох, умереть.

– დაახრჩო ვინმე–boğmak.

მნიშვნელოვანი სემაა ზემოქმედება სიცოცხლეზე:

– არსებობა გაუმწარო ვიღაცას, სიცოცხლე გაუმწარო, მოუმზამო; სისხლი გაუშრო– başkasına hayatı zehir etmek.

– (ვიღაცის) სიცოცხლის გალამაზება – hayatını güzelleştirmek.

– ვიღაცის ცხოვრების ჯოჯობეთად ქცევა–hayatını cehennem etmek.

– სული წაართვა, სული ამოართვა, სული ამოხადო–canını almak.

ან პირიქით, შეიძლება გამოაცოცხლო, აღადგინო, მოაბრუნო, გადაარჩინო, ან ეს ყოველივე თავად შეძლოს:

– შთაბერასული, სული ჩაუდგა – ruhunu tekrar yaratmak;(solukla) içine çekmek.

– გადარჩენა – hayatta/sağ kalmak;kurtulmak.

– სიცოცხლის გახანგრძლივება– yaşama/hayat süresi; ebedi hayat.

–სამუდამო –ömür boyu.

– განხორციელება, ცხოვრებაში დანერგვა –gerçekleştirmek, hayata geçirmek.

– მკვდრეთით აღდგომა, გაცოცხლება; გამოცოცხლება– diriltmek; canlandırmak; ölümden sonra diriliş–Воскресить.

– შექმნა, წარმოება; წარმოშობა, წარმოქმნა –yapmak; üretmek; yaratmak; kurmak.

– გა(მო)ცოცხლება, აღდგომა; გონს მოსვლა, მოხედვა, მოსულიერება–canlanmak, dirilmek; kendine gelmek.

– აღდგენა, ხელახლა შექმნა –yeniden kurmak; canlandırmak.

– სიკვდილს გადარჩენა –ölümden kurtarmak; ölümden dönmek;hayatta/sağ kalmak.

– დაბადება, ქვეყნად გაჩენა,ქვეყნად მოვლენა, ამქვეყნად მოსვლა – doğurmak, doğum yapmak; dünyaya gelmek; dünyaya gözlerini açmak–Родить, появиться на свет .

– გამაცოცხლებელი (გამცოცხლებელი), გამაცხოველებელი – canlandırıcı, can/güç verici.

– ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული–eşref saatte doğmuş; kadir gecesi doğmuş– Рождённый под счастливой звездой.

– დღეგრძელობა (აღღეგრძელებს, დღეგრძელობს) – sizlere ömür, şeref.

– სიცოცხლეს მიახლოებს– hayatını emanet etmek/ güvenmek.

– სააქაოსკენ პირს აქნევენებს, სააქაოს მოუბრუნდება–mezardan çıkarmak.

## §5. სიკვდილ-სიცოცხლისადმი დამოკიდებულება სხვადასხვა კულტურაში

სიკვდილ-სიცოცხლის მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვნად არის წარმოდგენილი ენებში. მიცვალებულისადმი დამოკიდებულების მიხედვით, არსებობს სტილურ გრადაციათა მდიდარი სპექტრი:

იუმორისტული: „ვირული დასამარება“ (ე.ი. დასაფლავების გარეშე)– defin/gömme töreni; cenaze töreni – „ослиное погребение“ (т.е. без погребения).

დრამატული: გამოგლოვება(ტირილი – გამოტირება – დატირება); ტირილის ეტაპები.

– მოტირალის ინსტიტუტი(მოზარე ქალი) – ağlayıcı, birinin arkasından/ardından ağlamak; kahırlanmak; tasalanmak, tasa çekmek.

– განსვენება, წოლა –yatmak.

– ხსენება, მოგონება, მოხსენიება–(hayırla) anmak, (anma yemeğine katılarak) öleni anmak.

– ორმოცი(დღის გასვლა) – kırkı çıkmak, kırklamak –Посещение 40 дней.

– აბელობა – yas, matem – Первые семь дней траура.

– აბელობის მიღება – yaslı/ matemli olmak–Начать траур.

– ანდერძის აგება – öldürmek.

– ასქარა – yıldönümü–Годовщина смерти.

– ალაპი, აში (ქელები) – (definden sonra verilen) anma yemeği; dualar– Церковная трапеза в честь поминания усопшего. Тризна и –молитвы.

– სულსგანათლებს (განათლა, გაუნათლებია), სულს უცხონებს – kutsamak, kutsallaştırmak– Освятит (души умерших).

–გააპატოსნებს (გააპატოსნა, გაუპატოსნებია) –(ruhunu) yüceltmek, asilleştirmek.

– გადმოსვენებს (გადმოსვენა, გადმოუსვენებია)–geçirmek, cenaze geçirmesi.

– გამოაგლოვებინებს (გამოაგლოვებინა, გამოუგლოვებია) გამოიგლოვეს–yas tuttu, matem tuttu; yası aşmak/yenmek, üstesinden gelmek; arkasından ağlamak.

- გამოასვენებს (გამოასვენა, გამოუსვენებია) –cenaze kaldırmak.
- გამოგლოვება (გამოიგლოვებს) – aşmak/yenmek, üstesinden gelmek.
- გამოგლოვებული, გამოგლოვილი –arkasından / ardından ağlanmış.
- ჭირისუფლების განუქარვებელი გოდება, განუქარვებელი დარდი, გოდებადაუსრულებელი –sürekli, devamlı vaveyla koparmak–Непрестанные стенания родных усопшего.

რიტუალური მნიშვნელობა აქვს მიცვალებულის გაპატიოსნებას:

- განუქრობელი – sonsuz, tükenmek bilmeyen.
- განუწმედელი – saf olmayan.
- გაპატიოსნება (გააპატიოსნებს, გაპატიოსნდება) –kutsama, kutsallaştırma.
- გაპატიოსნებული – kutsallaşmış – Очищенный, освящённый.
- გაუთენებს (გაუთენა, გაუთენებია) (გათენებს), ღამეს გაუთენებს – gün ağartmak.
- თავზე ნაცარს დაიყრის – baş üstüne küll dökmek.
- სულთათანა – mezar .
- სამარობანი, სამაროვანი – mezar ...ı(sı).
- დაკვდომა (დააკვდება), საფლავში ჩაყოლა – (ქართულშია მხოლოდ!!!).
- ღმერთმა გაკმაროთ ეს ჭირი! -başınız sağ olsun!–Да хранит вас Бог от подобной беды!
- მთავარი ჭირისუფალი (ქართულშია მხოლოდ „ჭირის უფალი“!!!) – (baş)acıklı–Главный скорбящий.

განსხვავებულია მიცვალებულისადმი და მისი ჭირისუფლებისადმი დამოკიდებულება, პოზიტიურიდან („დიდი დღე მოგცეს“!, „ღმერთმა დღეგრძელობა მისცეს“!, „ღმერთმა გაკმაროთ“, „მის მოსვლამდე არაფერი გეტკინა“!, „ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს! ნათელი დაადგეს!“ – sizlere uzun ömür!, başınıza sağ olsun!– Многие лета!) ნეგატიურამდე („ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია“! „მიწევია უკან!“ „სიკვდილში წასულა!“ –Cehenneme kadar yolu var! –(проклятие) отправляйся в ад!).

სამგლოვიარო ცერემონიალს უკავშირდება:

- დაურწყება –(რაჭულში)მარხვის დაწყების წინა დღე, როდესაც სახსნილოს ჭამა შეიძლებოდა– kandil gecesı – За день до похорон.
- წვერის მოშვება–sakar bırakmak, uzatmak, sakallanmak.
- ლოყების ჩამოხოკვა.
- გაზეთში სამგლოვიარო განცხადების მოთავსება– gazeteye ilan vermek – газетный столбец с объявлениями о смертях.
- დაუურვებელი –ayinsiz gömülmüş – Похороненный без надлежащего обряда похорон.
- თალხი, შავად შემოსვა–matem/yas elbisesi.
- მმარხველ-მლოცველი – duacı olmak – Похоронная процессия, хоронящие – молящиеся.
- სულთმობრძავი, სულთმებრძოლი, მომაკვდავი, სიკვდილის სარეცელზე მყოფი –can çekişme, canına uğraşır– Умирающие, находящиеся в агонии.
- საცხედრე, კუბო, სასახლე –tabut –гроб.
- დაკრძალვის ხარჯები – cenaze töreninin masrafları.
- სიკვდილისსარეცელი – ölüm döşegi – смерть (кровать).
- სამძიმარი, თანაგრძნობა – şefkat, sevecenlik; baş sağlığı, taziyet– сочувствие.
- პანაშვიდი – cenaze namazı; acısını paylaşmak – Панихида, соболезнование.

#### კოლექტიური ჭირისუფლობა:

- განადგურება, მოსპობა, ამოწყვეტა – yoketmek,yoksundurmak,katliam yapmak, katletmek, telef etmek,ortadan kaldırmak, imha etmek, tahrip etmek, kırıp geçirmek – гибель, уничтожение людей, принесение в жертву человеческих жизни.
- დანაკარგი, დაღუპულები – kayıp, yitim.
- დანაკარგის რთულად გადატანა – kayba dayanamamak, kaybı çekememek.
- დაღუპვა, ადამიანების განადგურება, ადამიანთა სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვა.– yoketmek,yoksundurmak,katliam yapmak.
- დანაკარგი მკვდრებით – (სამხ.)-ölülerin sayısı.
- დანაკარგის გადატანა –kaybı yaşamak, kayba dayanmak – понести потери.
- დაკრძალვა ზღვაში, ზღვის სიღრმე, როგორც სამარე – denize defnetmek;



sulara gömmek – погребение в море, морская пучина, как могила.

– მცხოვრები, ცოცხლებში მყოფი; დაუკრძალავი – yaşama gücü olan; dayanıklı; varolan; gömülmez– живущий, находящийся в живых, существующий, не похороненный.

– სამგლოვიარო ტანსაცმლის ჩაცმა, ძაძით შემოსვა – cenazede siyah elbisegiyime – надеть траур.

– მგლოვიარედ ყოფნა – yaslı/matemli olmak – быть в трауре.

– სამგლოვიარო – yas/matem .....-ı(-sı) , matemli.

– დატირება, გლოვა -(birinin) arkasından ağlamak; kahırlanmak; tasalanmak.

– დაფერფვლა, კრემირება – kül çıkmak; yanıp kül olmak; ölü yakma – Сгореть дотла, кремировать.

– დამტირებელი(ქალი) – ağıt söyleyen, ağlayıcı, ölümüne ağlayan.

ფართოა სასახლისა და სამარის აღმნიშვნელი სიტყვების სპექტრიქართულსა და თურქულში, განსაკუთრებით, თურქულში: – კუბო, სასახლე, მიცვალებულის ჩასასვენებელი; შავი მიწა, სამარე, საფლავი, სამარხი, აკლდამა, განსასვენებელი–tabut, salacak, sanduka, dört kollu/tahtirevan, imam sandalı/kayığ; kara toprak, mezar, kabir, anitkabir, çürüklük, ehram, sin, sinlik, şehitlik, türbe, yatır, makber, gömüt, gömütlük, hazire, höyük(öyük), kabristan, kurgan, lahit, piramit, makam, makber, mezaristan, mezarlık, mozole.

რიტუალური დაკრძალვის ორგანიზატორია თავკაცი, გარდაცვლილის ყველაზე ახლო მეგობარი ან ნათესავი, ბოლო ნების შემსრულებელი – cenaze üstenci, müteahhit– Самый близкий друг или родственник умершего, душеприказчик.

დასაფლავების პროცესი, უმეტესწილად, მიწასთან არის დაკავშირებული

(მყარ შეხამებებსა და ანდაზებში)

– toprağa vermek – მიწისთვის მიბარება, დასაფლავება.

– toprağa düşmek – დასაფლავება(დაიმარხა).

– toprağa girmek/verilmek; kara toprağa girdi;yere battı; göğsüne toprak dökülür.– შავ მიწაში ჩაწვება; გულზე მიწა დაეყრება.

– toprağı çekmek – მიწა უხმობს, ეძახის.

– toprağı çekmiş –(მოკლე დროით მოსვლა და იქ სიკვდილი)სიკვდილი უხმობს.

– toprak olmak – მიწად ქცევა, სიკვდილი; (მიწა ხარ და მიწად მიიქეც!),(მიწამ უყო პირი – ეს უფრო მეტაფორაა).

– toprağına ağır gelmesin!–მიწა ნუ დაამძიმებს მის ნეშტს! მსუბუქი იყო მისთვის მიწა! მიეტევოს ცოდვები!

– toprağına bakmak –(მიწაში ცქერა)საფლავში ცქერა, სიკვდილის პირას ყოფნა.

– toprağı bol olsun! –მსუბუქი(ბუმბული) იყოს(მისთვის) მიწა! მშვიდად განისვენოს!

– toprak doyursun gözünü – „მიწამ გაუძღოს თვალი!“ (ხარბი ადამიანის დაწყევლა).

– (ანდ.)Ben toprağı baş koyduktan sonra taş taş üstünde kalmasın! - ჩემს მერე ქვა ქვაზე არ დარჩენილიყოს! ჩემს მერე ქვასაც უწვიმია!წინ წყალი და უკან მეწყერი!

– (ანდ.)Cümlemizin gireceğı kara topraktır(=ჩვენი ყველას შესასვლელი შავი მიწაა) – ყველანი მოკვდავები ვართ; ყველანი სიკვდილის შვილები ვართ.

– (ანდ.)İnsanın gözünü bir avuç toprak doyurur. – ადამიანის თვალს მუჭა მიწა ავსებს(სხვა არაფერი!); (ხარბსა და გაუმადლარს სიკვდილი აძღებს).

– (ანდ.)Tamahkarın gözünü (bir avuç) toprak doyurur. – ხარბის(მუნწის) თვალს (მუჭა) მიწა ავსებს.

– (ანდ.)Kişinin ayıbını bir avuç toprak örter. –ადამიანის ნაკლს(სირცხვილს) ერთი მუჭა მიწა ფარავს.(მკვდარზე ცუდს აღარ ლაპარაკობენ; მკვდარს ყველაფერი მიეტევა).

განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი სახეობრივი ლექსემები,რომელთა მხატვრული სახეები სრულიად განსხვავებულ საფუძველს ემყარება:

– ოთხი ფიცარი, კუბოს კარი, სიკვდილი–tahtalı köyü boylamak –сыграть в ящик, умереть.

–მტვრად ქცევა – kül olmak.

– საუკუნო/სამუდამო ძილითდაძინება (გეძინოს მკვდრის ან მარადიული ძილით, დაძინო სამუდამოდ, სამუდამოდ მოისვენო) – ebedi/uyanılmaz uykusunda olmak; ebedi uykuya dalmak/ içi geçmek –заснуть навеки.

– ფეხების გაფშეკა,ფეხებსგაჭიმავს (გაჭიმა, გაუჭიმავს): სიკვდილი – ayaklarını uzatmak; ayaklarını dikmek; nalları dikmek/ atmak; cavlakı çekmek– умереть, протянуть ноги.

– ასაღებს (გაასაღა, გაუსაღებია) –başkasının nimetinin zimmetine geçirmek.

– ვინმეს სულს აცხებინებს –canını almak–Убить кого-либо.

– (სხვისთვის) სულის ამოძრობა;(სულს ართმევს) – canını çıkarmak –Душу отрывает.

– გააქრობს (გააქრო, გაუქრია) –yoketmek,ortadan kaldırmak.

– კერას/სანთელს გააქრობს – ocağına darı ekti; ocağına inciri dikti; ocağını söndürecek; ocak başına yıkıldı; ocak battı; ocak söndü; ocağı kör kaldı(=კერაზე ფეტვი დათესა; კერაზე ლეღვი დარგო; კერას ჩააქრობს; კერა დაინგრა; კერა ჩაიძირა; კერა ჩაქრა; კერა დაბრმავდა).

– გააცამტვერებს (გააცამტვერა, გაუცამტვერებია) –kül eder.

–სამარესგაითხრის (გაითხარა, გაუთხრია) (გათხრის) –kendi mezarını kazar;ölümüne susar–Выкопает себе (копал) (выкопает).

–საიქოს გაისტუმრებს (გაისტუმრა, გაუსტუმრებია), საიქოს გაამგზავრებს – öbür dünyaya gönderir – (Вы)проводит, отправит (проводил, отправил). Отправит на тот свет.

– გამოაკლო (გამოაკლებს, გამოუკლია) სიკვდილმა ამ ოჯახს ორი წევრი – ölüm ailesinden iki öyesini çıkardı –Исключит.

– გამოესალმება (გამოესალმა, გამოსალმებია): სიცოცხლეს/ წუთისოფელს გამოესალმება – hayata veda etmek –Распрощается.

– სიცოცხლესთან გამოთხოვება – hayata elveda demek – простится с жизнью. Распрощаться с жизнью.

– სიცოცხლის ფიალა გამოცალა.

– გამოცლა (გამოცლის, გამოცელება): ხელიდან გამოცლა – elinden almak, elinden çekip almak –Выбить, вытащить, убрать (из-под), отнять Вырвать из рук.

– ვინმეს მზეს გააქრობს, ვისსამე მზეს დააბნელებს – birinin güneşini batırmak, birinin güneşini (içini) karartmak; ortadan kaldırmak –Заставит исчезнуть; Заставит исчезнуть чье-либо солнце.

– დაასამარებს (დაასამარა, დაუსამარებია), დამარხავს, კუბოში ჩადებს – gömmek, defnetmek.

– გულზე მიწა დაეყრება – kara toprağa girdi; yere battı; göğsüne toprak dökülür.

– ლახტს დაჰკრავს – çarpıştırmak, yüz yüze gelmek.

– სულის დაღევა, სულის ამოსვლა, სულის ამოხდომა – canı çıkmak.

– სიკვდილისაგონია – can çekişen can, canı ile uğraşma.

– განკითხვის დღე დადგება, მეორედ მოსვლა იქნება – ceza günü, mahşer günü, soru günü; (göründü Sivas'ın dağları=სივასის მთები გამოჩნდა).

– დღეს დაუმოკლებს – birine çok zarar vererek, mahvetmekle, çok etkileyerek, hüküm sürmekle hayat günleri kısaltır; günleri sayılı; kasıp kavurmak.

– მზე დაუბნელდა – güneşi karardı.

– სული არ დაჰყვება – yere varıncaya kadar can vermek – Душа не следует за кем-либо, умрёт перед ударом о землю.

– გაემგზავრო იმ ქვეყნად, გახვიდე მარილზე, გახვიდე გაღმა, ჭირი წაიღო (ვიდაცის) – öbür dünyayı boylamak, ahrete gitmek, ahreti boylamak, ak sadeler giyinmek, bok yoluna gitmek, ağılanmak – Отправить(-ся) на тот свет.

სპეციფიკურიაპრეცედენტულიერთეულებისშემცველიიდომები:

– (საზღვაო ჟარგონი) ჩაიძირო, დაემვა ფსკერზე, მოკვდე საზღვაო მოგზაურობის დროს – batmak; suda boğulmak, boğularak ölmek; boğdurulmak, dibe gitmek –(морск. жаргон) утонуть, пойти на дно, погибнуть в море, умереть в плавании.

– მკვდარი, დაღუპული – ölü, ölümsü; mahvolmuş.

– მკვდარია, დახვრეტილია, დაიღუპა – ölü; kurşunlayarak öldürmüş.

– სიკვდილის ბრჭყალებში – ölümlle pençeleşmişti.

- სულის მიბარება – can alıp can vermek, canını vermek – Отдать богу душу.
- სულის ამოშვება –canı çıkarmak,canından olmak – испустить дух.
- თავისი მოჭამა –gününü doldurdu, dönemini doldurdu, ömrünü(yaşayıp) tamamladı/ikmal etti, defteri dürüldü– Отжитьсвоей век.
- უფალმა მიიბარა –Allah’ın rahmetine kavuştu;Allahcanını aldı, Allah’ın emri oldu, Tanrı’ya en yakın bir yola saptı, tantuna gitti– Бог прибрал; бог подушу послал.
- დღეს გაუშვავებს/დაუბნელეს – günlerini karartır/ koyulaştırır –Сделает день черным/тёмным для кого-либо.
- სიკვდილის ზეწარი,სუდარა – kefen; örtü.
- სიკვდილი სწყურია–ölümüne susar–найти свою смерть, умереть.
- გაყინვა(სიცვიისგან) – donmak, (soğuktan)uyuşmak.
- დღეს მოუსწრაფებს–günlerini kısaltır –Сократит дни.
- სამარეს/საფლავს ითხრის – kendi mezarını kazar.
- ოთხი ფიცარი გაიჩალიჩო, ფეხები გაფშოკო, იმ ქვეყნად გაემგზავრო – tahtalı köyü boylamak; cavlakı çekmek; ayaklarını dikmek, nalları dikmek;öteki dünyayı boyladı.
- დაახრჩო ვინმე – boğmak, boğarak öldürmek–(y)душить кого-либо.
- დასრულება, დამთავრება, ბოლომდე მიყვანა – tamamlamak, sona erdirmek, sonuçlandırmak, son nefeste iman selameti–завершить, закончить, довести до конца.
- გარდაიცვალა, მოკვდა –gözleri kapandı,öldü,göçündü.
- მოკლა, დაბრიდო, დაღუპო– katletmek,mahvetmek, kesmek, parçalamak.
- მოულოდნელად გარდაიცვალა; ჩიტვით გაფრინდა – kan tutmak;yuvarlanmak; yüreğine inmek;kuş gibi uçup gitmek – неожиданно скончаться.
- სული დალიო, მოკვდე–can vermek, canından geçmek– испустить дух, умереть.
- გაითხარო სამარე, დაიღუპო თავი – kendi çukurunu kazmak.
- მოძებნო სიკვდილი– ölünü aramak – найти смерть.
- იმ ქვეყნად – öbür dünya, öte dünya, ölümlü dünya, ahret, tahtalı köy.

- იმ ქვეყნიდან მოსული(ძვალი და ტყავი) – mezar kaçkını.
- ჩახვიდე სამარეში – mezara inmek – сойти в могилу.
- დახვრეტა, მოკვლა – vurmak, kurşunlayarak öldürmek.
- სიკვდილი – ölmek.
- დაანგრიო, დაღუპო– yıkmak, harap/ tahrip etmek, mahvetmek.

მოყვანილი მასალა მრავალფეროვანია. ბუნებრივია, ქართული და თურქული განსხვავებული კულტურებია, შესაბამისად, სიკვდილისა და სიცოცხლის აღმნიშვნელ ლექსიკურ თუ ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ყოველთვის არ მოეპოვება ზუსტი შესატყვისები, თუმცა,უმეტეს შემთხვევაში, მსგავსი დაიძებნება. აღვნიშნავთ იმასაც, რომ ქართულში ბევრი ერთეული ბიბლიური წიგნებიდან მოდის, ისევე როგორც თურქულში — ყურანიდან.

### 5.1.მეტაფორებიდაშედარებები

ცალკე გამოვყოფთ სიკვდილთან და სიცოცხლესთან დაკავშირებულ მეტაფორებსა და შედარებებს.

- ყინულივით ცივი,სიცოცხლის ნიშანწყლის გარეშე, არ სუნთქავს, უსიცოცხლო, უსულო,დაიღუპა საბოლოოდ, მორჩ – onda hiç bir hayat belirtisi görülüyor, yok; buz gibi, mahvoldu, bitti – Без признаков жизни, холодная, как лед, бездыханный, погиб окончательно, „крышка“.
- მკვდარივით სძინავს– ölü gibi uyur.
- სიკვდილივით მძულს, მეზარება, მეშინია – ölüm korkusu.

სიკვდილიდასიცოცხლემყარენობრივშედარებებშიცარისწარმოდგენილი:

- (ისეთი ყაყანია, მკვდარსაც გააღვიძებს) ჯოჯოხეთური ხმაური – cehennemî bir gürültü– (достаточно шума, чтобы разбудить мертвеца) адский шум.
- ჩუმი, უმოძრაო, უხმო (ადამიანების, გარემოს შესახებ) – sessiz; sözsüz – Тихий, неподвижный, безмолвный (о людях, местности).
- სამარისებული სიჩუმე, მდუმარე, როგორც სამარე; ჩუმად, თითქოს სამარეში, ცივი სამარე (სიკვდილი) – mezar/mezarlık sessizliği; ölüm sessizliği, mezar

gibi –Нем, как могила (ср. „нем, как рыба“); тихо, как в могиле.

– ölü gözünden yaş ummak(=მკვდრის თვალიდან ცრემლის მოლოდინი) – დახმარების იმედი, რომელიც არასოდეს იქნება.

– ölüsü ortadan kalma – დამმარხველი არა ჰყავს(არავინაა მისი დამმარხველი).

– anamın ölüsünü öpeyim ki doğru söylüyorum – (ფიცი)დედა მომიკვდეს, თუ სიმართლეს არ ვამბობდე.

– ölüyü güldürmek – მკვდარსაც რომ გაეცინება.

– üstüne ölü toprağı serpilmiş gibi (=თითქოს მკვდრის მიწა დააყარეს) – გაგუდულივით მძინარე(სალათას ძილი).

– ölüm döşegi – სიკვდილის სარეცელი.

– ölüm cezası – სიკვდილის მისჯა.

– ölüm Allahın emri bu işi yapacağım -მოკვდები და ამას გავაკეთებ.

– ölüm Allahın emri(=სიკვდილი ღვთის ბრძანებაა/ნებაა) – ყველა მოკვდავია.

– ölü ağıtı – მკვდრის დატირება.

– ölü fiyatına(=მკვდრის ფასად) – ძალიან იაფად, ჩალის ფასად.

– ölüsü kandili/kınalı –(წყევლა) ჩაძალღდეს! სულიც გასძრობია!

– ölü yıkayıcı – მიცვალებულის განზანელი.

– ölüm orucu – მარხვა(მიზნის მისაღწევად,რომელიც შეიძლება სიკვდილით ემუქრება).

– ölüm teri dökmek (=მკვდრის ოფლის დაღვრა) – ცივი ოფლის დასხმა.

– ölüm var dirim var(=სიკვდილიც არის, სიცოცხლაც არის) – ყველაფერი ხდება ცხოვრებაში.

– ölümcül bir hastalık – სასიკვდილო დაავადება.

– ölümle burun buruna gelmek – სიკვდილთან პირისპირ შეყრა.

– ölüme koşmak= ölüme susamak – სიკვდილის წყურვილი.

– ölümü göze almak -სიცოცხლის გარისკვა.

– ölüp ölüp ölmemek= ölüp ölüp dirilmek – აღარც მოკვდა და აღარც მორჩა.

– ölüsünü öpmek(=თავის სიკვდილს კოცნის) – დაფიცება.

– ölü mevsim – მკვდარი სეზონი.

– ölü örtü(=მკვდარი საფარი) –ჩამოცვენილი ფოთლებისგან მიწის საფარი.

- hayata gözlerini yummak- სიკვდილი.
- hayat memmat meselesi – სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი.
- hayat memmat mücadelesi – სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა.

## 5.2. სიცოცხლის (ცხოვრების ) ნომინაცია

- ცხოვრების გაზაფხული; სიცოცხლის გარიჟრაჟი – hayat baharı.
  - სუფევა – hüküm / saltanat (sürmek) – царствие.
  - (სალაპ.) ცოცხალი და საღსალამათი; მთელი და უვნებელი; სიცოცხლით აღსავსე – sağ, sağ salım, sağlam – (разг.) жив и здоров; цел и невредим, полон жизни.
  - მზეგრძელობა, დღეგრძელობა – varlık, varolmak.
  - დრო მიქრის – çabuk geçiyor, su gibi akıyor, çabuk akıp gider – Время летит.
  - ცხოვრება მიქრის, ცხოვრება გადის, სიცოცხლე ნავარდობს (პოეტ.) – hayat da yürür durur, hayat geçiyor, su gibi akıyor – Жизнь пролетает, течет.
  - იღბალი უღიმის, ბედი უღიმის – şans ona güldü – Жизнь (судьба) ему улыбалась.
  - აგება, დაბადება – yaratmak, yapmak – Создавать, строить.
  - აგებული – yaratılmış, yapılmış.
- აღნიშნულ კონცეპტთან დაკავშირებული მეტაფორები და იდიომები საკმაოდ ხშირია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია მათში არსებული ემოციური მუხტიც:
- მოჭამა წუთისოფელი – tahtalı köyü boyladı, sandıktadır(bitti mi oyun sandıktayız).
  - თავისი მოჭამა, ცას გამოეკერა, ნამდვილი მათუსალაა (უკვდავია) – defteri dürüldü(=მისი რვეული დაიგრაგნა).
  - ოთხი ფიცარი, სიკვდილი – tahtalı köyü, ölmek.
  - ბოლო მოულო ვინმეს წვალეხას, მოკვლა – (birinin)ıstırabını tüketmek,



öldürmek –положить конец чьим-либо страданиям, убить из жалости.

### 5.3. ძილის მეტაფორა

–მკვდარი (ან მარადიული) ძილით დაძინება, სამუდამოდ დაძინება,სამუდამოდ დახუჭა თვალი – uyanılmaz uykusunda olmak; ebedi uykuya dalmak

– спать мёртвым (или вечным) сном – заснуть навеки.

– ძილი, პატარა სიკვდილი –uyku, küçük ölüm.

– ძილი სიკვდილის ძმად – uyku ölümün kardeşi.

### 5.4.სხვისი მოკვდინება

– ვინმეს დაღუპვა, იყო ვინმეს დაღუპვის მიზეზი – (birinin) hayatını mahvetmek; batırmak–погубить кого-либо, быть причинойгибели.

– ვისმე სულს აცხებინებს –canını almak.

– სულს აძრობს – canını çıkarır– Душу отрывает.

– გააქრობს (გააქრო, გაუქრია), ვისიმე მზეს გააქრობს(დაუბნელებს) – ortadan kaldırmak, tüketmek; hayatını eritmek – Заставит исчезнуть, Заставит исчезнуть чье-либо солнце.

– კერას/სანთელს გააქრობს – ocağını söndürecek, ocağına inciri||darı dikti,evinin direği yıkıldı.

– ყელს გამოსჭრის (დაღუპავს)–boğazlamak.

–გააცამტვერებს (გააცამტვერა, გაუცამტვერებია) – yoketmek, kökünü kazımak,köküne kibrit suyu döker,tuzla buz etmek.

– ძირფესვიანად ამოთხრა, გახმოზა – kökünü kazımak||kurutmak.

– სამარეს გაუთხრის (გაუთხარა), დაასამარებს, ცოცხლად დამარხავს– mezarını kazar–выкопает.

– გაისტუმრებს(გაისტუმრა, გაუსტუმრებია): საიქიოს გაისტუმრებს,იმქვეყნად გაისტუმრებს, იმქვეყნიურ გზას გაუყენებს –öbür dünyaya gönderir – (Вы)проводит, отправит (проводил, отправил). Отправит на тот свет.

- (ახლობლების წრეს)გამოაკლებს (გამოაკლო, გამოუკლია) – alıp götürmek/ kırıp geçirmek– Исключит, вычтет.
- გამოესალმება (გამოესალმა, გამოსალმებია): სიცოცხლეს/ წუთისოფელს გამოესალმება – hayata elveda dedi, Allah'ın rahmetine kavuştu –Распрощается (распрощался, прощался): простится с жизнью.
- ჯვარი დაახატა, მის არსებობას წერტილი დაუსვა – haç işareti/istavroz – Отобразился крест.
- სიცოცხლესთან გამოთხოვება – hayata elveda demek, gözünü yummak – Распрощаться с жизнью.
- ვისიმე მზეს დააბნელებს –birinin güneşini karartır.
- დაასამარებს (დაასამარა, დაუსამარებია) –gömdü; defnetmek, toprağa vermek – Похоронит (похоронил, хоронил).
- გულზე მიწა დაეყრება – kara toprağa girer.
- ლახტს დაჰკრავს– ölümle çarpışmak –Столкне со смертью.
- სულის დაღევა– canı ile uğraşmak, canını vermek.
- განკითხვის დღე დადგება – mahşer günü, soru günü, ceza günü – Наступит судный день, день встречи с Создателем.
- დღეს დაუმოკლებს – günlerini kısaltır – укоротит дни , доведёт до смерти.
- სულიარდაჰყვება – canı yerevarmaz – Душа не следует за кем-либо, умрёт перед ударом о землю.
- გაემგზავრო იმ ქვეყნად–göçünmek/ canı öbür dünyaya gider – Отправить(-ся) на тот свет.
- გაუშავებს/დაუბნელებს – gününü karatır – Сделает день чёрным/тёмным для кого-либо.
- დღეს მოუსწრაფებს – günlerini kısaltır –Сократит дни.
- სამარეს/საფლავს ითხრის– kendi mezarını/ çukurunu kendi kazmak.
- მოულოდნელად გარდაიცვალა – yuvarlanmak, yüreğine inmek, kuş gibi uçup gitmek–неожиданно скончаться.
- სული დალიო, მოკვდე – son soluşunu vermek, can vermek– испустить

дух, умереть.

– გაითხარო სამარე, დაიღუპო თავი– kendi mezarını/ çukurunu kendi kazmak –рыть себе могилу, погубить себя.

– მოძებნო სიკვდილი – ölümü aramak –найти смерть.

– გემინოს მკვდრის ან მარადიული ძილით, დაიძინო სამუდამოდ – спать мёртвым или вечным сном, заснуть навеки.

– დაახრჩო, მოაშთოვინმე – boğmak, boğarak öldürmek –(y)душить кого-либо.

– დახვრეტა –kurşuna dizmek, kurşunlamak–застрелить, убить.

– მოაცელვინებს ტყვიამფრქვევის ჯერით –biçtirmek.

– ჩამოკიდებით მოკვლა, ჩამოხრჩობა(ადამიანის) –ipe çekmek(insanı), asmak.

– ვინმეს თოკით დახრჩობა – birini iple boğmak.

– ხმლით აკუწვა(ხმალზე წამოაგო, შუბზე ააგო)–kılıçlamak.

– თავის მოჭრა(მოჭრის), მოკვეთა – boynunu vurmak.

– სროლა, გასროლა, დანის ჩაცემა(დანა ჩასცა, დანა გაუყარა) –bıçak atmak, bıçaklamak.

– ისრით განგმირვა(განგმირავს) – oklamak.

– მოწამვლა(მოწამლავს) – zehirlemek; ağılamak.

– თავის მოწამვლა(თავი მოიწამლა) – kendini zehirlemek; ağılanmak.

– მოწავლინება(მოაწამვლინა) –ağılatmak.

– ელექტროდენის დარტყმით სიკვდილი –cereyan çarpmak.

– მეხის დაცემით სიკვდილი (მეხი დაეცა და მოკვდა, მეხმა მოკლა, ელვა ჩაუვარდა პირში)–yıldırım çarpması.

– სიცივით სიკვდილი, გათოშვა, გაყინვა(გაითოშა, გაიყინა) –buymak, donmak, buz olmak.

– შიმშილით სიკვდილი – açlıktan kırılmak / açlıktan ölmek

– ჯვარზე გაკვრა(გააკრავს), ჯვარცმა(ჯვარს აცვამს) –çarmıha germek.

– სიკვდილი –ölmek, maktul olmak.

– მოსპობა (აღგვის პირისაგან მიწისა, დაანგრევს) დაანგრევა,

განადგურება – yıkmak, tahrip etmek, harap etmek, mahvetmek – разрушить, погубить.

დამოკიდებულებასიკვდილ-

სიცოცხლისაქტანტებთანშეიძლებაუარყოფითადანდადებითადიყოსმარკირებული:  
უარყოფითი: ჩამაღლება, გაგორება, სულში ძაღლის მიკვდომა, დამიწება,ჩაკვდომა,  
სულის გაცხება, სულის გაფრთხობა, ფეხების გაფშეკა, წაპარჭიკება, ცერს გახედა ...–  
gebermek, gebertmek, boyunu altında kalmak, cehennemi boylamak, gümlüyip gitmek,  
kalıbı deęiřtirmek/ dinlendirmek, yuvarlanmak...

დადებითი: მიცვალება, გარდაცვალება, განსვენება, ნათელის დადგომა, უფალთან  
წარდგომა, სულის უფლისთვის მიბარება... -ölmek, rahmetli olmak, telef olmak, Allahın  
emri olmak, memat, ecel řerbeti içmek...

## 5.5. სიცოცხლის მეტაფორები

სიცოცხლის სინონიმები და ასოციაციებია:

- ცხოვრების დილა, ცხოვრების გარიჟრაჟი, ცხოვრების დასაწყისი-hayatın sabahı.
- წყარო – kaynak.
- მდინარე –ırmak.
- ტკბილ-მწარე –acı tatlı.
- ხანმოკლე –kısa, sayılı.
- წარმავალი – geçici; eğreti.
- წამიერი – an, lahza, salise.
- ჩიტვით გაფრინდება –kuş gibi uçup gider.
- ნავარდობს– onayıp/zıplayıp eğlenmek.
- მოძრაობა (ცხოვრება მიდის, მიქრის) –harekete geçmek.
- გაზაფხული – bahar.
- მზის ამოსვლა –güneş doğmak.
- ბავშვობა –çocukluk.

–ჩანასახი –oğulcuk.

– ცისკარი –sabah kızılığı, şafak.

–აკვანი –beşik; salıngaç.

– დასაწყისი –baş, başlangıç.

– დაბადება –doğmak, dünyaya gelmek.

– თესლი – tohum.

– დილა – sabah.

– ამოსუნთქვა – solukla dışarı atmak.

– ჩასახვა – gebe kalma.

– სულის ჩადგმა – canlanmak.

– გაიცოცხლებს (გაიცოცხლა, გაუცოცხლებია) (გააცოცხლებს) – diriltmek.

– გულს გაიცოცხლებს –kalbini diriltir.

– განმაცოცხლებელი –canlandırıcı, can/hayat verici.

## 5.6. სიკვდილის ასოციაციები ქართულსა და თურქულში

სიკვდილის ასოციაციები და სინონიმები ძალიან ჭარბადაა როგორც ქართულ, ასევე, თურქულენებში;

ქართულში გვაქვს: სიცოცხლის შეწყვეტა (ორგანიზმის სიკვდილი); გარდაცვალება; აღსრულება, აღსასრული (მოვიდა მისი აღსასრულის დრო); დასასრული (სიცოცხლე დასასრულს უახლოვდება); სიცოცხლის გაყრა, სულხორცის (სულისა და ხორცის) გაყრა; სიცოცხლის მოსწრაფება; სულის ამორთმევა, ამოხდომა; სულის დაღევა; სულის გამძრობა; სულის გაფრთხობა; სულის ღმერთისთვის მიზარება; წუთისოფელთან გამოსალმება, გამოთხოვება; წუთისოფლის მოჭმა; სოფლით გაღმა გაბიჯება; საიქიოს გამგზავრება; წირვის გამოყვანა; დღის გაქრობა; ჭირის წაღება; ჭირის მოჭმა; მოდნობა (დარდისგან); დაკვდომა; თავის დადება; თავის შეკვლა; სისხლის აღება; აკუწვა; გაგუდვა; გულზე ხელის დაკრეფა; დახარჯვა (დეიხარჯვის); შენახვა; მზის ჩაქრობა; მზის დაბნელება; დღის დაბნელება, წესის აგება; ღვთივ განსვენება; შაბზე წასვლა; მარილზე წასვლა; სისხლის აღება; ანდერძის აგება; ჩახრჩობა; ჩაძალღება; ფეხების გაფშეკვა; ფეხის გაჭიმვა; წაპარჭიკება, გაპარჭიკება;

ცერზე გახედვა; წერილის წაღება; ყალიონის მიყუდება; ჩაკვდომა; ჩაქოლვა; ჩალპობა; დამიწება; ჩაქვესკნელება; ტყავის გაჭიმვა...

თურქულში: adem, akıbet, ecel, azap, fevt, füce, gark, geberme, boğulma, cefa, çile, düşük, ecel, emrihak, eziyet, fena, göçme, göçüş, harakiri, ıstırap, idam, intihar, ip, irtihal, kaıp,kırım, memat, mevt, son, songu, şahadet, şehitlik, telefata, üful, vefat, vefiyat, yitme, yitim, zahmet, zalyat, zaiyat, zıya,ölmüş, ölü, müteveffa ; boğazlama;

(სინტაგმები)can borcu; can borcunu ödemek; ruhunu teslim etmek; ahret yolculuğu; abbas yolcu; burnuna helva kokmak; ebedi akşam; ecel uykusu; ecelsiz ölüm; günü yetmek; iki ayağı çukurda olmak;iki iyilikten biri; iki rahmetten biri; işini bitirmek; hasret gitmek; son nefes; son yolculuk; ölüsünü öpmek; Allahın binasını yıkmak; tuzla buz etmek; donmak, buymak; sıkboğaz etmek; cinayet işlemek; feda etmek; helak etmek; ağılatmak, zehirlemek; kan gütmek; kan dökmek; katliam yapmak; kılıçlamak; kurşunlamak; oklamak; yoketmek; şehit olmak/gitmek/düşmek; muhakkak ölüm; Mevlasına kavuşmak; Allahın rahmetine kavuşmak; dünyaya gözlerini kapamak; hakka yürümek; tantuna gitmek; Tanrıya en yakın bir yola sapmak;

(ქარგ.) beyaz ölüm(ჰეროინით); carta; cızdam(cızlam); cızdamlama (cızlamlama); cicoz(cicos);kıkırdama; mort(morti, morto, mortu); son posta; uyku;zarta; adres deęiřtirmek; bok yoluna gitmek; caddeyi tutmak;cartayı çekmek; cavlaęı çekmek, cavlamak; cehennemini boylamak; çingıraęıçekmek; dört kolluya binmek; eřsek cennetini boylamak; cehennemini boylamak; ipe çekmek; gebertmek; gümbürdemek; güme gitmek, gümlemek;kakırdamak; kuyuruęu titretmek; kan boęmak; mortlamak, mort olmak; mortiyi çekmek,mortoyu çekmek; nalları atmak, nalları dikmek, Niyazi olmak; sıfırı tüketmek; tahtalı köye gitmek, tahtalı köyü boylamak; tırgırdamak; tırlamak; üç ayaklıya binmek, yürümek; zartayı çekmek; zıbarmak; temize havale etmek...

საკმაოდ გავრცელებულია ანდაზა-აფორიზმები სიკვდილ-სიცოცხლეზე:

- სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.
- ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა იწრო, ვერცა კლდოვანი.
- ყველანი სიკვდილის შვილები ვართ.
- ამქვეყნად არავინ დავრჩებით.

- სიკვდილ-სიცოცხლე ძმები არიანო.
- სიცილი და ტირილი და-ძმადო.
- როცა სიცოცხლე ასე ნავარდობს,/სიკვდილის ყველა კარი დარაზეთ!
- სიკვდილს (ხსნა) გამოსავალი არა აქვს. – Ecele(ölüme) çare bulunmaz.
- ყველაფერს აქვს გამოსავალი სიკვდილის გარდა. – Her şeye çare bulunur, ölüme care bulunmaz.
- როგორც იცხოვრებ, ისე მოკვდები. – Nasıl yaşarsa öyle ölürsün.
- რჩევა თუ გინდა,სიკვდილია (საკმარისი) გამოსავალი. – Nasihat istersen ölüm yeterli.
- იმ ქვეყნად წასული ბევრი გვინახავს, მოსული — არა. – Öbür dünyaya gidip de gelen yok ki.
- მკვდარზე ეშმაკიც კი ხელს იღებს.– Ölüden şeytan da el çeker.
- სიკვდილი ღვთის ნებაა. – Ölüm Allahın emri.
- მკვდართან ერთად არ კვდებიან(სიცოცხლე გრძელდება); მკვდარს საფლავში არ მიჰყვებიან.– Ölenle birlikte ölinmez.
- სიკვდილზე რამდენადაც ბევრს იფიქრებ, იმდენად კარგად იცხოვრებ.– Ölümü ne kadar çok düşünürsen o kadar iyi yaşarsın.
- სიკვდილი შავი აქლემია, ყველას კართან დაიჩოქებს. –Ölüm bir kara devedir ki herkesin kapısına çöker.
- სიკვდილის სარეცელზე მწოლიარე (აღსასრულის ოფლს ღვრის), სიკვდილის შიშს განიცდის. – Ölüm döşeğinde yatan ecel teri döker.
- ღია ჭრილობით არავინ კვდება. – Açık yaradan kimse ölmez.
- სიკვდილი ახალგაზრდაა, მოხუციაო არ არჩევს.– Azrail gelince oğul uşak sormaz;Ölüm genç koca demez.
- სიკვდილმა თქვა, უმიზეზოდ კაცი ვერ მოვკალიო. – Azraile bahane bulunmaz; Bahanesiz ölüm olmaz.
- სიკვდილზე შურს ვერ იძიებ.– Ölüm ile öç alınmaz.
- ვისაც სიკვდილის ეშინია, შიშისგან მოკვდება.– Ölümünden korkan korkudan

ölür.

– სიკვდილის ნუ გეშინია, სიძულვილის(ღვარძლის) გეშინოდეს. –

Ölümden korkma, kin duyulmaktan kork.

– მართლისმთქმელისთვის სიკვდილი არ არსებობს. – Doğru söyleyene ölüm yok.

– უქორწილო სახლი არსებობს, სიკვდილის გარეშე კი — არა. – Düğünsüz ev olur, ölümsüz ev olmaz.

– სიკვდილს თავისი დრო აქვს. – Ecel ne bir saat geri ne bir saat ileri.

(=სიკვდილის დრო (აღსასრული) არც ერთი საათითაა უკან და არც ერთი საათით წინ).

– მკვდარზე ან კარგს, ან არაფერს ამბობენ; მკვდარზე ცუდს არ იტყვიანო.

– Kel ölür sırma saçlı olur, kör ölür badem gözlü olur. – შდრ.Сдохшая корова бывает молочной; О мертвых – или хорошо или – ничего.

– კაცი ერთხელ კვდება(ორჯერ არ კვდება; სიკვდილის შემდეგ კიდევ სიკვდილი არ არსებობს). – İnsan bir kere ölür; insan iki kere ölmez; Ölümden sonra bir ölüm daha yok.

– მწიფეს ესროდნენ და მკვახე ცვიოდაო.– Hasta yatan ölmez, eceli gelen ölür(=ვისი დროც დგება, ის კვდება და არა ის, ვინც ავადაა).

– მკვდარიერთია, მოტირალი— ორი.– Ölen bir ölmüş, ağlayan iki.

– მკვდარიმკვდარსაკეიდა, სამარემდემიმეყვანეო.– Мертвый к мертвому привязался: „Доведи, мол, меня до могилы“.

– ახალგაზრდობაში — სიკვდილი, სიბერეში კი შიმშილია ძნელი. – Gençlikte ölüm, ihtiyarlıkta açlık/yoksulluk güçtür.

– მკვდრის პატრონი ერთ დღეს ტირის, სულელის პატრონი კი — ყოველდღე. – Ölüsü olan bir gün ağlar, delisi olan her gün ağlar.

– კუზიანსსამარეგასწორებსო.– Huylu huyundan vazgeçmez.

– მკვდარ ვირს მგლის არ ეშინია.– Ölmüş eşek kurttan korkmaz.

– აუტკივარი თავი საფლავშია.– Ağrısız baş mezardadır.

–სიკვდილის მნახველი ავადმყოფობაზეც თანახმაა. – Ölümü gören hastalığa razı olur.

– საყვარელ ადამიანთან განშორებული შვიდი წელი ტირის, თავის



- სამშობლოს მოშორებული კი — სიკვდილამდე. – Sevdüğinden ayrılan yedi yıl ağlarsa, yurdundan ayrılan ölüme dek ağlar.
- ძილი ნახევრად სიკვდილია(ძილი სიკვდილს ჰგავს). – Uykuyu misafir etmemeli, ölümün davetçisi uykudur.
  - არავინ იცის,როდის მოკვდება. – Vadeyetmeyince taşın altında bastırırsan ölmez.
  - ანდერძს სიკვდილი არ მოაქვს. – Vasiyet ölü getirmez.
  - სიკვდილისგან ხსნა არ არის. – Vadesi yetmiş çare yok.
  - ნუ ტირიმკვდრისთვის, იტირე ცოცხლისთვის. – Ağlama ölü için ağla diri için.
  - ჩემი სიკვდილით მეორედ მოსვლაა.– Ben ne vakit ölürsem kıyamet o zaman kopar.
  - სხვის საფლავს ვერავინ ამოავსებს (ყველას თავისი სიკვდილი აქვს). – Kimse kimsenin çukurunu/mezarını doldurmaz.
  - ყველაკაციმოკვდავია;ყველანისიკვდილისშვილებივართ.–Her canlı bir gün ölümü tadacaktır.
  - ვინც ცუდად დაიწყებს, ის ცუდად დამთავრებს.–Öfkeyle kalkan, zarar ile oturur(=მრისხანებით წამომდგარი, ზარალით ჯდება).
  - კატაცხრასიცოცხლეაქვს / კატაცხრასულიუდგიაო.– Kedilerin dokuz canı vardır, üçü oyun için, üçü çiftleşmek için ve üçü de yerleşmek için.
  - სჯობსსიცოცხლესანადრახსა,სიკვდილისახელოვანი. – Her şeyden daha iyidir bu dünyada nam kazanmak.
  - სისხლისიცოცხლისწყაროა. – Kan hayatın kaynağıdır.– Кровь источник жизни.
  - სიცოცხლისნაპერწკალი. – hayatın kıvılcımı/şeraresi.
  - სული ტკბილია (სიცოცხლე ტკბილია).–can tatlıdır; insan karır, gönül karımaz, kocamaz.
  - ღმერთს,ვისიგანგმირვაცუნდა, იმასჯერჰკუასაკარგვინებს. – Tanrı çok sevilene aklını örter.
  - ღმერთსაც კარგი უნდაო(ის, ვინცღმერთსუყვარს, ადრემიჰყავს). –

Allah sevdiği kullarını erken alır.

– ღმერთის საქმეში არ ერევან.– Allahın işine karışılmaz.

– ადამიანისანამცოცხალია, იმედსარკარგავს(ყველაზე ბოლოს იმედი კვდება).– Yaşam umudu üretmektedir, insanoğlu bugüne kadar bu umutla gelmiştir.

– ცხოვრება ხანმოკლეა. –Hayat kısa.

– ცხოვრებაია-ვარდებით მოფენილი არაა.– Hayat güllere dolu bahçe değildir(=ცხოვრება ვარდებით სავსე ბაღი არაა).

– სიცოცხლეს არამარტო გართობა და დროის ტარებაა.(ადამიანი ტანჯვისთვის მოდის ამქვეყნად და არა სალაღობოდ.-ალ.ყაზბეგი).– Hayat bir oyun değildir, oynansa zekice oyuna.

– სადაც სიყვარულია, იქ სიცოცხლეა.–Sevginin olduğu yerde hayat vardır. -  
Где любовь, там и жизнь.

– სჯობს სიცოცხლეს ანამრახსა, სიკვდილისახელოვანი. – Her şeyden daha iyidir bu dünyada nam kazanmak.

– სიკვდილი არის, დაბრუნება არაა. –Ölüm var, dönüm yok (ölmek var, dönmek yok); Öbür dünyaya gidip te gelen yok ya.

– ზღვა გაუცურავს და ღელეში დამხრჩვალა. – Denizden geçip çayda boğulmuş.

– ვიდრე მდიდარი გულს მოიბრუნებს, ღარიბს სული ამოსძვრება. –  
Zengin gönlü oluncaya kadar, fakarının canı çıkar.

– ჰოჯა, ძალიან კარგად კითხულობ, მაგრამ ავადმყოფი კვდება. –  
Hocam, güzel güzel okuyorsun ama, hasta ölüyor.

– მამალი მომკვდარა, თვალი სანაგვეზე დარჩენია. – Horoz ölmüş, gözü çöplükte kalmış.

– იმამის სახლიდან საქმელს და მკვდრის თვალიდან ცრემლს ვერ ეღირსები. –İmam evinden aş, ölü gözünden yaş çıkmaz.

– იმამთან ფული მივიდეს და ვინც გინდა მოკვდეს, სულერთია. –  
İmama para gelsin de, kim ölürse ölsün.

– მკვლელის ცოდვა მკვდარსაც აწევს. – Kabahat çok defa öldürende değil,

ölendedir.

– ძმას ძმის არც წინსვლა უნდა და არც სიკვდილი. – Kardeş kardeşin onduğunu(unduğunu) da istemez, öldüğünü de.

– ვინც ეძებს პოულობს, ვინც კვნესის — კვდება. – Arayan bulur, inleyen ölür/ eden bulur, inleyen ölür.

– ბრმა კვდება, მისი ჯოხი რჩება. – Kör ölür değneği kalır.

– სიკვდილთან ყველა თანასწორია. – Varlığın sonu ile yokluğun sonu birdir, hep ölüm(=სიმდიდრისა და სიღარიბის ბოლო ერთია — სიკვდილი).

– უმამო ბიჭი— ბატონი, უდელო გოგო კი ქალბატონი ხდება. – Babası ölen oğlan bey, anası ölen kız hanım olur.

– დაკარგული ქონებითა და გარდაცვლილი მამით არ ამყოფენ. – Yanmış mal, ölmüş baba ile iftihar edilmez.

– ვირი კვდება, კურტანი(უნაგირი) რჩება, კაცი კვდება,სახელი(მისი კვალი, ღვაწლი) რჩება. –Hayvan ölür semeri kalır, insan ölür eseri kalır.

– კაცს ნუ დაეყრდნობი, მოკვდება, კედელს ნუ მიეყრდნობი, დაინგრევა(=მხოლოდ შენი თავის იმედად იყავი). – Adama dayanma ölür, duvara dayanma yıkılır.

– სიკვდილთან ყველა უსუსურია. – Ölüme karşı herkesin gücü ayıdır.

–სიკვდილი ყველასარიგებს(ყველაფერსამშვიდებას). – Ölüm sakinleşmeye çalışarak herkesini toparlar.

– მკვდრისგან დაშიშველისაგან ვერაფერს წაიღებ. – Ölüden ve çıplaktan hiç bir şey çalınmaz.

– სიკვდილს ვერ მოქრთამავ; ყველამოკვდება,სიკვდილი რომ მოვა. – Ölüme rüşvetle alınamaz;Ölüme rüşveti verilmez.

ფრაზეოლოგიური ერთეულების შედარების საფუძველზე, რომლებსაც ასახვენ საკვლევი კონცეპტები და ექსპერიმენტების დროს მიღებული მონაცემები, შეგვიძლია დავასკნათ, რომ ინტრალინგვისტური ნიშნები კონცეპტისთვის „სიცოცხლე“ რუსულ ენაში არის ლაღი, უზრუნველი ცხოვრება— „легкая, беззаботная жизнь“ {жить как птица небесная; не жизнь, а малина), „праздная жизнь“ {бить баклуши; валять ваську). თურქულ ენაში კი, ამ კონცეპტის ძირითად ნიშნებს მიეკუთვნება: „წარმატება“ და

„გამდიდრება“, „ცხოვრება საკუთარი შეხედულებების თანახმად, დამოუკიდებლად“. ქართულ ენაში კონცეპტის „სიკვდილი“ ინტრალინგვისტური ნიშანი აღმოჩნდება „სიკვდილის შიში“, „მისი დაძლევა“, თურქულ ენაში კი — „სიკვდილის რიტუალები“. მოცემული სხვადასხვაობა განპირობებულია სოციალურ და კულტურულ ტრადიციებში სხვაობით.

უნივერსალურისა და უნიკალურის თანაფარდობა, როგორც ჩანს, დამოკიდებულია იმაზე, ზუსტად რომელი კონცეპტი განიხილება კვლევის ობიექტად. მოსალოდნელი იყო, რომ სიცოცხლისა და სიკვდილის მოვლენები (დამოუკიდებლად უნივერსალურები), აგრეთვე, კონცეპტუალურად აღმოჩნდებოდა საკმაოდ ახლოს, რაც დადასტურდა კიდევაც მთლიანობაში; საინტერესო იყო ქართული და თურქული ენების მატარებლების სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ წარმოდგენების განსხვავებულობის გამოვლენა, რომელსაც, ასევე, აქვს ადგილი.

ექსპერიმენტებმა გვიჩვენეს, რომ კონცეპტი „სიკვდილი“ კონცეპტ „სიცოცხლესთან“ შედარებით უნივერსალურია. რაც იმით შეიძლება აიხსნას, რომ თვით სიკვდილის მოვლენა უფრო მრავალმხრივია თავის გამოვლინებებში, რაც კიდევაც ბადებს შეფასებათა და აზრთა მრავალსახეობას.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი ამოცანა იყო კონცეპტების, „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“, ბირთვისა და პერიფერიის განსხვავება. ობიექტური კრიტერიუმები, რომლებიც კონკრეტულ მასალაზე დაკვირვების შედეგადერთმნიშვნელოვნად შემდგომდინარე ბირთვისა და პერიფერიის დადგენას, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, არ არსებობს. რადგანაც ჩვენ ნაშრომში გამოყენებულია ორი მიდგომა: ლინგვისტური და ფსიქოლინგვისტური, ჩვენთვის ბუნებრივი იყო დაგვეჩვენა, თუ რამდენად კორელაციურია ანალიზის ამ ორი საშუალების შედეგები. კვლევის პროცესში გაირკვა, რომ ლინგვისტური ანალიზის შედეგები, რომლებიც ლექსიკოგრაფიული წყაროების მასალების მიხედვით ჯგუფების სისავსესეყრდნობა, მთლიანად არ ემთხვევა მონაცემებს, ენის მატარებლების მიერ რუბრიკების რანჟირებას ეფუძნება.

ამ შემთხვევაში, ბირთვისა და პერიფერიის განსაზღვრის პრობლემის გადაჭრის ორი გზა არსებობს: შეათავსო ორი ანალიზის შედეგები და ბირთვსა და პერიფერიას მიაკუთვნო ის ნიშნები, რომლებიც ერთმანეთს დაემთხვა ორივე ანალიზის

შედეგებით.ამგვარად, ლექსიკოგრაფიული წყაროების მონაცემების მიხედვით, მაღალი სიხშირის ჯგუფები და მატარებელთათვის უფრო მნიშვნელოვანი რუმბრიკები ჩაითვლება კონცეპტის ბირთვად;

ბირთვად და პერიფერიად დაყოფის პრობლემა სხვადასხვა პოზიციიდან განვიხილოთ: ა) სისტემურ-სტრუქტურული ანალიზის და ბ) ფსიქოლინგვისტური ანალიზის პოზიციებიდან. გამოვიყენოთ ბირთვისა და პერიფერიის განსაზღვრის ორი განსხვავებული მეთოდი: ა) ჯგუფების დატვირთვა ლექსიკოგრაფიული მასალის მიხედვით (ნიშნის სემანტიკური სიმჭიდროვე) და ბ) ნიშნების რანჟირება ენის მატარებელთა მიერ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ, ნებისმიერ შემთხვევაში, მითითებული მეთოდების გამოყენების პროცესშიც, ბირთვისა და პერიფერიის რაოდენობრივი განსაზღვრის პრობლემა ისევ გადაუჭრელი რჩება. აქედან ვასკვნით, რომ ბირთვისა და პერიფერიის განსაზღვრა, ნებისმიერი მიდგომის მიუხედავად, პირობითია.

მიუხედავად ამისა, ბევრი მკვლევარი ახორციელებს დამატებით განსაზღვრას მახლობელ, შორ, განაპირა პერიფერიაზე, რაც ჩვენ მიუღებლად მივიჩნით, რადგან ვფიქრობთ, რომ ბირთვისა და პერიფერიის საზღვრის გამოყოფა ძალზე რთულია.

კვლევის პერსპექტივად მივიჩნევთ სხვა ენების სისტემებში და მათ მატარებელთა ცნობიერებაში კონცეპტების, „სიცოცხლე“ და „სიკვდილი“, გამოხატულების შესწავლისთვის შეთავაზებული კლასიფიკაციის გამოყენებას. შედეგად, შესაძლებელი გახდება კონცეპტების უნივერსალური და უნიკალური მახასიათებლების უფრო სრულყოფილად გამოვლენა. სხვადასხვა ენის მასალის საფუძველზე მიღებული ექსპერემენტული მონაცემები საშუალებას მოგვცემენ, უფრო საფუძვლიანად დავადგინოთ ბირთვისა და პერიფერიის მახასიათებლები.

სამყაროს ენობრივი სურათის ანალიზს უკავშირებენ მისი შემადგენელი კონცეპტების აღწერას. დღესდღეობით ენათმეცნიერებისათვის, კერძოდ კი, ლინგვოკულტუროლოგიისათვის, ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი კონცეპტების კვლევაა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილია კონცეპტების სხვადასხვა ტიპები. კონცეპტების შესწავლა საშუალებას გვაძლევს, გამოვაკლინოთ მსოფლიოს ენობრივი სურათი, ამა თუ იმ საზოგადოების ეროვნულ-

კულტურული სპეციფიკა და აღწერით ენის მატარებელთა მენტალიტეტი ენობრივი საშუალებების ანალიზის გზით. კერძოდ, კონცეპტ სიცოცხლისარჩევა, როგორც კვლევის ობიექტის, განპირობებულია რიგი მიზეზით. სიცოცხლის გააზრება და სიცოცხლისადმი დამოკიდებულება ნებისმიერ ლინგვოკულტურაში წარმოადგენს ადამიანის ქცევის საბაზო ორიენტირს, რომელიც განაპირობებს ურთიერთობების ეთნოსპეციფიციკურ ნორმებსა და სტერეოტიპებს, ისევე როგორც ენის მატარებელთა მენტალობას.

კონცეპტი „სიცოცხლე“ ლინგვოკულტურაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს, რამდენადაც ზოგიერთი მკვლევრის მონაცემთა მიხედვით, ენობრივ ცნობიერებაში მნიშვნელობით ის დგას მესამე ადგილზე კონცეპტების „ადამიანი“ და „სახლი“ შემდეგ (Уфимцева, 2002). გარდა ამისა, კონცეპტის „სიცოცხლე“ ვერბალური რეპრეზენტაციის ანალიზი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტატუსის ცვლილებების შემდგომ პერიოდში გვიჩვენებს არა მხოლოდ ტრადიციულ, არამედ ცხოვრების აღქმისა და მისდამი დამოკიდებულების ყველაზე თანამედროვე გაგებას.

ჩვენს ნაშრომში ორივე კონცეპტი განხილულია ქართული და თურქული ენების სამეტყველო ბაზაზე. ნაშრომის მიზანია, გამოავლინოს და აღწეროს ამ ორი კონცეპტის დანიშნულება თანამედროვე თურქული სამყაროს ენობრივ სურათში და განსაზღვროს მათი ლექსიკოგრაფიული წარმოდგენების მეთოდი. ეს მიზანი შემდეგი ამოცანების გადაჭრას ითვალისწინებს:

- ◆ განიხილოს კონცეპტების ლინგვოკულტურული კვლევის საფუძვლები;
- ◆ გამოარჩიოს ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ახდენენ კონცეპტების რეპრეზენტაციას თანამედროვე მხატვრულ პროზასა და პუბლიცისტიკაში;
- ◆ დაამუშაოს კონცეპტების ლინგვოკულტურული ანალიზის სქემა;
- ◆ გაანალიზოს კონცეპტების რეპრეზენტაციის ლექსიკური საშუალებები;
- ◆ განსაზღვროს კონცეპტების აღწერის ლექსიკოგრაფიული პრინციპები და წამოაყენოს სალექსიკონო სტატიის მოდელი.

კვლევის ჰიპოთეზა შემდეგია: კონცეპტები „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ თავისთავად წარმოადგენს რთულ მენტალინგვალურ წარმონაქმნს, რომელიც ასახავს თურქული ენის მატარებელთა „გულუბრყვილო“ წარმოდგენებს, რომლებიც

შეიძლება დადგინდეს ლინგვოკულტურული ანალიზის მეშვეობით. კონცეპტები „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ საბაზისო კონცეპტებია, რომლებიც უნივერსალურია, მაგრამ ამის მიუხედავად, ისინი განსხვავდება ეროვნულ-კულტურული თავისებურებით. კონცეპტების ანალიზი საშუალებას მოგვცემს, გამოვავლინოთ მისი ლინგვოკულტურული სპეციფიკა. გარდა ამისა, ენის მატარებელთა ცნობიერებაში არსებული „გულუბრყვილო“ წარმოდგენები მოითხოვენ ზუსტსა და დაწვრილებით განმარტებებს პირთათვის, რომლებიც სწავლობენ თურქულ ენას, როგორც უცხოურს. ამგვარი განმარტება შეიძლება წარმოდგენილი იყოს ლინგვოკულტუროლოგიური ლექსიკონის სტატიაში.

ლინგვოკულტურული კონცეპტი — ეს ენობრივი გამოხატულების მქონე და ლინგვოკულტურული სპეციფიკით აღნიშნული აზროვნების ოპერაციული ერთეულია. ლინგვოკულტურული კონცეპტების გამოყოფის საფუძვლად, ვფიქრობთ, თერთმეტი კრიტერიუმი გამოვიყენოთ:

- სიტყვა, კონცეპტად წოდებული, უნდა იყოს მაღალსიხშირიანი;
- კონცეპტის სიტყვა-სახელი უნდა შეიცავდეს აქტიურ მწარმოებელ საფუძველს;
- კონცეპტის სიტყვა-რეპრეზენტები აქტიურად უნდა შედიოდეს იდიომური კონსტრუქციების შემადგენლობაში;

გარდა ამისა, არსებობს არსებითი ნიშნები:

- კონცეპტთა „განსაცდელობა“;
- „ნომინატიური სიმკვრივე“;
- „გაურკვევლობა“;
- „მსოფლმხედველობითი ორიენტირება“;
- „ლინგვოკულტურული მონიშნულობა“;
- „კომუნიკაციური რელევანტობა“;
- „ეტიმოლოგიური მეხსიერება“;
- „ენობრივი აბსტრაგირება“.

კონცეპტები „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ შეესაბამება ყველა ამ კრიტერიუმს. გარდა ამისა, როგორც აღვნიშნეთ, თანამედროვე მსოფლიო ენობრივ სურათში ის

მნიშვნელობით მესამე ადგილზე დგას კონცეპტების „ადამიანი“ და „სახლი“ შემდეგადა, აგრეთვე, ცენტრალური ადგილი უკავია ლინგვოკულტურულ კონცეპტთა შორის, ვინაიდან მასში შემავალი „გულუბრყვილო“ წარმოდგენები ეგზისტენციალურად მნიშვნელოვანია როგორც კონკრეტული ადამიანისთვის, ასევე, მთელი ერისთვის.

კონცეპტის გამოვლენა შესაძლებელია მისი ანალიზის მეშვეობით. ასეთად, პირობითად, შეიძლება მივიჩნიოთ ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი. იგი არის კონცეპტუალური ანალიზის ნაირსახეობა, მაგრამ აქვს თავისებურებებიც. ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზის მიზანია კონცეპტის სტრუქტურის, მისი ლინგვოკულტურული სპეციფიკის აღწერა და მსოფლიო ენობრივი სურათისთვის მისი მნიშვნელობის თაობაზე დასკვნების გაკეთება. ლინგვოკულტურული ანალიზის მთავარი ნიშანია მისი ლინგვისტური საფუძველი, ეს ნიშნავს, რომ ამგვარი ანალიზის დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ ლინგვისტური მტკიცებულებები.

ჩვენ მიერ დამუშავებული კონცეპტუალური ანალიზის სქემა შედგება რვა ეტაპისაგან:

- ✓ ვიკვლევთ კონცეპტის სიტყვა-სახელის ეტიმოლოგიას, ვავლენთ ეტიმონის თავდაპირველ მნიშვნელობებს, ვიკვლევთ მნიშვნელობების განვითარების გზებს, სიტყვის მნიშვნელობის ისტორიას.
- ✓ კომპონენტური ანალიზის მეთოდით, ვიკვლევთ სიტყვა-სახელის კონცეპტის ენობრივ დეფინიციებს. შედეგად, სემები წარმოდგება, როგორც სემანტიკური ნიშნები. სემები, სხვადასხვა კონცეპტში აქტუალიზაციის შემდეგ, კონცეპტუალურ ნიშნად იქცევა და კონცეპტის ცნებითი აპარატის საფუძვლის ფორმირებას ახორციელებს.
- ✓ სიტყვა-სახელის თავსებადობის ანალიზის მეთოდით ვლინდება დამატებითი კონცეპტუალური ნიშნები.
- ✓ ვინაიდან კონცეპტები „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ ჩადებულია არა სიტყვაში, არამედ სიტყვის ფუძეში და რეალიზდება მთელი სიტყვათწარმოების პარადიგმაში, საერთოფუძიანი სიტყვების ლექსემებით ხორციელდება კომპონენტური და დისტრიბუტიური ანალიზი.
- ✓ კეთდება კონცეპტის სიტყვა-რეპრეზენტანტების მეტაფორული



თავსებადობის ანალიზი.

✓ კონცეპტის ღირებულებრივი შემადგენლის აღწერისთვის საჭიროა, დადგინდეს საკვლევი კონცეპტის თავსებადობა სხვებთან, ენის კონცეპტოსფეროში მასთან პარადიგმატიკურად დაკავშირებულ კონცეპტებთან.

✓ ვლინდება კონცეპტის ღირებულებრივი შემადგენელი, აღიწერება ეროვნულ-კულტურული გაგება მსოფლიოს ენობრივ სურათში.

✓ დასასრულს ტარდება ასოციაციური ანალიზი.

ანალიზის შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კონცეპტები „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ სამყაროს ენობრივ სურათში წარმოადგენს რთულ მენტალურ-ლინგვალურ წარმონაქმნს, რომელიც რამდენიმე კონცეპტუალური ნიშნისგან და მეტაფორისგან შედგება; ერთიანობაში აღიქმება, როგორც ღირებულებრივი მახასიათებლების მქონე, ახორციელებს მენტალობის ფორმირებას და ენაში ვერბალიზდება მთელი სიტყვა წარმოებითი პარადიგმით, რომელიც კონკრეტულ საკვლევ ენებში ასზე მეტ ერთეულს ითვლის.

კონცეპტების „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი სხვადასხვა ჟანრის ტექსტში საშუალებას გვაძლევს, გამოვავლინოთ სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ არსებული ის წარმოდგენები, რომლებიც შეესაბამება ყოფითი, მეცნიერული და მხატვრული ცნობიერების ტიპებს.

სამყაროს ეროვნული სურათის ორი ფრაგმენტის, „სიცოცხლისა“ და „სიკვდილის“, კროსკულტურული ანალიზი ქართულსა და თურქულში, ნაციონალურ სამყაროს სურათებში, შესაბამისი ენობრივი სურათების იმ ფრაგმენტების სრული რეკონსტრუქციის საშუალებას გვაძლევს, რომლებიც იდეოგრაფიულ საფუძველზე ყალიბდება. ამ კონცეპტების ლინგვოკულტ-უროლოგიურმა ანალიზმა საშუალება მოგვცა:

• გამოგვევლინებინა მოცემული კონცეპტების ენობრივი მანიფესტაციის ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა ქართულსა და თურქულ ენებში;

• ჩამოგვეყალიბებინა მითითებული კონცეპტები შესაბამისი კონცეპტოსფეროების ფარგლებში, გაგვეაზრებინა მათი ნაციონალურ-კულტ-

ურული სპეციფიკა და უნივერსალური თვისებები;

• მოგვეცა კონცეპტების „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ სინტაგმატური დახასიათება, რათა გამოგვევლინებინა უზუალური წარმოდგენები, რომლებიც ამ სახელების უკან დგას და მათ სემანტიკურ არეალს შემოფარგლავს.

კონცეპტების „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ სპეციფიკა განხილულია შედარებით ჭრილში. ქართული დათურქული ენების განმარტებითი, სემანტიკური, იდეოგრაფიული, ეტიმოლოგიური, ასოციაციური, ფრაზეოლოგიური ლექსიკონების, პარემიებისა და აფორიზმების კრებულების, გაზეთების მასალების და, აგრეთვე, კროსასოციაციური მონაცემების საფუძველზე, დგინდება მოცემული კონცეპტების სემანტიკისა და პრაგმატიკის უნივერსალური და ნაციონალურ-კულტურული თავისებურებები.

### თავი III „სიკვდილ-სიცოცხლე“ ეთნოენობრივ ცნობიერებაში

წინამდებარე თავში კროსკულტუროლოგიურ პლანში გამოკვლეულია აღნიშნული კონცეპტების ზოგადკატეგორიული და ნაციონალურ-სპეციფიკური ნიშნები და მათი ასახვა შესაბამის ეთნოენობრივ ცნობიერებაში. აღნიშნული ნაირსახეობა საშუალებას გვაძლევს, ჩვენთვის საინტერესო მოვლენა მრავალმხრივად განვიხილოთ და ჩვენი დაკვირვების ვერიფიკაცია მოვახდინოთ.

კონცეპტების „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“, ლინგვოკულტუროლოგიურ მანალიზმა სხვადასხვა ჟანრის ტექსტში საშუალება მოგვცა, გამოგვევლინებინა ის წარმოდგენები სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ, რომლებიც შეესაბამება ყოფითი, მეცნიერული და მხატვრული ცნობიერების ტიპებს. ქართული და თურქული ნაციონალური სამყაროს სურათებში ორი ფრაგმენტის „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“, კროსკულტურულმა ანალიზმა იმ ენობრივი სურათის შესაბამისი ფრაგმენტის სრული რეკონსტრუქციის საშუალება

მოგვცა, რომელიც იდეოგრაფიულ საფუძველზეყალიბდება.

კონცეპტების „სიკვდილი და „სიცოცხლე“, ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი მიზნად ისახავდა, გამოგვევლინებინა მოცემული კონცეპტების ენობრივი მანიფესტაციის ნაციონალურ-კულტურული სპეციფიკა ქართულსა და თურქულ ენებში, ასევე, უზუალური წარმოდგენები, რომლებიც ამ სახელების უკანდგას და მათ სემანტიკურ არეალსშემოფარგლავს. კონცეპტებისა და კულტურის კავშირის სპეციფიკა ენობრივ ფაქტებში გამოვლინდა, რამაც საშუალება მოგვცა, დაგვედგინა:

- სიკვდილისა და სიცოცხლის აქსიოლოგია შესაბამის კულტურებში;
- შეფასების უნივერსალური და ნაციონალურ-სპეციფიკური ნიშნები;
- ეთნოსპეციფიკური რეალიების ასახვა და პრეზენტაცია „სიკვდილ-სიცოცხლის“ კონცეპტოსფეროში.

კონცეპტოსფერო „სიკვდილ-სიცოცხლის“ ენობრივი მარკირების პროცესში აუცილებელი იყო, გამოგვევლინებინა კონცეპტოსფეროს ბირთვული ნაწილი, რომელიც სხვადასხვა სახის ენობრივი ერთეულით იყო რეპრეზენტირებული. ამავე დროს, კონცეპტები „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“, განვიხილეთ, როგორც კულტურულ-ესთ-ეტიკური კონოტაციების წყარო და მოვიძიეთ „სიკვდილისა“ და „სიცოცხლის“ სახე ფოლკლორსა და მხატვრულ ლიტერატურაში.

მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, პიროვნების დამოკიდებულების დაფიქსირება სიკვდილ-სიცოცხლესთან მიმართებაში, რაც ლექსიკურ-სტილისტურ კონოტაციებში ვლინდება.

საკვლევ ენებში საინტერესოდ აისახება სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელების პერსპექტივის ქონა/არქონა:

- ნეიტრ. — სიკვდილი.
- გარდაცვალება — ფორმის შეცვლა.
- უპერსპექტივობა თაობებში — ამოწყდა, გადაშენდა (უმვილოდ, უძიროდ).

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესისაკითხი „სიკვდილ-სიცოცხლის“ პრობლემის ბიოსამყაროს ტიპოლოგიურკონსტიტუენტებთან (ადამიანი – ცხოველი – მცენარე)

დამოკიდებულების საკითხია, ვინაიდან აღნიშნულ ენებში არსებობს ადამიანის, მცენარისა და ცხოველის დაბადება/ გარდაცვალებასთან დაკავშირებული განსხვავებული ენობრივი ერთეულები.

არანაკლებ მნიშვნელოვანი და საინტერესოა „სიკვდილისა“ და „სიცოცხლის“ პერსონიფიცირება და დაბადება-გარდაცვალებასთან დაკავშირებული სუბიექტ-ობიექტის ურთიერთმიმართება და მათი ენობრივი მანიფესტაციის პროცესი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიკვდილი შეიძლება მოგვევლინოს როგორც სუბიექტი, რომელიც თვითონ მოქმედებს და, როგორც შედეგი, როდესაც ის გარკვეული სუბიექტურ-ობიექტური მიმართებების რეზულტატს წარმოადგენს. აქ შესაძლებელია შემთხვევები, როდესაც:

- ადამიანი თვითონ მოქმედებს (მკვლევების ნომინაცია);
- სუბიექტი სხვისი საშუალებით მოქმედებს;
- სუბიექტი თვითონ არის აგრესიის ობიექტი.

ასევე, აქტუალურია სიკვდილის, როგორც პროცესის, გააზრება, რაც ორი სამყაროს ურთიერთდამოკიდებულებით დასტურდება .

ნაშრომში განვიხილავთ, აგრეთვე, გარდაცვლილის ნომინაციას, მკვლევლობის ფორმიდან გამომდინარე. როგორც უკვე აღვნიშნეთ,საკვლევ ენებში ამა თუ იმ ადამიანისა თუ რომელიმე ცოცხალი ორგანიზმის სიკვდილის მიმართდამოკიდებულება სუბიექტური მოდალობის შემცველ ლექსემებშიც აისახება, რომელიც შეიძლება იყოს:

- ნეიტრალური.
- უარყოფითი.
- დადებითი.

კონცეპტები „სიკვდილი“ და „სიცოცხლე“ მიეკუთვნება კონცეპტთა იმ ჯგუფს, რომლებიც წარმოადგენენ უნივერსალურ საბაზო კომპლექსებს. ცხოვრებისადმი დამოკიდებულება ერს ისტორიული განვითარების პროცესში უყალიბდება და გამოიხატება მისი კულტურის, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების თავისებურებებში. ერის ისტორია და კულტურა ზეგავლენას ახდენს მის

მიერ ცხოვრების აღქმაზე, მის დამოკიდებულებაზე ამ მოცემულობის მიმართ. თავის მხრივ, ცხოვრებისადმი დამოკიდებულების ტიპი მეტწილად განაპირობებს ამა თუ იმ ენის წარმომადგენელი ერის ქცევას (ენობრივის ჩათვლით). შესაბამისად, კონცეპტის ვერბალური რეალიზაცია, მისი გამომსახველობითი მხარე და კონოტაციური ველი სხვადასხვა ენაში შეიძლება აბსოლუტურად იდენტური იყოს.

სიკვდილ-სიცოცხლის კონცეპტოსფეროს მარგანიზებელ სემას ორივე საკვლევ კულტურაში არსებობა/არარსებობის სემა წარმოადგენს, რომლის ირგვლივ ერთიანდება დეპენდენტურ მიკროსემათა მთელი კომპლექსი. ასე, მაგალითად, არსებობა/არარსებობას უკავშირდება აღნიშნული მოვლენების პროცესუალური ინტერპრეტაცია, აქტანტთა ტიპოლოგია, მოკვდინების ფორმები, ცხოვრება, არსებობის ტიპოლოგია, სიკვდილ-სიცოცხლის აქსიოლოგია, სიკვდილ-სიცოცხლის რიტუალური მხარე და ა.შ. მეგასემასთან დაკავშირებული ყველა ეს მიკროველი ქმნის კონცეპტის კომპლექსური ინტერპრეტაციის ემპირიულ საფუძველს.

### **§1. „სიკვდილისა“ და „სიცოცხლის“ რეპრეზენტაციის ენობრივი საშუალებები**

საკვლევ კონცეპტების ინტერპრეტაციისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი რეპრეზენტაციის ენობრივ საშუალებებს. კონცეპტუალური მნიშვნელობები სხვადასხვა ენობრივ დონეზე გამოიხატება: ლექსიკურ, ფრაზეოლოგიურ, პარემიოლოგიურ ერთეულებში. ამასთანავე, საკმაოდ ხშირია კონცეპტის შინაარსის გადმოცემა სამეტყველო ფიგურების (მეტაფორების, მეტონიმის, სინეკდოქეს, გაპიროვნების) საშუალებით.

არსებობა / არარსებობის პრობლემა საკმაოდ რთული პრობლემაა, რომლის მეცნიერული ინტერპრეტაცია არსებული გაგებისაგან საკმაოდ განსხვავებულია ხალხურ ცნობიერებაში. თუნ. ბერდიაევი ეგზისტენციის პრობლემას დროის ფაქტორს უკავშირებს, რომლის დასაბამადაც ის ადამისა და ევას სამოთხიდან განდევნის მომენტს მიიჩნევს, დროს, როდესაც ადამიანი მოკვდავად იქცა, ორივე საკვლევ კულტურაში, ისევე, როგორც კულტურათა უმრავლესობაში, სიკვდილი და

სიცოცხლე განიხილება, როგორც ერთი დიალექტიკური მთლიანობა, ერთიანი სამყაროს ორი ნაწილი, რომელთა შორის არსებობს გარკვეული კანონზომიერი კავშირი.

მიუხედავად რელიგიათა და იდეოლოგიურ სისტემათა მრავალფეროვნებისა, მხოლოდ ათეიზმი უარყოფს სიკვდილის შემდეგ არსებობის შესაძლებლობას, თუმცა მისი გაგრძელება განსხვავებული კულტურების მიერ არაერთგვაროვნად არის გაგებული. მაგალითად, ინდუიზმის სულთა გრადაციის თეორიის მიხედვით, ადამიანის მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზის მიხედვით, მისმა სულმა, შესაძლოა, სხვადასხვა იერარქიული ღირებულების მოვლენაში ჰპოვოს განხორციელება.

აღნიშნული ეთიკური ფაქტორი რელევანტურია ქრისტიანული და მუსულმანური რელიგიისთვისაც, რომლებიც სამოთხისა და ჯოჯოხეთის, ჯენნეთისა და ჯეჰენემის ოპოზიციებს გამოყოფენ და ადამიანის „პერსპექტიული დისლოკაციის“ ადგილს, ასევე, მისი ამქვეყნიური ცხოვრების შინაარსს უკავშირებენ. საკვლევ კულტურებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ოპოზიციას წარმოადგენს სამყაროს ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ნაწილებად დაყოფა, რაც შესაბამისი ენობრივი მასალით დასტურდება:

– სააქაო, ეს ქვეყანა, ეს სოფელი – dünya, bu dünyaya ait, acun, alem, cihan, evren, felek, kainat, yer yuvarı, yerküre, yerüstü varlığı.

– საწუთრო, წუთისოფელი, წარმავალი – ölümlü dünya, fani dünya (bitimli, devamsız, geçegen, geçeci, gelip geçici, sonlu, süreksiz, zail, eğreti, şimdilik; üç beş günlük dünya; bir zaman için).

– საიქიო, ის ქვეყანა, ის სოფელი – ahret, öbür dünnya, öte dünnya, tahtalı köy, ölüm sonrası hayat, ebedi, bengi, bitimsiz, daimi, kalımlı, müebbet, ölümsüz.

როგორც წესი, საიქიო და სააქაო სამყაროთა ნომინაციაშეფასებით ნიუანსებს შეიცავს.

ერთმანეთს უპირისპირდება სამოთხე და ჯოჯოხეთი – cennet-cehennem

ქართულში: მკვდრეთი, სასულეთი, შავეთი.

თურქულში: darı, beka, darı ahiret, öbür/öte dünya. (მუსლ.) მარადიული

სამყოფელი,საიქიო და, ასევე, kıyamet – მკვდრებით აღდგომა, მეორედ მოსვლა

საიქიო, ხშირ შემთხვევაში, უკეთეს სამყაროსთანაა გაიგივებული:

- მარადიული ძილი – ebedi uykusuna dalmak.
- საუკუნო, სამარადისო განსვენება – ebedi istirahat.
- თვალების დახუჭვა – dünyaya gözlerini kapamak; gözü yumulması.
- სიკვდილი,გარდაცვალება – ölmek, vefat etmek.
- აღესრულა,გარდაიცვალა – Allahın rahmetine kavuştu, Mevlasına kavuşmak (Mevlasını bulmak).
- ღმერთმა გაანათლოს/ნათელში ამყოფოს, აცხონოს – Allah cennetlik etsin,nur içinde yatsın.
- სიცოცხლესთან გამოთხოვება – hayata veda,candan geçmek.
- სულის მიცემა – can vermek.
- დააჩქარო საკუთარი სიკვდილი – ölüme meydan okumak; kendi ecelini çağırmaq
- იპოვო საკუთარი სიკვდილი,სიკვდილს შეეგებო– (kendi) ölümünübulmaq, ecelini bulmaq.
- საკუთარი სისხლის წყურვილი –kendi kanına susamak.
- ჩაიყვანო ვინმე სამარეში, ააჩქარო ვინმეს სიკვდილი, დალუპვა – ölümüne sebep olmak, öldürmek, tahtalı köyü boylatmaq.
- (ვინმესთვის) სამარის გათხრა –(birinin)çukurunu kazmaq.

მეორესამყაროშიგადანაცვლებისიმიტაციასწარმოადგენსლექსემა:

- თავს მოიმკვდარუნებს(მოიმკვდარუნა, მოუმკვდარუნებია) –ölü taklidi yapmak; kendini ölü göstermek

ორ სამყაროს შორის მოძრაობა ეთნოენობრივ ცნობიერებაში არ არის ერთმხარეს მიმართული პროცესი — ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში. ენები აფიქსირებენ საპირისპირო მიმართულებასაც, რაც შემდეგ ენობრივ ერთეულებში აისახება:

- გამოაცოცხლო, სიცოცხლე დაუბრუნო–diriltmek, hayat vermek.
- მკვდრეთით აღდგომა(ორ სამყაროს შორის მოძრაობა) –dirilmek; katının kapısından dönmek.
- გადარჩენა, მოხედვა (გადარჩა, მოიხედა)–kurtulmak.

დროში არსებობის დასასრულსა და სიცოცხლისა და სიკვდილის გასაყარს უკავშირდება კონსტრუქციები:

- სიკვდილის პირას მიყვანა, გარდასხეულება – ölmek üzere olan; ölüme teşvik edilme.
- სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე – ölüm hayat kavşağı
- სიკვდილის პირას,სიკვდილის ზღვარზე,სამარის კართან – ölmesine ramak kalmak.
- ცალი ფეხი სამარეში – bir ayağı mezarda olmak.
- მიწისკენ პირის ქნა – (gözü)toprağa bakmak.
- უკანასკნელი დღეების დათვლა, უკანასკნელ დღეში ყოფნა – sayılı günler kalıyor; günleri saymak.
- დღედათვლილი – ölüm(rahat) döşeginde.
- უკანასკნელი დღეებით ცხოვრება – son günleri yaşamak.
- აღსასრულის მოახლოება – sona yaklaşmak, bitmek üzere olmak, sonu geliyor,bitiyor.

სიკვდილის აგონიის ჯგუფი მრავალფეროვანია:

- ზღვრამდე მიღწევა – hayat sonucuna varmak;son günlerini yaşamak.
  - ცალიფეხისამარეშიაქვს– bir ayağı çukurda.
- განწირული(სასიკვდილოდ), დღედალეული – ölmeye mahkum.
- (სასიკვდილო) აგონია– can çekişme; ölümle cebelleşme(cedelleşme).
- იყო სიკვდილმისჯილი – idama(ölüme) mahkum olmak.
- სისხლის უკანასკნელ წვეთამდე –son damla kanına kadar.
- უკანასკნელ ამოსუნთქვამდე– son nefese kadar.
- ცოცხალ-მკვდარი – yarı ölü yarı diri.



- სამარის(მკვდრის) ფერიადევს / ედება – ölgün rengi, solmuş.
- მოჭამა წუთისოფელი – dünyayı tüketti.
- თავისი დრო მოჭამა – ömrünü tüketti.
- საფლავის კარამდე – ölünceye kadar, mezara konuncaya kadar, tenesüre kadar.
- დიდი დღე არ უწერია(ახრიზამანი)– sayılı günler kalıyor.
- საიქიოსკენ პირს აქნევინებს, ჟამი დარეკავს – eceli gelmiş.
- რისამე აღსასრული დგება – bir şeyin sonunu yaklaşıp meydana gelmektedir.
- ბეწვზე ჰკიდია მისი ცხოვრება, დღეს ვედარ გაათენებს – ölmesine kıl(kadar) kalmıştı,ölmesine ramak kalmıştı, öleyazıyordu.
- აღსასრული მოვა – eceli gelir.
- უსიცოცხლო, უსულო, სულდალეული, მკვდარი – cansız, hissiz, ölü.
- სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა – ölümleyaşam arası.
- სიკვდილის საათი – ölüm saati, vefat saati, mevt saati.
- სიკვდილის სუდარა, საბურავი – kefen.
- სიკვდილის სარეცელი – ölüm döşegi.
- მოკვდე ნელი სიკვდილით – yavaş yavaş sindire sindire ölmek.
- სულს ლევს,სულს დაფავს – bir mum gibi sönüp gitmek (yolcudur artık).
- ცალი ფეხი სამარეში – bir ayağı mezarda olmak.
- სიკვდილის პირას – ölmek üzere olmak.
- სულთამობრძავი – ölümsek.
- ბედბოლო – son kaderi.
- სასიკვდილოდ გადადებული, სასიკვდილოდ განწირული, განწირული –ölmeğe mahkum.
- გათავება (მოთავდება, მოათავებს, გათავდება) –bitmek(bitirmek).
- სასიკვდილო განაჩენი– idama, ölüme mahkum etmek.
- უკანასკნელი ამოსუნთქვა – son nefes vermek.
- სულის მინავლა – solup sönmek.
- უკანასკნელ სულისამოთქმამდე – son nefes; buğusuz, berrak bir ayna

gibidir.

– დაჰკრა ბოლო ჟამმა, საათმა – son vakti saati, eceli; Azrailin tedbirsiz ve gafil olarak gelmesi.

– სიკვდილის დრო – ölüm saati, son saati.

საპირისპირო შინაარსისაა:

– ცას გამოეკერა –dünyaya kazık kaktı.

– სული/წუთისოფელი გაუტკბა – gün görmüş.

ადამიანს, რომელიც სიკვდილს გადაურჩება, ახასიათებენ შემდეგნაირად:

– მკვდრეთით აღმდგარი – (dirilmek) gitti ve geldi.

– სიკვდილს თვალეში ჩახედა – ölüme yüz yüze gelmek; ölümlle burun buruna gelmek.

– სიკვდილის ბრწყალებიდან თავის დახსნა– kefeni yırtmak.

ხაზიუნდაგავუსვათ,

რომშიძლებასიტყვარამდენიმემიკროველშიშედიოდეს.როგორცაღვნიშნეთ,

სიკვდილიდასიცოცხლეურთიერთგანპირობებულისცნებებიადადროშიარსებობასთან  
ადაკავშირებული. ამასთანავე,

ესორისამყაროარარისერთმანეთისგანგათიშულიდაშესაძლებელია (ძირითადად,  
ერთიმმართულებით) ორსამყაროსშორისმოძრაობა.

განირჩევამომავალიდამიმავალი(შენმომავალიხარ, მეკიმიმავალი; Sen geleceksin, ben  
ise gideceğim).

ამსამყაროშიადამიანისმოვლინებასთანდაკავშირებითსაკვლევენებშიგვაქვსისეთისემ  
ანტემები, რომლებიცდაკავშირებულიამოძრაობასთან.

ასეთივემოძრაობაისახებასხვაიდომატურგამოთქმებშიც,

სადაცშიძლებადაემატოსმოსვენების, მუდმივი (უკანასკნელი) ძილის,  
ამქვეყნიურისპარეზის (კარიერისდასასრულის) დატოვების,

სულისამოხდომისდასხვ. თემებიც:

- საიქიოში გადასახლება – Ahrete göç etmek (gitmek, varmak).
- სხვასამყაროში გადასვლა – öbür dünyaya göç etmek.
- წინაპრებთან წარდგომა – ölü ataların huzuruna çıkmak.
- ღვთის წყალობის მიღწევა, ღმერთთან წასვლა, სიკვდილი – Hakka yürümek; Allahın rahmetine kavuşmak; Mevlasını bulmak – Предстать перед богом.
- ამქვეყნიური, მიწიერი სიცოცხლის დასრულება – bu dünya hayatı dolmak.
- მარადიულობაში გადასვლა – ebediye dalıp gitmesi; ölümsüzlüğün tatması.
- უკეთეს სამყაროში გადასახლება – öteki dünyanın huzuru ve sükuneti tatması; öbür dünyaya göçmek.
- მიწიერი ყოფის დასრულება, მიწიერი ცხოვრების დატოვება – dünyayı terketmek/bırakmak.
- სიკვდილის შემდეგ ადამიანი გადასახლდება, გადაცხოვრდება – öbür dünyaya geçmek; ahreti boylamak, ahrete gitmek.
- იმქვეყნად გადასვლა – ahreti (öbür dünyayı) boylamak.
- წასვლა ცხოვრებიდან, სიკვდილი – hayattan ayırmak.
- სამოთხის კარიგაღება – cennet kapısı açılır; cennet tasviri.
- სიკვდილის მერე არსებობა, იმქვეყნიური არსებობა – ölümden sonra yaşam/hayatın varlığı; ebedi hayatın varlığı; öldükten sonra dirilişin ispatı; ölümden sonra tekrar dirilme.

პერსპექტივა ახალ სამყაროში (სიკვდილის შემდეგ):

- სამოთხის კარი გაღება; ნათელი დაადგება; განისვენებს – cennet kapısı açılır; cennet tasviri .
- იყო მკვდარი, დამარხული, დასამარებული – ölü, ölmüş, cansız, gömüllü.

## **§2. ხორცისა და სულის ოპოზიცია „სიკვდილ-სიცოცხლის“ კონცეპტოსფეროში**

იმ სამყაროში გადასვლისას ერთ-ერთ პერსპექტივას განსაზღვრულობიდან –

უსასრულობაში, უკვდავებაში გადასვლა წარმოადგენს:სიკვდილ-სიცოცხლის კონცეპტოსფეროში მნიშვნელოვანია ხორცისა და სულის ოპოზიცია. სული უკვდავია, ხორცი — მოკვდავი. სული შეიძლება ამოერთვას, გაიპაროს, გააცხოს, ამოსძვრეს, დაილიოს. მას შეიძლება ჰქონდეს სიღრმე;

– can – სული; სიცოცხლე; ცხოვრება; არსებობა; ჯანმრთელობა; სიცოცხლის ძალა, სულის ძალა; სული,ადამიანი(რაოდენ.).

– canını almak(=სულის წართმევა,სხვისის; მოკვლა) – სულს ამოხდის, გააცხებინებს, მოკლავს.

– can alıp can vermek(=სულის აღება და სულის მიცემა)– სიკვდილ-სიცოცხლეს შორის ყოფნა.

– can baş vermek / koymak(=სულისა და თავის მიცემა)– თავის დადება, გაწირვა, სული არ ენანება.

– can çekişmek(=სულის ქაჩვა;აგონიაში ყოფნა)– სული ხდება, სულს ლაფავს; იტანჯება.

– can evinden vurulmak; canı//candan vurulmak – მოკვდინება.

– can feda etmek(=სულის გამოსასყიდის კეთება)– შეწირვა,მსხვერპლად გაღება.

– candan el çekmek;cihandan el çekmek(=სულზე ხელის აღება ) – „ხელის დაბანა“.

–canı çıkmak(=სულის გასვლა,გამოსვლა) – სულის ამოხდომა, ამოსვლა.

– canı hulkuma gelmek(=can–სული, hulkum–ხორხი, ყრონტი, gelmek–მოსვლა) – სულის ყელში ამოსვლა.

– canı vücudundan çekilmek(=სულის სხეულიდან გამოტანა)– სულის ამოხდომა.

– canı yerinden kopmak(=სულის თავისი ადგილიდან მოწყვეტა)– სულის ამოსვლა.

– canından geçmek (=სულიდან გაცლა) – სულთან გაყრა.

– canından olmak– სულის წართმევა,ამოსვლა.

– canını feda etmek(=თავისი სულის მსხვერპლად შეწირვა, გაღება) – თავის დადება, გაწირვა.

– canını vermek– სულის მიცემა.

– canıyla ödemek (=სულით გადახდა) –(რაღაც) სულის სანაცვლოდ.

– can borcunu ödemek(=სულის ვალის გადახდა) – სიკვდილი,მოკვდება.

– cansız düşmek(=უსულოდ დაცემა)– სიკვდილი.

- cansız kalmak (=უსულოდ დარჩენა)– მოკვდინება.
- canına susamak(susamak-მოწყურება) – ვინმეს (სულის)სიკვდილის წყურვილი.
- canına tükürmek(tükürmek – დაფურთხება) – სულში ჩააფურთხება(სიკვდილის მერე მის სულს მიაფურთხებს).
- canına kıymak (=kıymak – წვრილ ნაჭრებად დაჭრა, დაკეპვა) – შეუბრალებლად, შეცოდების გარეშე მოკვლა.
- can yırtılması – სულის დაფლეთა.
- caniyane öldürmek – ავაზაკური, აკვაცური მკვლელობა.
- sıkboğaz etmek – სულის ამორთმევა(ამოართმევს); სიცოცხლის ხელყოფა, მოკვლა.
- ruh ve beden– სული და ხორცი.
- cehennem donana kadar, son nefesi verene kadar – ვიდრე პირში სული უდგას.
- gerçekleştirmek, tahakkuk ettirmek – სულს ჩაუდგამს.
- son nefes alıp verene kadar cana yetişmek – სულზე მოუსწრებს.
- son soluğunu vermek, can vermek – სული დალიო.
- diriler ve ölüler – ყოველივე ცოცხალი, მოკვდავი.
- cisim; canlı, diri; insan – ცოცხალი სული, ცოცხალი არსება, ადამიანი.
